WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№25 (259) ● 25 სექტემბერი, 2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## არსებობს თუ არა საქართველოს დაშლის რუსული გეგმა?



**ალექსანდრე დუგინის თქმით, აფხაზეთსა და ოსეთს მალე სამეგრელო, ჯავახეთი, აჭარა და პანკისიც მიჰყვება**

დვანთან განვითარებული მოვლენების შემდეგ კიდევ ვინმეს ეეჭვება, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია და რუსეთი ამ მავთულხლართების გაბმით სწორედ მის წისქვილზე ასხამს წყალს?

## გიორგი მარგველაშვილი — კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი



გიორგი არის ღირსეული პიროვნება - თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს.

შარშან ოქტომბერში მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა და ხმა მისცა თავისუფლებას. დარწმუნებული ვარ, წელს ოქტომბერში კიდევ ერთხელ ერთ მუშტად შევიკვრებით, ავირჩევთ გიორგი მარგველაშვილს და ხმას მივცემთ საქართველოს წინსვლასა და სტაბილურობას.

**ბიძინა ივანიშვილი**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** თქვენ გგონიათ, ეს ცრუ შეტყობინებები ტერაქტების შესახებ შემთხვევითია? ერთხელაც იქნება, მართლაც რაღაც უბედურება მოხდება, სააკაშვილი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და არჩევნები გაურკვეველი დროით გადაიწევა...



## რატომ მიდის ივანიშვილი პოლიტიკიდან 10 თვის და არა 2 წლის შემდეგ?




**გამოხმაურება წერილზე:** „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა“

## ღმერთმა დიდი საიდუმლოს გუშაგად დაგვაყენა აქ, საქართველოში, ჩვენ კი „პოსტი“ მივატოვეთ და გავრბივართ

## აფხაზეთის დაკარგვა მოღალატე ქართველების სინდისზეა

## რა ხდება საქართველოს ფსიქიატრიულ რესპუბლიკაში?

## სვანეთის დასაცავად მთელი საქართველო უნდა აღდგეს

**ტარიელ ფუტკარაძის მორიგი „მეცნიერული“ ავაზაკობა სამეგრელოს წინააღმდეგ**

**მიხეილ-გელა სალუაშვილი:**



## რაც ხდება საქართველოში და რაც მოხდარა, ყველაფერი ბიბლიაშია აღწერილი

დღემდე იკვლევენ, როგორ გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია, არადა, ბიბლია პირდაპირ მინიშნებას იძლევა მის იდუმალებით მოცულ სიკვდილზე

# ევრაზიული სივრცის იდეა:

## ხალხთა მონობის კიდევ ერთი კავშირი თუ ახალი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა



**რუსული პოლიტიკური ელიტის შემოთავაზება თავიდანვე აგრესიულად გამოიყურება და იმ ქვეყნების დესუვერენიზაციას მოიტანს, რომლებიც თითქოსდა მის შემადგენლობაში შევლენ.**

**საგულისხმოა, რომ ამ პროექტს გვთავაზობს „უსაფრთხოების ქოლგა“, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს. ევრაზიული კავშირი, უწინარესად, სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა, ამიტომაც აუცილებელია, გაანალიზდეს, ვის და ვისგან სთავაზობენ რუსეთის სამხედრო მხარდაჭერას.**

### 1. დასავლეთის მიმართულება

— ბელორუსს, მოლდოვასა და უკრაინას სთავაზობენ სამხედრო მხარდაჭერას ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისგან, აგრეთვე თურქეთისგან.

ბელორუსი წარმატებით მანიპულირებს თავისი მდგომარეობითა და განვითარებული სამხედრო ინფრასტრუქტურით, პერიოდულად ათამაშებს ხან რუსულ ბანქოს, ხან — ევროპულს. ამასთან, მესამე ქვეყნების მხარდაჭერით მათ შორის ლავირებასაც ახერხებს.

რუსეთი მოლდოვას სუვერენიტეტისთვის დამანგრეველ სამხედრო-პოლიტიკურ შეტევას ახორციელებს, როცა დნესტრისპირეთში სეპარატისტებს აქეზებს. ამიტომაც მის საპირწონედ რუმინეთის თანადგომის მოპოვებას ცდილობს.

ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, უკრაინამ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზა აირჩია.

არსებითად, არც ერთ ამ ქვეყანას არ სჭირდება განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური ქოლგა თავიანთი ინტერესებისა და ტერიტორიების დასაცავად იმ სავარაუდო მოწინააღმდეგისგან, როგორადაც რუსეთი ნატოს მიიჩნევს. მეტიც, ეს ქვეყნები, ამა თუ იმ ფორმით, მზად არიან დასავლეთთან ურთიერთობისთვის და ევროინტეგრაციას ესწრაფვიან.

### 2. სამხრეთის (კავკასიის) მიმართულება სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო

ევროკავშირის მოქმედებებმა და ევროპული ფასეულობებისკენ თურქეთის გამუდმებულმა მოდერნიზაციამ სომხეთიც კი დააინტერესა, რომელიც არ ჩქარობს, ბოლომდე უარი თქვას ევროინტეგრაციაზე, თუმცა ცდილობს, თავისი სამხედრო მონაპოვრის უსაფრთხოება რუსული ბაზების მეშვეობით დაიცვას.

ამგვარად, რეგიონში რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირით დაინტერესება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტით არის შენარჩუნებული. თუმცაღა ეს რეგიონი ნელ-ნელა ცვლის თავის სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურას და ევროკავშირის ამ მიმართულებით განვითარება შესაძლოა, რუსეთისთვის ყველაზე (და ალბათ ერთადერთი) არახელსაყრელი და ფეთქებადსაშიში აღმოჩნდეს.

რუსეთი ისევ ესწრაფვის ზესახელმწიფოს სტატუსს და ამ გზაზე საქართველო ყველაზე სახიფათო წინაღობაა — გეოპოლიტიკური მიზეზების წყალობით, იგი კონკურენტია ნებისმიერი პოლიტიკური ძალისა, რომელიც ტვირთის ტრანზიტის კონტროლით საერთაშორისო ურთიერთობებზე ზეგავლენის მოხდენას მოიწადინებს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ რუსეთს, ჯერჯერობით, საქართველოს არც ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხელს არ აძლევს. რუსეთის მთავრობას გამუდმებით გადანახული აქვს რაიმე, რაც საქართველოში სამხედრო მოქმედებისთვის გამოადგება (2000-2002 წლებში ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში დევნილთა შორის ტერორისტების არსებობა; თბილისის ბიოლოგიური ლაბორატორია, რუსეთის მედიის მტკიცებით, ქიმიურ იარაღს აწარმოებს; მათივე რწმუნებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მკვლელობებითა და გატაცებებით ქართული სპეცსამსახურები არიან დაკავებული და ა.შ).

ძლიერი და მეგობრული რუსეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოკავშირე იქნებოდა როგორც სომხეთისთვის, ასევე საქართველოსთვის. თანამედროვე რეალობა კი ისეთია, რომ რუსეთის სტრატეგოსებს ურჩევნიათ, თავიანთ მოკავშირეებს ეომონ (მოწინააღმდეგეებმა სისუსტე რომ არ შეამჩნიონ), უკიდურესი საფრთხე შეუქმნან და ამით ხანმოკლე პოლიტიკური ხეირი ნახონ. არღვევენ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობას, რომელიც სეპარატიზმის მხარდაჭერას, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური შუღლის გაღვივებას კრძალავს...

### 3. აზიის მიმართულება სხვების კოლექტიურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა თუ საკუთარი ინტერესები

არსებობს უმნიშვნელოვანესი გარემოებები: რუსეთის ხელისუფლება, „რუსული ევრაზიული სივრცის“ დასავლეთისა და კავკასიის მიმართულებებზე ზემოქმედებისთვის აქტიურად იყენებს ეკონომიკურ მექანიზმებს, აგრეთვე არათანაბარია მისი ეკონომიკური დამოკიდებულება შუა აზიის რესპუბლიკების მიმართ, მხარს უჭერს იქაურ დიქტატორულ რეჟიმებს, რითაც იმ სახელმწიფოების საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს, რომელთა ტერიტორიაზეც ევრაზიული კავშირის შექმნას აპირებს.

აშკარაა, რომ რუსეთი დაინტერესებულია არა იმდენად კოლექტიური, რამდენადაც საკუთარი უსაფრთხოებით; ამის დასტურია, თუ როგორ ცდილობს რუსული პოლიტიკური ელიტა, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიები გამოიყენოს ბუფერულ ზონად თავისი პოტენციური მოწინააღმდეგეების — ნატოსგან, ავღანურ-პაკისტანური რეგიონის საფრთხისგან, ჩინეთის და მონღოლეთისგან თავდასაცავად.

### კავკასიის სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და აღიარების პერსპექტივა

სირიაში არსებული დაძაბულობა ტყუილად როდი აშფოთებს რუსეთის მთავრობას. იგი ირიბად სწორედ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს. სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებში (განსაკუთრებით კი — კასპიის რეგიონში) რუსეთის სტრატეგიას მხარს უჭერს ირანი. სირია მოკავშირეა ირანისა, რომელიც თურქეთთან კონკურენციაში მის პოზიციებს ამყარებს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ირანელი პოლიტიკური ლიდერები რუსეთში სირიის რეჟიმის კიდევ უფრო თამამი მეთოდებით მხარდაჭერას უწევენ ლობირებას. ამას სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური პოზიციების დაკარგვის საფრთხით ასაბუთებენ. რუსეთის სტრატეგიისთვის ბევრად უფრო სახიფათო ვითარებაა — სირიის რეჟიმის გარდაუვალი კრახის შემდეგ, თურქეთის პოზიცია ისე განმტკიცდება, რომ იგი ირანის ნეიტრალიზაციის საკითხზეც კი მოახდენს გავლენას. ირანის დასუსტება კავკასიისა და შუა აზიის რეგიონებზე რუსეთის გავლენასაც შეამცირებს. სავარაუდო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება კვლავ დაიძაბება, როგორც ეს სეპარატიზმის აღმავლობით 90-იანი წლების დროს მოხდა. საერთაშორისო აღიარების ახალი ფორმულა, რომელიც რუსეთმა გამოიგონა და რომლითაც საქართველოსთვის ახალი გარემოებები შექმნა, მასვე შეუბრუნდება: ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს აღიარებენ არაბული სახელმწიფოები, შესაძლოა, მათ რიგებში აღმოჩნდნენ განახლებული თურქეთი და აზერბაიჯანიც. ასეთ ვითარებაში, რუსეთის შეიარაღებული ძალებისგან მიტოვებული ტერიტორიები სამუდამოდ დაიკარგება საქართველოსთვის და თუ საქართველო ნატოს წევრი არ გახდება, სხვა ტერიტორიასაც კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნება.

25-წლიანი პერიოდი, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში რუსეთი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტად წარმოჩენას ცდილობდა, რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა. საქართველოს მაგალითი სწორედაც რომ იმის მაჩვენებელია, რაოდენ არასტაბილურია რუსეთი, უზრუნველყოს თავისუფალ ხალხთა შორის თანასწორობა და მეგობრობა; შესაბამისად, ჩნდება საკითხი — რამდენად შეძლებს რუსეთი, უზრუნველყოს შემოთავაზებული ევრაზიული კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურმა ელიტამ უკვე დაამყარა ურთიერთობა რეგიონულ ეკონომიკურად ძლიერ ცენტრებთან და ამით, რუსეთის სახელმწიფოს შესაძლო პოლიტიკური კრახის შემთხვევაში ან რუსეთის შეიარაღებული ძალების „სამშვიდობო ოპერაციების (აზერბაიჯან-თურქეთი, უკრაინა-ევროკავშირი), მოლდოვა-რუმინეთი, შუა აზიის რესპუბლიკები — ჩინეთი, საქართველო-აშშ) არსებობისას, თავი დაიზღვია.

### დსთ: „ცივილიზებული განქორწინება“ თუ რუსეთის გადარჩენის მცდელობა

საბჭოთა კავშირის რღვევა იმ მეთოდებმა განაპირობა, რომლებსაც იყენებდნენ იმდროინდელი მესვეურები და ამას რუსეთის მკვლევარები და მეცნიერებიც აღიარებენ. ეს გარდაუვალი იყო — მსგავსი სისტემა ნებისმიერ ქვეყანას დაშლიდა და სწორედ ამგვარივე მეთოდებით აპირებენ ახალი კავშირის შეკოწიწებას.

არსებობს მოსაზრება, რომ დსთ-ს შექმნა აუცილებელი იყო „ცივილიზებული განქორწინებისთვის“. მსგავსი ტერმინების გაშიფვრა განსხვავებულ დასკვნას იძლევა — დსთ რუსეთის ფედერაციის დაშლის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა. ევრაზიული კავშირის ერთადერთი ამოცანა რუსეთის ფედერაციის დენონსაციისა და მწვავე ეკონომიკური კრიზისის თავიდან არიდებაა. ეკონომიკურ კრიზისს ჯერჯერობით ვერ ამჩნევენ როგორც რუსეთელი, ისე „ევრაზიელი“ ობივატელები; სწორედ ასეთივე შეუმჩნეველი იყო საბჭოთა კავშირის კრიზისი, როცა ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანეს და ვიდრე სსრკ არ დაიშალა.

### ევრაზიული კავშირი ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით

დავუბრუნდეთ ევრაზიის კავშირს — ეს იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდში გაჩნდა და ყველაზე მეტ ეფექტიანობას ომის შემდგომ წლებში ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებით მიაღწია. მაშინ შესაძლებელი გახდა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკა და ხალხები ეკონომიკურად დაკავშირებოდნენ ერთმანეთს ინდუსტრიული ობიექტების განსაკუთრებული ინფრასტრუქტურით. კომუნიკაციების ინტენსიფიკაცია და მასობრივი შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა სწორედ ამით გახდა შესაძლებელი.

ასეთსავე პრაქტიკას ნერგავენ ევროკავშირის ქვეყნები — სამთავრობო ინსტიტუტები დედაქალაქიდან პერიფერიაში გადააქვთ და ცდილობენ, ამით ყველა რეგიონი თანაბრად და კომპლექსურად განავითარონ.

სავარაუდო ევრაზიული კავშირის ტერიტორიაზე ასეთი სისტემის შექმნის დრომ ჩაიარა, ხოლო ძველი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა აღდგენას არ ექვემდებარება. ამასთან, ევრაზიული კავშირის შესაძლო რესპუბლიკები უკვე გაერთიანებული არიან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და რეგიონალური თანამშრომლობისა და პარტნიორობის წყალობით ჩართული არიან სხვადასხვა ეკონომიკურ სივრცეში, საიდანაც გამოსვლა ევრაზიური კავშირისთვის ხელსაყრელი ვერ იქნება.

### უსაფრთხოების „ქოლგა“ რუსეთისთვის

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ რუსეთს არ გააჩნია უსაფრთხოების „ქოლგა“ (მაგალითად, აშშ-ს „ქოლგა“ ნატოა, რომელშიც თანაბარუფლებიანი მოკავშირეები პრაქტიკულად შეიარაღებული ძალების ერთნაირი ძლიერებით არიან უზრუნველყოფილი) და კვლავ ერთგულია ფორმულისა: „სხვების უსაფრთხოების უზრუნველყოფით საკუთარ უსაფრთხოებას გრძნობ“. რეალურად, რუსეთი ყველაზე დაუცველია, რადგან:

1. ძალზედ გრძელია მისი საზღვარი მეტისმეტად კონფლიქტურ რეგიონებთან.

2. ძლიერი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები ჰყავს აშშ-ს, ევროპის, ჩინეთის, არაბული ქვეყნების, იაპონიის სახით.

3. ზესახელმწიფოს ამბიციების უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტიანი შიდაპოლიტიკური გარემო აქვს (დასავლეთთან მისი თანამშრომლობა საერთაშორისო არენაზე რუსეთის ხელისუფლების მოჩვენებით თანაბარ დონეს უზრუნველყოფს)

4. განუვითარებელია ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

5. პრობლემურია გარემოცვა — ევრაზიული კავშირის შესაძლო წევრებს რუსეთის შესაძლებლობებისთვის შეუსაბამო სირთულეები და უსაფრთხოების ამოცანები აქვთ მოსაგვარებელი, მეორე მხრივ კი, თუ რუსეთის უსაფრთხოებას რამე დაემუქრება, მისი მხარდაჭერის არასაკმარისი რესურსი გააჩნიათ.

### დასკვნა

რუსთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ნამდვილი ევრაზიული კავშირის შექმნა, სადაც ყველა სახელმწიფო (სიდიდისა და სამხედრო ძლიერების მიუხედავად), თანასწორი იქნება და მათ საქციელზე ვერანაირი საგარეო ზემოქმედების მცდელობა გავლენას ვერ მოახდენს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს უნდა იყოს ჩამოყალიბებული და დემოკრატიული სახელმწიფოების კავშირი, რომელმაც რუსეთის შუამავლობით უნდა გააერთიანოს ევროპისა და აზიის წარმატებული ქვეყნები და არავითარ შემთხვევაში — ყველა ჩამორჩენილი რეგიონი. რუსეთმა უარი უნდა თქვას ზესახელმწიფოს და ყველაზე ბატონობის დოქტრინაზე, აგრეთვე — კორუფციაზე; უნდა დაკავდეს ლოჯისტიკისა და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის საკითხებით, აღადგინოს ევრაზიული თანასწორობისა და ძმობის იდეოლოგია და საფუძველი ჩაუყაროს საერთოევრაზიულ მრავალწახნაგოვან კულტურას... შედეგად, რუსეთი არა მარტო კონტინენტზე, არამედ მთელს მსოფლიოში დამსახურებულ ადგილს მოიპოვებს.

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# პოლიტიკა ის დარგია, სადაც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი იცვლება







პოლიტიკა არითმეტიკა არ არის, სადაც შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

პოლიტიკა ის დარგია, სადაც შესაკრებთა გადანაცვლება ჯამსაც ცვლის და, საერთოდ, ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

ასე, მაგალითად, მარგველაშვილს + ბურჯანაძე სულ სხვა შედეგს გვაძლევს, ბურჯანაძე + მარგველაშვილი — სულ სხვას.

მარგველაშვილი + ბურჯანაძე = ნატოში „შესვლას“, ევროკავშირში „გაწევრიანებას“, ლგბტ საზოგადოების უფლებების დაცვას.

ბურჯანაძე + მარგველაშვილი = რუსეთთან დამობილებას, ვაშლის, ციტრუსის, ბოსტნეულის, ღვინის რუსულ ბაზარზე გატანას, ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას და, როგორც ბურჯანაძე იფიცება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

მარგველაშვილი + ბაქრაძე = „ნაციონალების“ პოლიტიკაში დარჩენას და ერთ-ორ წელიწადში ხელისუფლებაში მობრუნებას.

ბაქრაძე + მარგველაშვილი = კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას და ცალ-ცალკე საფლავებში ჩასვენებას, მოგვიანებით კი მარგველაშვილის პოლიტიკურ დაკოდვას.

აი, ასე იცვლება პოლიტიკაში შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი და არა მარტო ჯამი, არამედ იცვლება ქვეყნის ბედი, მისი აწმყო და მომავალიც...







# ამერიკელები ნესტან კირთაძის გაპრეზიდენტებას აპირებენ?

ქართველები ადრე თუ მოსკოვში დადიოდნენ „კურთხევის“ მისაღებად, ახლა ვაშინგტონში დადიან.

დღეს ვაშინგტონია ჩვენი მოსკოვი, პოლიტბიურო კი — აშშ-ს კონგრესი.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატები რიგ-რიგობით სტუმრობენ აშშ-ს, იქიდან კი ბედნიერები და სახეგაბრწყინებულები ჩამოდიან — თითქოს საპრეზიდენტო არჩევნები უკვე მოგებული ჰქონდეთ და თავზეც საპრეზიდენტო გვირგვინი ეხუროთ.

მართალია, არჩევნები საქართველოში ტარდება, მაგრამ, ვიღაც-ვიღაცების აზრით, არჩევნების ბედი მაინც ვაშინგტონში წყდება და ამიტომაც მიფრინავენ წეროებივით ერთმანეთის მიყოლებით ოკეანის გადაღმა.

პრეზიდენტობის სახალხო კანდიდატი (ეს სახალხო მაინც რაღა უბედურებაა, ვერ გავიგე) ნესტან კირთაძეც კი გაემგზავრა ვაშინგტონს და თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა მოიხადა.

კირთაძეს მისი ყოფილი შეფი ნათელაშვილიც მიჰყვა კვალდაკვალ კაპიტოლიუმის კედლებთან საზიარებლად და ჩამოსვლისთანავე გვახარა, რომ ამერიკელებმა დიდი პატივით მიიღეს.



მათ არც „ნაციონალი“ ბაქრაძე ჩამორჩა და ისიც სავსე მთვარესავით გაბადრული და სახეგაჩირაღდნებული დაგვიბრუნდა.

ნესტან კირთაძის საარჩევნო შტაბიდან საიდუმლოდ გამოჟონილ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, ამ სამი კანდიდატიდან ყველაზე მეტად ამერიკელებს ქ-ნი ნესტანი მოსწონთ თურმე და მისი გაპრეზიდენტების საკითხიც თითქმის გადაწყვეტილია.

ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატები გიორგი მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე ამერიკაში ჯერ არ მიუწვევიათ.

რაიმე ფარსაგი ხომ არ ხდება ჩვენს თავს და ეს სიურპრიზების მოყვარული ამერიკელები ნესტან კირთაძის, შალვა ნათელაშვილის ან, კიდევ უკეთესი, დავით ბაქრაძის გაპრეზიდენტებას ხომ არ გვიპირებენ?

თუ მოინდომებენ, გაუჭირდებათ თუ რა?

— ამ კანდიდატებს ქართველი ხალხი არ მისცემს საჭირო რაოდენობის ხმებს — შემომედავება რომელიმე გულუბრყვილო ოპონენტი.

ვინ კითხავს, კაცო, ქართველ ხალხს, რა ღირს ბალი ვაშინგტონის ბაზარში?

# აფხაზეთის დაკარგვა მოღალატე ქართველების სინდისზეა

## საქართველოს დღემდე არ გააჩნია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია

*2013 წლის 27 სექტემბერს 20 წელი სრულდება, რაც ქართველებმა სოხუმი დატოვეს.*

*ცოტა ხნის წინ აფხაზეთიდან დევნილებმა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ დააარსეს. ჩვენი სტუმარია კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი, კონსტიტუციალისტი* ***ოთარ ბენიძე.***

**- ბატონო ოთარ, 1993 წლის 27 სექტემბერს პირადად თქვენ სად იყავით?**

- ვიყავი სოხუმში. დილით ჟიული შარტავამ მითხრა 10.30-ზე თათბირს ვატარებო, რომელსაც რა თქმა უნდა, უნდა დავსწრებოდი, მაგრამ ვუთხარი, რომ თათბირს ვერ დავესწრებოდი, ვინაიდან სოხუმიდან ჩემი ოჯახის წევრები უნდა გამეყვანა. გავალიცილებ მეთქი და დავბრუნდები. მაგრამ როცა 4 საათზე მინისტრთა საბჭოში დავბრუნდი, იქ აღარავინ იყო, შენობა



უკვე იწვოდა. ამის შემდეგ დავბრუნდი ჩემს ცარიელ სახლში, აფხაზმა მეზობლებმა მითხრეს, რომ ვიღაცეები მეძებნენ და ჯობდა სახლი დამეტოვებინა.

**- გაგანია ომში მეზობლური ტრადიციები არ დაურღვევიათ?**

- 1992 წლის აგვისტოში ჩვენც იგივეს ვაკეთებდით, მაქსიმალურად ვცდილობდით დაგვეცვა აფხაზები კიტოვანის რაზმელებისგან. შემოვიდა კიტოვანი და ხელისუფლების დამხობა და სოხუმის აღება მოგვილოცა. რომელ სოხუმს იღებდა და რა ხელისუფლებას ამხობდა?! ის პირდაპირ ასრულებდა დავალებას, მე ამას საჯაროდ 1992-იც ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ.

**- მეზობლების გაფრთხილების შემდეგ რაგორ მოიქეცით?**

- წავედი ახლობლებთან გულრიფშის რაიონში, რომელიც 28 სექტემბერს 3 საათზე ჩემს თანამშრომლებთან, მეგობრებთან ერთად დავტოვე. სვანეთით თბილისამდე 13 დღე მოვდიოდით. ბოლო წუთამდე იმედს არ ვკარგავდით, არ გვეგონა, რომ სოხუმში აღარ დავბრუნდებოდით. სვანეთში სოფელ მერხეულში შევჩერდით, ბიჭებს შევთავაზე, მოდით აღარსად ვიაროთ, ღამე აქ გავათენოთ, ხვალ ხომ მაინც დავბრუნდებით თქო. დღესაც მახსოვს, როგორ შემომხედეს..

**- ახლა 20 წლის შემდეგ იმ ბოლო დღეებზე რას ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, რომ იყო ძალიან დიდი ღალატი, ბოლო დღეებში ვიღაც ადამიანები, რომლებსაც ზოგს ვიცნობდი, ზოგს არა, გამოდიოდნენ ქალაქში და თესავდნენ პანიკას, ყვიროდნენ, რას უყურებთ, ყველაფერი დამთავრდა, დატოვეთ სახლები, წადით, დატოვეთ აფხაზეთი და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დღეებზე არა ნაკლებად რთული ვითარება იყო 1993 წლის მარტშიც, მაგრამ მაშინ ასეთი პანიკა სოხუმში არ ყოფილა და ქალაქმა გაუძლო კიდეც.სოხუმის დამცველები გმირულად იბრძოდნენ.

90-ანი წლების დასაწყისში ყველანაირად გაანადგურეს სამეგრელო, რომ სამეგრელოს აფხაზეთის დაცვის თავი აღარ ჰქონოდა.

ზოგიერთი დღესაც კითხულობს, რა კავშირი აქვსო აფხაზეთის ომს სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებთან. მე ვამბობ, ამ მოვლენებს აქვს პირდაპირი კავშირი.

კიტოვანი რომ სოხუმში შემოვიდა და არძინბას დამხობა მოგვილოცა, იქ კი არ უნდა გაჩერებულიყო, უნდა წასულიყო ფსოუმდე, მაროდიორობა კი არ უნდა დაეწყო, აფხაზების, რუსების, ქართველების ძარცვით არ უნდა დაკავებულიყო.

**- თქვენ მინისტრის თანამდებობა გეკავათ არძინბას ხელისუფლებაში, როგორი ურთიერთობები გქონდათ მასთან?**

- საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა ბატონ ვლადისლავ არძინბასთან. აფხაზეთის სტატუსის დამდგენი კომისია იყო არა მხოლოდ თბილისში, იყო სოხუმშიც, კომისიის თავმჯდომარე იყო ვიცე-პრემიერი და ჩემი უახლოესი მეგობარი ვლადიმერ მიქანბა, მას იურიდიული განათლება არ ჰქონდა, მე ვიყავი მისი მოადგილე, ფაქტიურად იურიდიულ საკითხებს ვწყვეტდი მე. ჩვენი კომისიის სხდომებზე პრივატულ საუბრებში არძინბა მეუბნებოდა, ოთარ, საქართველოს ვერსად გავექცევით, მაგრამ მოდი ვიბრძოლოთ მეტი უფლებებისთვის ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.

**- თქვენ ახლახან დააფუძნეთ „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“, რომლის ერთ-ერთი მიზანია დევნილთა მონაცემთა ბაზის შექმნა. 20 წლის წინ რამდენი დევნილი ჩამოვიდა აფხაზეთიდან?**

- იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობაზე ლაპარაკი მიჭირს, ხშირად ხდება ამ საკითხით სპეკულირება. აფხაზეთში ომამდე მთავრობაში ვმუშაობდი და ვიცი, ბოლო აღწერით აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალური მონაცემების თანახმად ცხოვრობდა 243,4 ათასი ქართველი, მოსახლეობის საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი. კონფლიქტის დროს ბევრი დაიღუპა. იმედი მაქვს, ახალ აღწერას რომ ჩავატარებთ, ზუსტად გვეცოდინება.

**- 20 წლის განმავლობაში რატომ ვერ შეიქმნა დევნილთა მონაცემთა ბაზა?**

- ეს ხომ შეგნებულად კეთდებოდა! რა თქმა უნდა, მონაცემთა ბაზის შექმნას ფინანსური რესურსები სჭირდება, მაგრამ არც ისეთი რესურსები, რომ 20 წლის განმავლობაში რეალური აღწერა ვერ განხორციელებულიყო.

**- უცხოეთში სამუშაოდ წასულ აფხაზეთიდან დევნილებს წასვლისთანავე უწყდებათ 28 ლარიანი შემწეობა, ეს სამართლიანია?**

- ეს არის სრულიად უკანონო. არაკანონიერია, როცა დევნილს საზღვრის გადაკვეთისთანავე უხსნიან 28 ლარიან შემწეობას. ეს არის კონსტიტუციის და კანონის საწინააღმდეგო ქმედება.

თუ შემწეობას უხსნი, მაშინ სტატუსიც უნდა მოუხსნა, ეს ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. ყველამ, და პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა განიცადეს მორალური და მატერიალური კატასტროფა! მათ დახმარება, თანადგომა სჭირდებათ!

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს 20 წელი თანმიმდევრული სტრატეგიული გეგმა არ გააჩნდა.

თემურ იაკობაშვილის მიერ წარმოდგენილ გეგმას სტრატეგიულ გეგმას ვერ დავარქმევდი, ის ლოკალური მომენტების გადამწყვეტი იყო. ძირითადად ნდობის აღდგენას ემსახურებოდა,რაც რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ფაქტიურად საძირკველია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების. მაგრამ სტრატეგიული გეგმა სულ სხვა რამეს ნიშნავს.

**- იმუშავა შემდგომში ამ იაკობაშვილის გეგმამ?**

- არა, არც ყოფილა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა.

**- უბრალოდ დაიწერა?**

- დიახ, უბრალოდ დაიწერა.

1996 წლამდე, სანამ საკონსტიტუციო სასამართლოში გადამიყვანდნენ, ვმონაწილეობდი თითქმის ყველა აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში. მოსკოვის, სოჭის ფორმატის მოლაპარაკებებში დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით. სოჭში იცით რა კონდიციამდე მივედით?! შევთანხმდით დევნილთა დაბრუნებაზე, შევადგინეთ სიები მოქალაქეების, ვინც უნდა დაბრუნებულიყო, მათი



უსაფრთხოების მექანიზმებზე. მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამივე მხარეს, ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს დაევალა. გამოიყო ამისთვის ავტობუსები...

**- დაუჯერებელია..**

- ამ დოკუმენტების ასლები ახლაც სახლში მიდევს. ქართულ დელეგაციას მაშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე ხელმძღვანელობდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ხალხი, ავტობუსები უკვე მზად იყვნენ წასასვლელად, განხორციელდა სატელეფონო ზარი და ყველაფერი შეჩერდა. დღემდე ვერ გავარკვიე, თუ რატამ შეჩერდა დაწყებული პროცესი.

ქალბატონო ელენე, რატომ არ მეკითხებით, რატომ არ გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა 1993 წლიდან 1999 წლამდე?

**-რატომ არ გამოაცხადა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა 1999 წლამდე?**

- იმიტომ რომ ჩვენგან რეალურ წინადადებებს ელოდებოდნენ. ფორმალურად აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა 1999 წელს გამოაცხადა. შეიძლება ვიღაცას ჩემი ნათქვამი არ მოეწონება, მაგრამ მაშინ საკმაოდ საინტერესო წინადადება ჰქონდათ „რესპუბლიკელებს“, მაგრამ „რესპუბლიკელების“ წინადადება იყო აღქმული თბილისში როგორც საქართველოს ღალატი.

20 წელია ჩვენ სახლს ვაშენებთ სახურავიდან, საძირკველის გარეშე. სანამ ტერიტორიული საკითხი არ გადაწყდება, საქართველო პერმანენტული კრიზისის ვითარებაში იქნება. რაში ვართ დამნაშავენი. ვთვლი, რომ ამ კონფლიქტში უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვართ დამნაშავეები.

**- გაქვთ აფხაზ ყოფილ კოლეგებთან, მეგობრებთან ურთიერთობები?**

-მქონდა და მაქვს. ამას არ ვმალავ, ან რა მაქვს დასამალი. მყავდა ორი უახლოესი მეგობარი, აფხაზეთის დღევანდელი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და ვლადიმერ მიქანბა, ომის შემდეგ მას თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა. ჩემს დროს კი იყო ვიცე-პრემიერი. მათ ძალიან სურდათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი აეცილებინათ...

**- გჯერათ, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით? სვანეთში 1993 წლის 28 სექტემბერს ხომ გეგონათ სოხუმში მეორე დღეს დაბრუნდებოდით?**

- ყველა ახლობელი ყოველთვის გამოუსწორებელ ოპტიმისტს მეძახდა. ვარ ოპტიმისტი, მაგრამ თავის თავად დაბრუნება არ მოხდება.ისე, რომ ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძებთ და აღმოვჩნდებით აფხაზეთში, ან დაგვპატიჟებენ, თქვენი ჭირიმე, ისე მოგვენატრეთ, როგორმე დაბრუნდითო. 20 წელი საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ ჰქონია კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია. მაპატიეთ და, დოყლაპიობით ვიყავით დაკავებულები.

ომის დამთავრებისთანავე ცხელ კვალზე , 90-ან წლებში დაბრუნებაც და ბევრი საკითხის მოგვარება შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში გაცილებით ადვილი იყო. ხელისუფლებას ამის ნება უნდა ჰქონოდა, რომელიც არ ჰქონდა.

ახლა საკმაოდ აქტუალური თემაა რკინიგზის საკითხი. ამ სტატიას თუ წაიკითხავს ბატონი ედუარდ შევარდნაძე გაიხსენებს. ერთ-ერთი შეხვედრის წინ რკინიგზაზე გვქონდა საუბარი და ჩემი აზრი მოვახსენე, დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას მეთქი რკინიგზა. ბატონ შევარდნაძეს ჩემი მოსაზრება დავუსაბუთე, ვთქვი რომ რაც მეტი კომუნიკაციის საშუალება იქნება, მით უკეთესი. რომ რკინიგზის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ნდობის აღდგენას, ნდობის აღდგენის შემდეგ კი საუბარი პოლიტიკურ საკითხებზეც შეიძლებოდა. ბატონმა ედუარდმა მიპასუხა, ოთარ, რკინიგზა ჩვენი კოზირიაო. გავიდა 20 წელი, რა კოზირია?! არაფერი კოზირი არ არის! დღესაც მიმაჩნია, აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლა უნდა აღდგეს.

**-დაუშვათ, მოხდა სასწაული და აფხაზეთიდან დევნილები ბრუნდებით აფხაზეთში.**

-ჩემთვის ერთი დასკვნა გამოვიტანე. თუ საკითხი მოლაპარაკებებზე დადგა პოლიტიკური მოგვარების კუთხით, რა თქმა უნდა ეს ჩიხია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ, ან ჰუმანიტარული საკითხის გადაწყვეტა, რასაც დევნილი მოსახლეობის დაბრუნება ჰქვია და რეალობასთან ახლოს არის, ან პოლიტიკურ მოგვარებაზე ვილაპარაკოთ, რაც უსასრულობამდე მიგვიყვანს.

**აფხაზეთის მთავრობის წევრი, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი არჩილ ჭითავა კავშირის მიზნებზე და ამოცანებზე გვესაუბრება:**

- ჩვენმა ორგანიზაციამ ყველა დევნილი უნდა გააერთიანოს , როგორც საქართველოში მცხოვრები, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ წასული. ჩვენ აფხაზეთში უნდა დავბრუნდეთ, მაგრამ იმისთვის რომ დავბრუნდეთ, ანგარიშგასაწევი ძალა უნდა გავხდეთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე აფხაზეთისთვის, რუსეთისთვის,საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. თუ ყველამ ჩვენი ერთობა არ დაინახა, არასდროს ანგარიშს არ გაგვიწევენ. ხვალ რომ დაბრუნების პროცესი დაიწყოს ,გაიხსნას გზა,თუ დევნილები არ გავერთიანით, დაბრუნების პროცესიც ვერ შედგება. ჩვენ უნდა ვიყოთ წარმოდგენილები საქართველოს მთავრობაში, საქართველოს პარლამენტში,უნდა გვქონდეს ჩვენი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. სანამ გავლენა არ გვექნება საქართველოს პარლამენტში, საქართველოს მთავრობაში, ჩვენ ხმას ვერავინ გაიგონებს.

ვფიქრობ დადგა დრო, როცა ყველა ხვდება გაერთიანების აუცილებლობას. „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი“ გააერთიანებს საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრებ დევნილებს და გადაიქცევა ანგარიშგასაწევ ძალად.

# რა ხდება საქართველოს ფსიქიატრიულ რესპუბლიკაში?

## ქვეყანა შიზოფრენიის ზღვარზე



**ვახტანგ ხარჩილავა**

ამას წინათ ერთ პოლიტიკურ თოქ-შოუს ვუყურე ერთ ქართულ ტელეარხზე.

იმდენი ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანი ვნახე გადაცემაში, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა.

დანამდვილებით რომ არ მცოდნოდა, გადაცემა ტელესტუდიაში მიდიოდა, შეიძლება მეფიქრა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვიყავი და უკიდურესად აღგზნებული ადამიანების ჩხუბსა და კამათს ვუყურებდი.

გადაცემის წამყვანზე გავბრაზდი: — რა არის ეს? სპეციალურად მოიყვანა ამდენი ნერვებდაჭიმული და ფსიქიური აშლილობის ზღვარზე მყოფი ადამიანი, რომ ერთმანეთს მიუსიოს და სეირისთვის გვაყურებინოს, თუ რა ხდება-მეთქი?

თუმცა გადაცემის წამყვანს რა უნდა ექნა — ჯანმრთელობის ცნობას ხომ ვერ მოსთხოვდა გადაცემის მონაწილეებს?

წამყვანი აბობოქრებულ აუდიტორიას ვერ აშოშმინებდა, თუმცა არც მოწვეული სტუმრების დაწყნარება იყო ადვილი, რომლებიც თავიანთი აგრესიულობით აუდიტორიას არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

თუ დააკვირდებით, ქართულ ტელევიზიებს რამდენიმე აშკარად შიზოიდური სუბიექტი ჰყავთ ამორჩებული, რომლებიც „ნაცმოძრაობის" აქტიურ მხარდამჭერებად მოიაზრებიან.

ამ შიზოიდურ ტიპებზე დიდი ტაციაობაა — ხან ერთი ტელევიზია მიათრევს თავის გადაცემაში, ხან — მეორე, ხან — მესამე.

გადაცემის ავტორთა მიზანი მარტივია — ამგვარი გაუწონასწორებელი ადამიანების მონაწილეობა იმის გარანტიაა, რომ გადაცემაში აუცილებლად იქნება დაპირისპირება, კონფლიქტი, აგრესიული გამოხტომები, თვალების ქაჩვა. ხელების შლა, გამიშვი და გამაკავე, ეს კი გადაცემის რეიტინგს მაღლა სწევს ხოლმე. ანუ რაც მეტი აყალ-მაყალი და გნიასია ამა თუ იმ თოქ-შოუში, მით უფრო მაღალრეიტინგულია იგი.

ასეთია კრიტერიუმი, რომლითაც დღეს სატელევიზიო გადაცემების რეიტინგი იზომება.

... იმ ავადსახსენებელ საღამოსაც, იმ ავადსახსენებელი თოქ-შოუს ჩამთავრების შემდეგ ერთ-ერთმა სტუმარმა გულწრფელად შეაქო გადაცემის წამყვანი — როგორი ცოცხალი და დინამიური გადაცემა გამოგივიდა... ყოჩაღ, შენო!

არადა, როგორც გითხარით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მეგონა თავი, ამ გადაცემას რომ ვუყურებდი.

იქნებ მართლაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვართ და ვერ ვხვდებით?

**საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკაო, — თქვა ზაზა შათირიშვილმა ერთ ინტერვიუში და ვფიქრობ, ძალიან საგულისხმო და საგანგაშო რამ ითქვა ამ ფრაზით.**

ხომ არ გგონიათ, ზემოთ ნახსენები ის თოქ-შოუ ერთადერთი იშვიათი გამონაკლისია ქართულ ტელესივრცეში?

არა, როგორ გეკადრებათ, თითქმის ყველა თოქ-შოუ, რაც კი ქართულ ტელეეკრანებზე გადის, ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ვიღაცას ძალიან უნდა, მთელი ქვეყანა გადაგვიყვანოს ჭკუიდან და პირდაპირ ღია ეთერში დავერიოთ ერთმანეთს, მერე კი ეს აგრესია „გარეთ", რეალურ ცხოვრებაში გადავიტანოთ და ეკრანზე დაწყებული ომი იქ გავაგრძელოთ.

* * *

იაპონელი მეცნიერების მტკიცებით, 21-ე საუკუნეში კიბო დამარცხდება, მაგრამ 21-ე საუკუნე მასობრივი შიზოფრენიის საუკუნე იქნება.

საუკუნის პირველი ათწლეულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იაპონელები არ ცდებიან.

სულ რაღაც 13 წელი გავიდა 21-ე საუკუნის დაწყებიდან, მაგრამ უკვე იმდენი საშინელებაა ჩადენილი, იმდენი სისხლია დაღვრილი, ორ საუკუნეს ეყოფა ცოდვად.

მხოლოდ შიზოფრენიკებს, სადისტებს და მანიაკებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ის, რაც ამ 13 წლის განმავლობაში ხდებოდა — დახოცილია ასიათასობით ბავშვი, მოხუცი, ქალი და, რაც ყველაზე ამაზრზენია, ეს ყველაფერი დემოკრატიის და ჰუმანური იდეების დამკვიდრების სახელით გაკეთდა.

ჩვენ გვაყურებინეს, როგორ ჩამოახრჩვეს ადამიანი, გვაყურებინეს, როგორ გაურჭვეს დანა უკანალში მეორე ადამიანს და როგორი წამებით მოკლეს.

ეს გაფრთხილება იყო — ვინც მათ არ დაემორჩილება, ყველას ასე დაემართება!

თუ კარგად გააანალიზებ მსოფლიოში მომხდარ ამბებს, დარწმუნდები, რომ მსოფლიოს მართვის სათავეებთან შიზოიდები, მკვლელები და მანიაკები დგანან.

**ის, რაც საქართველოში მოხდა 2003-2012 წლებში, „ნაცმოძრაობის" 9-წლიანი მმართველობის დროს, როგორც ჩანს, მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების გაუკუღმართებული, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი არ იყო.**

როცა საშინელი საიდუმლოება ბოლომდე გაცხადდა, როგორც ჩვენთვის, ასევე ე.წ. საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობისთვის, გვეგონა, ეს თანამეგობრობა უკიდურესად აღშფოთდებოდა და დამნაშავეების დასჯის მოთხოვნას შეუერთდებოდა, უცებ ამის სანაცვლოდ დამნაშავეებთან კოაბიტაცია შემოგვთავაზეს და დღემდე იძულებულს გვხდიან, ამ რეჟიმში ვიცხოვროთ.

კოაბიტაცია — აი, ეს იყო ყველაზე დიდი ცოცხის ტარი, რაც ამათ ქვეყანას უკანალში გაურჭვეს.

ჩვენს გულუბრყვილობასაც ხომ საზღვარი არ აქვს — ვინ უნდა აღშფოთებულიყო, ვის რა უნდა გაჰკვირვებოდა, როცა თვითონ მათ გაცილებით უფრო შემზარავი საქმეები აქვთ გაკეთებული.

ის, რაც ერაყში და ლიბიაში მოხდა, საქართველოში გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მოკლეს, ქართველს ქართველი ახოცინეს და ნახევარი საქართველო საკუთარი ხელით გადააწვევინეს.

* * *

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოში 80 000-მდე შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი ცხოვრობს.

საუბარია ავადმყოფობის მძიმე ფორმებით შეპყრობილ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, განკურნებას არ ექვემდებარებიან.

სპეციალისტთა აზრით, ყოველ მეხუთე ადამიანს საქართველოში მეტ-ნაკლები სიმძიმის ფსიქიკური პრობლემები აქვს, თუმცა მათი უმრავლესობა დახმარებისთვის ექიმს არ მიმართავს.

ყოველი მეხუთე კი არა, გასაკვირი ის არის, როგორ არის საღ ჭკუაზე ის დანარჩენი ოთხი?!

**საერთოდ, როგორ არის საღ გონებაზე ერი, რომელმაც 25 წლის განმავლობაში ამდენი სტრესი, შიში, ტერორი, დამცირება და შეურაცხყოფა გადაიტანა?!**

**ჩვენ ვცხოვრობთ მუდმივი არასტაბილურობის, მუდმივი უწონადობის მდგომარეობაში, რაც არამარტო ფიზიკურად, არამედ, პირველ ყოვლისა, ფსიქიკურად ფიტავს და ანადგურებს ადამიანს.**

გასაკვირი და გასაოცარია, რომ ასეთი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მყოფი ერი კრიტიკულ სიტუაციებში მაინც ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას, თუმცა ფსიქოლოგთა აზრით, დიდხანს ნათმენი წყენა, ბოღმა თუ აგრესია განსაკუთრებით საშიშია. ის შეიძლება ერთმა ნაპერწკალმა მოიყვანოს მოქმედებაში და მაშინ ის ყოვლის დამანგრეველ და ყოვლის წამლეკავ ენერგიად გარდაიქმნება.

დაიმახსოვრონ ეს, ძველი თუ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც დღესაც ცუდად ეღლაბუცებიან ხალხს, რომლებსაც ისედაც უკიდურესად დაჭიმული აქვთ ნერვები და მეტ იმედგაცრუებას და შეურაცხყოფას ვერ მოითმენენ.

* * *

**ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლიდან სულ მალე, ერთ-ერთ გადაცემაში ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ, რომ ის სერიოზულად არის გატაცებული ფსიქოანალიზით და ამ მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობს და ბევრს კითხულობს.**

**სამწუხაროდ, მას იმ გადაცემის შემდეგ ამ თემაზე საუბარი არ გაუგრძელებია.**

**როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებმა ურჩიეს, რომ პოლიტიკოსისთვის ფსიქოანალიტიკის საკითხებზე სერიოზული მსჯელობა მთლად მიზანშეწონილი არ არის.**

**არადა, ბიძინა ივანიშვილი ზუსტად იმ თემას შეეხო, რომელიც უაღრესად საჭირო და უაღრესად პრობლემატური ქართული საზოგადოების განვითარებისთვის.**

ივანიშვილის ამ საუბრიდან, სხვა მრავალ საინტერესო მოსაზრებათა შორის, ერთი ფრაზა დამამახსოვრდა განსაკუთრებით.

— ბავშვი დედამ უნდა აღზარდოს! — თქვა ბატონმა ბიძინამ და მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ქირქილი დაიწყეს — ამას რა მიხვედრა უნდა? ბავშვი დედამ რომ უნდა აღზარდოს, ამას რა მეცნიერული დასკვნა სჭირდება?

საქმე ის არის, რომ ამ ერთი შეხედვით ყველას მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას დიახაც რომ კიდევ ერთხელ სჭირდება სათანადო არგუმენტებით განმტკიცება.

უდედოდ (დედები საზღვარგარეთ არიან წასული საშოვარზე), ბებიების, ბაბუების, ნათესავების, მეზობლების მიერ გაზრდილი მთელი თაობები გვყავს უკვე, რაც ადრე თუ გვიან, ბუმერანგივით შემოგვიტრიალდება...

* * *

გიჟს მეძახიან ვიღაც-ვიღაცები! — ისე მხიარულად, ისეთი ბედნიერი სახით იტყვის ხოლმე სააკაშვილი, გეგონება, კომპლიმენტი უთხრესო.

თუ „ფსიხოს" არ წარადგენ, ისე ავტომანქანის მართვის უფლებას არ მოგცემენ.

რატომ არის სახელმწიფოს მართვა ავტომანქანის მართვაზე უფრო ადვილ საქმედ მიჩნეული, რომ სახელმწიფოს მართვის მსურველებს „ფსიხოს" არ სთხოვენ, რის შემდეგაც ხელში გიჟი, პარანოიკი, შიზოიდი შეგვრჩება, ხოლო მის მიერ „მართული" ქვეყანა ხან რას მიეხეთქება და ხან — რას.

ავადმყოფს რას ვერჩი, რა მისი ბრალია, ავადმყოფად თუ დაიბადა, მე იმ ჭკვიანებისა მიკვირს, გიჟს რომ ჭკვიანისგან ვერ ასხვავებენ და თავიანთ წინამძღოლად ირჩევენ?

მართლა ფსიქიატრიული რესპუბლიკა ვართ თუ რა უბედურება გვჭირს?



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: თქვენ გგონიათ, ეს ცრუ შეტყობინებები ტერაქტების შესახებ შემთხვევითია? ერთხელაც იქნება, მართლაც რაღაც უბედურება მოხდება, რაც სააკაშვილს საშუალებას მისცემს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და არჩევნები გაურკვეველი დროით გადასწიოს...

# რატომ მიდის ივანიშვილი პოლიტიკიდან 10 თვის და არა 2 წლის შემდეგ?

*გვესაუბრება უფლებადამცველი* ***დიმიტრი ლორთქიფანიძე:***

**— ბატონო დიმა, როგორ შეიძლება აღდგეს სამართლიანობა ახალი ხელისუფლებისა და „ნაცების“ კოაბიტაციის რეჟიმში?**

— „ქართული ოცნების“ აპოლოგეტები ხშირად გვახსენებენ, ივანიშვილმა წასვლაზე განცხადება, მოსვლისთანავე გააკეთაო, რომ იგი ქართული პოლიტიკიდან ორ წელიწადში წავიდოდა. ასევე, გვახსენებენ, რომ ბატონმა ბიძინამ უზარმაზარი ჭირი — სააკაშვილი მოგვაშორა. ნინელი ჭანკვეტაძემ სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე თქვა — ქართველი ერი ივანიშვილთან ვალშიაო. ეს ყველაფერი არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს, მსგავსი განცხადებები მანუგეშებელი ვერ იქნება. არ ვიცი, რამდენად მაამებელია ეს განცხადებები თავად ივანიშვილისთვის, როგორი პიროვნებაა იგი და რამდენად სიამოვნებს მლიქვნელობა. მინდა მჯეროდეს, რომ მას ეს არ სიამოვნებს. ასევე, **მინდა ვიცოდე მიზეზი, რატომ მიდის ივანიშვილი პოლიტიკიდან 10 თვის და არა 2 წლის შემდეგ**. ასეთი წასვლა ძალიან ბევრ ლეგიტიმურ ეჭვს ბადებს. მით უმეტეს, იმ მაკომპრომეტირებელი მასალებით გამართული ომის ფონზე, რასაც ძველი ხელისუფლება უცხადებს მას, როგორც ქვეყნის არასასურველ ლიდერს. დღესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ახალ ხელისუფლებაში უხვად მოიძებნებიან ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე „ნაც. მოძრაობის“ დამფუძნებლები იყვნენ. ასევე, უხვადაა ისეთი პიროვნებები, რომელთა წინააღმდეგ „ნაც.მოძრაობა“ ძალიან კონკრეტულ მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას ფლობს. ამის გამოძახილია 17 ათას ფაილამდე, სამალავში აღმოჩენილი კომპრომატები, რომელთა შინაარსის დაკონკრეტებისგან, პრემიერ-მინისტრის გარდა, რატომღაც ყველა თავს იკავებს. მან თქვა რომ თანაგუნდელები ეკითხებიან, თუ როგორ მოიქცნენ, რადგან მათ წინააღმდეგ აუდიო-ვიდეო ჩანაწერები არსებობს, რაც მათი პირადი ცხოვრების ამსახველია და ოჯახის ერთიანობას და მთლიანობას დიდ საფრთხეს უქმნის. „ნაც.მოძრაობის“ წარმომადგენლები 9 წლის მანძილზე ადამიანების მოტაცებით, გაუპატიურებით, წამებით იყვნენ დაკავებულნი, დღეს კი ელემენტარულად ქვეყნიდან გაქცეულნი არიან.

**— მაშინ, როცა ქვეყანა დაულაგებელია, ივანიშვილი კი დაგვპირდა, დალაგებულ ქვეყანას დავტოვებ და ისე წავალო, ეს ნაბიჯი როგორ გესახებათ?**

— ივანიშვილის პოლიტიკიდან დროზე ადრე წასვლა მაფიქრებინებს შემდეგს — მან დეტალური ანალიზი გააკეთა, მრჩეველთა საბჭოსგან რჩევები მიიღო და მივიდა დასკვნამდე, რომ პოლიტიკაში მისი ადგილი აღარაა. ახლა მისი ფავორიტი მარგველაშვილია. სხვათა შორის, 10 თვის წინ მისი ფავორიტი ხმალაძე იყო. მსგავსი განცხადება, მარგველაშვილის მიერ დაგროვებულ ხმების რაოდენობაზე უარყოფითად იმოქმედებს. ჩემი ვარაუდით, ივანიშვილის „უდროო“ განცხადების გამო მინიმუმ 10% მოაკლდება. რას დავაბრალოთ ეს — სიბრიყვეს, შეცდომას თუ უბრალოდ ემოციურ ფონზე წარმოთქმულ ფრაზას? — რა თქმა უნდა, ასე არაა. თუ პრემიერ-მინისტრი მოსალოდნელი არჩევნების შედეგების მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს, მას ასეთი შეცდომა, უბრალოდ არ მოუვა. მაშ, რასთან გვაქვს საქმე? მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია სრულიად არადამაჯერებლად მიდის. პირადად მე არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილის შინაგანი მრწამსი დაგეგმილ საარჩევნო კამპანიასთან თანხვედრილია. ამის ნათელი დადასტურება სპორტის სასახლეში მისი არადამაჯერებელი, არამყარი გამოსვლა იყო. მარგველაშვილი სულაც არ ბრწყინავს სხვა წარმოდგენილ კანდიდატებს შორის.

**— რას იტყვით სალომე ზურაბიშვილზე. რამდენად სამართლიანია ის, რომ იგი საარჩევნო კამპანიას გამოეთიშა და რითაა ეს განპირობებული?**



— წარმოგიდგენიათ, სალომე ზურაბიშვილს საქართველოს მოქალაქეობაზე ფორმალურად უარი რომ ეთქვა, იგი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მიიღებდა. ეს ნონსენსია, სატირალია. ეს არაა ტიპიური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ **მთელი ჩვენი სახელმწიფო თავისი არსით ხელისუფლებიან ოპოზიციიანად იყო არის და რჩება მარიონეტული**. „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკაში არსებობის 10 თვის მანძილზე პოლიტიკური ნება არ ეყო, აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება მოეხდინა, ეს საკითხი ფორმალურად ერთი თვის ვადაში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ კომისიაზე გაეტანა, რითაც ეს ნორმა დარეგულირდებოდა და მათ ლიდერზე მორგებული აღარ იქნებოდა. 1 ოქტომბრის არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ თავი გადადო. ეს ივანიშვილის სერიოზულ შეცდომაზე მიუთითებს და არა მხოლოდ სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვისა და მათი რეაბილიტაციის კანონიც ვერ ავამოქმედეთ. დღემდე ორმაგ სტანდარტს მივყვებით, აქ უკვე „ნაცებზე“ აღარ მაქვს საუბარი. 10 თვე საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ოკუპაციის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კანონი, როგორც მინიმუმ იმ რეალობასთან შესაბამისობაში ყოფილიყო, რასაც საზოგადოება ითხოვს.

**არ შეიძლება ნაწამები, ნატანჯი, მოკლული მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახი ერთჯერად 300-ლარიან კომპენსაციაზე გყავდეს და ამ დროს ქვეყნის პატრიოტი გერქვას**.

**— რა იგულისხმება სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენაში, როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები ამ კუთხით?**

— მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ყველაფერზე ადეკვატურად იმსჯელა, თუნდაც ამის მცდელობა ჰქონდა? პოლიტიკური გუნდი — რეჟიმის შემოქმედი ადეკვატურად შეფასდა, გამოიკვეთა, როგორც ყოველგვარი ბოროტების სათავე და წყარო? — არა! ციხეში მოათავსეს პარტიის გენერალური მდივანი, რითაც „ნაც. მოძრაობას“ სალაპარაკო დაუტოვეს — ჩვენ, არათანაბარ პირობებში ვეწევით საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიას, მაშინ როდესაც





ჩვენი გენერალური მდივანი ციხეშიაო. რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ვანო მერაბიშვილთან ერთად ციხეში თავს მოიყრიდა, მათ შორის იმპიჩმენტის წესით გადაყენებული იქნებოდა სააკაშვილი (რომლის იმპიჩმენტის წესით გადაყენების შესაძლებლობა „ქართულმა ოცნებამ“ იანვარში ხელიდან გაუშვა)? ასევე, კუბლაშვილი, რომლის მიმართ არათუ იმპიჩმენტი იქნა გამოყენებული, არამედ მან ივანიშვილის მხრიდან რევერანსები დაიმსახურა. ამას მოჰყვა ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების საკითხში „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი პოზიცია დათმო, რითაც პოლიტიკური მარცხი განიცადა. საზოგადოების განცდა ასეთია — **„ქართული ოცნება“ ეს მკვდრადშობილი კოალიციაა, ესაა ცვედანი და ბერწი პოლიტიკოსებისგან შემდგარი არარაობა,** რომლის ფუნქცია „გათეთრებაა“. თუკი ვერ ახერხებ პოლიტიკური ამოცანის შესრულებას, ამით იმ პოლიტიკურ ოპონენტს, რომელიც საზოგადოების თვალში მტერია, რეაბილიტაციის საშუალებას აძლევს. ჩემი პროგნოზი, სამწუხაროდ, ძალიან სავალალოა. ქართველ ამომრჩეველს შინაგანი მოწესრიგებულობის, მწყობრი ნაბიჯებით სიარულის ბიორიტმი გააჩნია.

**ივანიშვილის პერსონალური წვლილი მართლაც ფასდაუდებელია. მისი ლანძღვის, შეურაცხყოფის, გინების უფლება საკუთარ თავს არცერთმა ჩვენთაგანმა არ უნდა მივცეთ, ეს ცხადია, მაგრამ 27 ოქტომბერი ზღვართა შორის ზღვარი იქნება.**

სამართლებრივი გარემოს პირობა აღუსრულებელია და ეს ხალხში თავის კალაპოტს მონახავს. ეს იქნება ერთგვარი კანონზომიერება, რასაც ქართველი ხალხი აღასრულებს. 27 ოქტომბერი მანდატის ამოწურვის ბოლო დღეა, ველი იმ პროცესების განვითარებას, რაც ბევრად უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. რასაც ეს კოალიცია ვერ გააკეთებს, გააკეთებს ის ხალხი, ვინც ეს კოალიცია ივანიშვილის ხათრით ხელისუფლებაში მოიყვანა.

**— მარგველაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. თქვენ ახლა ახსენეთ, რომ ხალხი გააკეთებს იმას, რაც კოალიციამ ვერ გააკეთა, მაგრამ როგორ მოხდება ეს, რა სამართლებრივი ბერკეტი არსებობს?**

— ამის პასუხად ივანიშვილის კონფერენციას გავიხსენებ, სადაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბანალური შეკითხვა დასვა — აქვს თუ არა მას შენიშვნები საკუთარი გუნდის მიმართ. ივანიშვილს პასუხი არ აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, სპორტის სასახლეში შეხვედრაზე, ივანიშვილმა აღნიშნა — დღეს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გუნდთან დაკავშირებით, ჩემი არჩევანი სწორი იყოო. უკაცრავად, მაგრამ თუ გუნდთან დაკავშირებით სწორი არჩევანი გააკეთა, მაშინ ის სიტყვაც შეასრულოს, რაც მისი მხრიდან ამ გუნდის წევრთა დასახელებას მოჰყვა და მინიმუმ 2 წელი გაჩერდეს ხელისუფლებაში, სანამ ეს გუნდი დამაჯერებლად არ იგრძნობს თავს. თუ ივანიშვილს სურს ხუხაშვილი კვადრატში გახდეს, ეს სხვა საკითხია. ჩვენ ასეთ ხუხაშვილებს ხშირად ვუყურებთ და ვხედავთ, რომ ყოველთვის მოინახება ერთი-ორი ისეთი კულუარული ფიგურა, რომელიც პროცესებს გარედან მართავს. ჩვენ ხუხაშვილების და კეზერაშვილების საჯიჯგნი საქართველო არ



გვაქვს. ივანიშვილს თუ განზრახული აქვს, რომ რევიზორის რევიზორი გახდეს, მით უარესი ჩვენთვის.

თუ ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, კულუარულად რაიმე მართვის ბერკეტის ხელში ქონა, ჩვენთვის დამღუპველი იქნება.

**— ახლა ახსენეთ, თუ ივანიშვილი რევიზორის რევიზორი გახდა, დავიღუპებითო. იგი პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში მიდის, გვიტოვებს თავის გუნდს — პრეზიდენტს, პრემიერს, კოალიციას. რამდენად შეძლებს იგი სამოქალაქო**

**სექტორიდან თავისი გუნდი აკონტროლოს, რომელზეც ამბობს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა?**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. ამ შეკითხვაზე ჩვენ ადრე ხუხაშვილისგან მოვისმინეთ პასუხი. გახსოვთ, რას ამბობდა ხუხაშვილი საიდუმლო ოთახზე, აღსარებებზე, რომელსაც იგი ხშირად და უხვად იღებდა ამა თუ იმ თანამდებობის პირებისგან. როგორც ჩანს, მხოლოდ „ნაც.მოძრაობის" ლიდერები არ იყვნენ ნაგულისხმები, არამედ საუბარი იყო იმ ლიდერებზეც, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან. საზოგადოებაში ცინიკურად იქნა აღქმული, ის რომ ხუხაშვილი აღსარებებს იბარებდა სხვადასხვა ჩადენილ ცოდვებსა და სახელმწიფო დანაშაულებების შესახებ. ასე რომ, თუ ჩვენ მსგავსი ფაქტის წინაშე ხელმეორედ უნდა დავდგეთ, ეს წარმოუდგენელია. ერთხელ უკვე ვნახეთ, რომ ასეთი მეთოდებით იმართება სახელმწიფო კონკრეტული კასტის, პოლიტიკური ჯგუფის მიზნებისთვის და არა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის. ამიტომ, ჩვენ ეს არ გვინდა, ეს უკვე გავიარეთ. ივანიშვილს ვურჩევ, დააკონკრეტოს, რა იგულისხმება მის ჩართულობაზე, პოლიტიკური კონტროლის მექანიზმის არსებობის თვალსაზრისით — ეს იქნება არასამთავრობო სექტორი, ორგანიზაცია, რომელიც




თავისთავად მოწოდებული უნდა იყოს პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის გაწევისა, თუ ეს იქნება პრემიერ-მინისტრი კულუარებში და სათავეებთან პლასტელინები. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არ გვინდა და არც დავუშვებთ. შესაბამისად, საზოგადოების არჩევანიც ადეკვატური იქნება. მარგველაშვილს აპოლოგეტები გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ, ამ დროს მათ ძალიან კარგად იციან საარჩევნო ტექნოლოგიებში არსებული სერიოზული დარღვევები, რაც არ გამოსწორებულა. საარჩევნო კანონმდებლობა, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის განმსაზღვრელია, რომლის მანკიერ მხარეებზეც დღეს „ქართულ ოცნებაში" მყოფი უკლებლივ ყველა სუბიექტი თანხმდებოდა, ამ დროს კი სიების, საარჩევნო ადმინისტრირების ფორმირების კუთხით ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. ამაზე პასუხი ვის მოვთხოვოთ, თუ არა ივანიშვილს?

**ძალიან კარგად ვიცით მიშა მაჭავარიანის, ხათუნა გოგორიშვილის, ირინა იმერლიშვილის საარჩევნო ტექნოლოგიები. სხვათა შორის, იმერლიშვილი 1999 წლის გაყალბებული არჩევნების მთავარი შემოქმედია, რის გამოც მან იუსტიციის გენერლობა მიიღო. სააკაშვილმა დღეს წამოაძახა, ეს პროცესი, როგორც ციყვი დოლურაში, მუდმივად იტრიალებს, სანამ საზოგადოება ერთ მშვენიერ დღეს მართლა არ გამოფხიზლდება და ამ ადამიანებს საკუთარი კაბინეტებიდან არ გამოყრის, რომელიც უკანონოდ აქვთ დაკავებული. ესაა ჩემი პროგნოზი,**

აქამდე საზოგადოება უკვე მიდის. წართმეული ბიზნესის, მატერიალური სახსრების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, „ქართუ ბანკის" გარდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მადლობა ივანიშვილს, რომელმაც გარისკა, სერიოზული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ვერ შექმნა ის გუნდი, რომელიც საზოგადოების ნდობას დაიმსახურებდა. მისი პოლიტიკიდან წასვლა კიდევ უფრო გააღრმავებს უფსკრულს საზოგადოებასა და მის გუნდს შორის.

**— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, გვეუბნებიან, ივანიშვილმა მიშა ჩამოგვაშორაო, მაგრამ რეალურად იგი არავის ჩამოუშორებია, თავად მიდის. კი არ ჩამოგვაშორა, პირიქით, რისხვას გადაარჩინა და ალბათ აშშ წაიყვანს, ისე, როგორც სხვები წაიყვანეს. ბევრი საუბრობს იმაზეც, დაისჯება თუ არა სააკაშვილი 27 ოქტომბრის შემდეგ. თქვენ რა პროგნოზი გაქვთ?**

— უკვე ვხედავთ, რა მოჰყვა 1 ოქტომბრიდან 10 თვის თავზე პროცესებს? — არაფერიც არ მოჰყვა გარდა იმისა, რომ სააკაშვილის მერე, მთავარი დამნაშავე ადეიშვილი, ბრალდებული პირი თავისუფლად მოძრაობს ბუდაპეშტში და ხელფასს იღებს. კარგად ვხედავთ, რომ უგულავას, რომელსაც 10 მილიონის მითვისების გამო ბრალი წაუყენეს, კიდეც დაასაბუთეს, მაგრამ პროცესები როგორც ვითარდება, ყველა ვხედავთ. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, გიგი უგულავა თეთრ ჩოხაში გამოაწყვეს. უგულავას ასეთი გონორი, რიხი, როგორც დღეს აქვს, არასდროს ჰქონია. ბაჩანა ახალაია ვაშლის საჭრელი დანის ტარით მიყენებული ზიანისთვისაც კი ვერ მისცეს პასუხისგებაში. დღემდე ასეულობით დაკითხული პირის მიუხედავად, რომელთაც ბაჩანა წამების, არაადამიანურად მოპყრობის ფაქტებში ამხილეს, არც ამან უშველა საქმეს. მსგავსი მოლოდინია მერაბიშვილთან დაკავშირებით. იგი განტევების ვაცი, ცრუ მანევრის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია, რომელიც ამ კოაბიტაციის პროცესისთვის წინასწარ შერჩეული ფიგურაა. არ ვიცი, რა თამაშთან გვაქვს საქმე, როდესაც კუბლაშვილის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების ნაცვლად, მისი საქმიანობა პრემიერმა დადებითად წარმოაჩინა, რასაც „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი და დამნაშავე მოსამართლეებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება მოჰყვა. ეს გვაძლევს ეჭვის საფუძველს, რომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკიდან მშვიდობიანად გააცილონ. ვანო მერაბიშვილი ის ნაფოტია, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება უბრალოდ გაიწიროს ან არც გაიწიროს. გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესები შეიძლება მართული იყოს ერთი მხრივ, დასავლეთის ზეწოლით, მეორე მხრივ — შიდა მაკომპრომეტირებელი მასალების ძალიან ეფექტურად გამოყენებით. ვინ დგას ამ კომპრომატების უკან, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. გამოიკვეთა, რომ კუდ-ში მოქმედი 5-კაციანი კიბერჯგუფი სპეციალურად იყო შექმნილი მოსმენებისთვის. მერე საკუთარი კომპრომატები იპოვეს — კატამ თხარა თხარა და თაგვი გამოთხარა. საბოლოოდ ბატონ ივანიშვილს აიძულებენ, რომ პოლიტიკიდან წავიდეს. კარგად გვესმის, რომ დღეს მისი პოლიტიკიდან წასვლის დრო არ არის, თუმცა მისი ნაბიჯი მაინც ვაჟკაცურად უნდა შევაფასოთ. დღეს მისი წასვლით საზოგადოებას შანსი გვეძლევა ვიმოქმედოთ.

**— ამბობენ, რომ მოსალოდნელია სიტუაცია აიჭრას, რის შემდეგაც სააკაშვილმა შეიძლება საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და საერთოდ ჩაშალოს არჩევნები.**

— კი, რა თქმა უნდა, ასეთი საფრთხეები არსებობს და სწორედ ამის სიგნალია ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით გახშირებული ცრუ ზარები. ეს შემთხვევითი სულაც არაა. ეს არაა საყმაწვილო სენი, რომელიც უცებ დაერია მოზარდებს და თერჯოლაში, ქუთაისში, ტყიბულში, გარდაბანში თუ თბილისში უცებ ყველას ერთად მოუნდა ხან ბანკებზე, ხან ტელევიზიებზე, ხან სკოლებზე ასეთი ინფორმაციების შეტყობინება.

**ეს მეტყველებს იმაზე, რომ შემდგომში, ყურადღების მოდუნების ფონზე, შეიძლება რაღაც ისეთი მოხდეს, რომ ამან სააკაშვილს უბიძგოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენოს, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, საარჩევნო პროცესი ჩაშალოს და ვითარება მართვად ქაოსში გადაიყვანოს.**

რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტის წინაშე ჩვენი ქვეყანა შეიძლება რეალურად დადგეს. გეტყვით, რომ რუსეთის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების შემორაგვისა და მცოცავი ანექსიის განვითარება პოლიტიკური აქტის შემადგენელი ნაწილია და არა მხოლოდ რაღაცის შემოფარგვლა ან გაფორმება. ესაა პოლიტიკური აქტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამ კონფრონტაციული გარემოს გამწვავებასთან ერთად, ძალას კიდევ უფრო იკრებს. ეს საფრთხე ხვალ მთელი ქვეყნისთვის შეიძლება ძალიან რეალური აღმოჩნდეს და არამხოლოდ გაამყაროს ოკუპირებული ზოლი. ასე რომ სააკაშვილი, თავის ბანქოს მწკრივში ინახავს ისეთ კარტებს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გაათამაშებს და რაც მისი მზაკვარი პოლიტიკური ხელწერისთვის ნიშანდობლივია. რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ ყველა სცენარით მოვლენების განვითარებისთვის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გამოხმაურება წერილზე:

## „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა"

„საერთო გაზეთის" ერთგული მკითხველი გახლავართ. წავიკითხე თამარ შველიძის ინტერვიუ პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელთან — „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა". დიდი მადლობა „საერთო გაზეთს" და ბატონ პეტრეს ასეთი საინტერესო საუბრისთვის. უკვე დროა, ქართველი ერი გამოფხიზლდეს, ბოლოს და ბოლოს ღრმა ძილიდან გამოვიდეს და გააცნობიეროს, საიდან იწყება რეალურად ჩვენი წარმომავლობა. ბატონი პეტრე საქართველოს ოსტორიის საიდუმლოებათა ამოხსნას ცდილობს. ეს წერილი ნამდვილად გამორჩეულია. მინდა ამ სტატიას გამოვეხმაურო და ჩემი მოსაზრებაც გაგიზიაროთ: ჯავახიშვილი-ჯანაშია-ბერძენიშვილის „საქართველოს ოსტორია" სტალინის სიცოცხლეში გამოიცა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ, 1953 წელს მისი სწავლება ქართულ სკოლებში აიკრძალა, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა. საქართველოს სრულყოფილი ისტორია სწორედ ამ წიგნშია აღწერილი. წიგნი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ისტორია 4 ათასი წლით ადრე იწყება, რუსეთის იმპერიის ახალ ხელმძღვანელობას ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ აწყობდა და სწავლებიდან ამოიღო. 4-ათასწლოვანი ისტორია კი არ მოგვპარეს, არამედ „უპატრონოდ" რომ დავრჩით, ანგარიში გაგვისწორეს. ეს იყო ანგარიშსწორება ქართველი ხალხის წინააღმდეგ — ეს წიგნი პოლიტიკურმა კონიუნქტურამ შეიწირა. სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული ბედოვლათობა ყველაფერში გვეტყობა. 20 წელი გავიდა, რაც დამოუკიდებლობა მივიღეთ და ის ვერ მოვახერხეთ, ეს უნიკალური წიგნი ამდენი წლის აკრძალვის მერე სკოლებში შევიტანოთ და ბავშვებს მათი ნამდვილი ისტორია გავაცნოთ. ბატონი პეტრე საუბრობს, რომ განათლების მინისტრი ამ წიგნის სკოლებში შეტანას დაჰპირდა. ეს ნამდვილად დიდი საქმე იქნება. მართლაც სირცხვილია, დღეს ქართველმა ერმა სომხების ლობისტი ლეონტი მროველის სახელმძღვანელოთი იხელმძღვანელოს და არ იცოდეს, რა წერია ჯავახიშვილი-ჯანაშია-მელიქიშვილის „საქრთველოს ისტორიაში".

წერილს რომ ვკითხულობდი, ერთი აზრი დამებადა — ხელისუფლებას თუ უნდა, ახალი სიტყვა თქვას, მსოფლიოსთვის ქვეყნის წარდგენა სწორედ ამ ისტორიით უნდა დაიწყოს. მაგრამ ჩვენ რატომღაც საკუთარ თავს, საკუთარ ისტორიას ვებრძვით. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ფესტოს დისკო სომხურად რომ წაკითხულიყო?! ჩვენ შემთხვევაში კი კვაშილავას იქით საქმე არ წასულა, სახელმწიფო საერთოდ არ დაინტერესებულა ამ საკითხით. რატომ? — ქართული სახელმწიფო არ ვართ თუ ხელისუფლება არაა ქართული თავის სულისკვეთებით? იქნებ ვინმეს ჩვენი ისტორიის დამალვა აწყობს კიდეც? რა გვინდა — ჩვენი ისტორია კოლხეთიდან დაიწყოს თუ სომხეთიდან? სამწუხაროდ, დივერსანტები მეცნიერებაშიც მრავლად არიან შემოპარულნი. ბატონი პეტრე აღნიშნავს, უორდროპებმა გააცნეს მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანიო". მაინცდამაინც ახალ უორდროპს უნდა დაველოდოთ, ჩვენი ისტორია მსოფლიო ასპარეზზე რომ გავიტანოთ?

მინდა „საერთო გაზეთის" რედაქტორს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას ვთხოვო, აუცილებლად გააგრძელოს ამ თემაზე დისკუსია, სწორედ ეს არის ის, რაც ერს გადაარჩენს. თუ გვინდა ახალი საქართველოს შენება, ეს ჩვენი წარსულის წინ წამოწევით უნდა დავიწყოთ. ესაა მსოფლიოს წინაშე ჩვენი პასპორტი. ჩვენ კი ამის ნაცვლად ისტორიას ვაყალბებთ. ბევრს დღემდე ჰგონია, რომ მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან, ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ჩვენი წარსული, ისტორია არ ვიცით. როცა ასე იფიქრებ, სწორედ მაშინ კარგავ იმ 4 ათას წელს. პროტოქართული ენის საიდუმლოებანი სვანურში, მეგრულშია შემონახული. ამის გარეშე არსებობა კი იგივეა, რაც სახლი საძირკვლის გარეშე. აკი ამბობს კიდეც ბატონი პეტრე — „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია". უსაძირკვლო სახლი არ არსებობს. ამიტომაც ვერ შედგა ჩვენი სახელმწიფო, მას საძირკველი გამოთხრილი აქვს. პარადოქსია, მაგრამ ის, რაც ჩვენ საკუთარი თავის შესახებ არ ვიცით, უცხოელებმა შესანიშნავად იციან. საქართველოსკენ სწრაფვა სწორედ ამითაა გამოწვეული. სტატიაში საუბარია მეორედ მოსვლაზე — იოანე ზოსიმე ამბობს მეორედ მოსვლისას,

## ღმერთმა ქართველები დიდი საიდუმლოს გუშაგად დაგვაყენა აქ, საქართველოში, ჩვენ კი „პოსტი" მივატოვეთ და გავრბივართ




ეს ქვეყანა (საქართველო) გადარჩებაო. ეს მსოფლიო მეცნიერებმა, მათ შორის ებრაელებმაც უწყიან და ამიტომაც მოილტვიან საქართველოსკენ, ადგილისკენ, სადაც გადარჩებიან. მათ ჩვენთან გადარჩენა უნდათ, ამ დროს ჩვენ სხვაგან გავრბივართ და რაც განგებამ გვიბოძა, იმას არ ვუფრთხილდებით. ჩვენ დასაწყისი ვართ. სამწუხაროდ, რაღაცები დაგვავიწყეს, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, სხვა გზა არაა. დღეს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ვიღაცებს სურთ, საკრალური მნიშვნელობის საქართველოს ტერიტორია ქართველებისგან დაცარიელდეს. როცა არ იცი, სად დგახარ, მაშინ წასვლა უფრო ადვილია. ღმერთმა ქართველები დიდი საიდუმლოების გუშაგად დაგვაყენა აქ, საქართველოში, ჩვენ კი „პოსტი" მივატოვეთ და გავრბივართ. ის რომ ჩვენს შესახებ არაფერი ვიცით, იმიტომაცაა, რომ ამ უძველესი კულტურის ერს ევროპელობას გვასწავლიან. სწორედ ამიტომაც, ამ ინტერვიუს მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ვფიქრობ, „საერთო გაზეთმა" დროულად ჩამოჰკრა იმ სიმს, რომელიც დიდი ხანია უნდა ჩამოკრულიყო.

**გიორგი კობახიძე**
**თბილისი**

# სვანეთის დასაცავად მთელი საქართველო უნდა აღდგეს

***გიგანტური ჰესების მშენებლობა საქართველოში რატომღაც იდეა-ფიქსად იქცა. თუმცა კომუნისტური რეჟიმის პირობებში აშენებულმა ენგურის და ჟინვალის ჰესებმა რა ზიანი მოუტანეს საქართველოს ბუნებას, ამის თაობაზე რატომღაც გაკვრით საუბრობენ ეკოლოგები. იმავე პერიოდში იგეგმებოდა ხუდონჰესის მშენებლობაც, მაგრამ მოსახლეობამ თავისი აქტიურობით გადააფიქრებინა იმდროინდელ ხელისუფლებას მშენებლობა. სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ხუდონჰესის აშენების სურვილი ამჯერად უკვე ყოფილ „ნაციონალურ მოძრაობას" აღეძრა. გულსატკენია, მაგრამ ფაქტია, რომ***



***დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ემხრობა მშენებლობის დაწყების იდეას. რას ფიქრობს სვანეთის მოსახლეობა, ამის გასარკვევად ვესაუბრეთ უხუცესთა დარბაზის წევრებს.***

**როლანდ ნიჟარაძე,** უხუცესთა დარბაზის გენერალური მდივანი:

— ვინაიდან სპეციალისტი არ გახლავართ, ვერ გეტყვით, რამდენად მნიშვნელოვანია ხუდონჰესის აშენება ქართული ეკონომიკისთვის, მაგრამ ერთი რამ კი არის ცნობილი, რომ საქართველოს აქვს იმდენი ენერგია, რასაც საჭიროებს. თუმცა სპეციალისტების და მეცნიერების აზრით, ხუდონჰესი საქართველოსთვის ზიანის მომტანი უფროა, ვიდრე — სიკეთის. თუმცა ცოტა შორიდან მინდა დავიწყო საუბარი. ყოფილი, „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებას, რომლის ნარჩენები დღესაც არიან და მათ სატრაპებს ვეძახი, საშინელი ხალხია. როგორც მთელ საქართველოში, ასევე სვანეთშიც დიდი უბედურებები დაატრიალეს, გავიხსენოთ თუნდაც აფრასიძეებს ოჯახის აოხრება-ამოწყვეტა. ახლა ხუდონჰესის მშენებლობა აიჩემეს. სააკაშვილს სასწრაფოდ უნდოდა დაეწყო მშენებლობა, რომელზეც ქართველმა ხალხმა წლების წინ თქვა უარი. შარშანდელი არჩევნების შემდეგ სვანეთის მოსახლეობამ გაიხარა, შვებით ამოისუნთქა, რადგან „ქართული ოცნება" ხალხს დაგვპირდა, რომ აღარანაირი გიგანტური მშენებლობები, მათ შორის ჰესების, საქართველოში აღარ უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც მისცა ხმა მთელი სვანეთის მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას". დღეს ვხედავთ, რომ მოცემული სიტყვა გატყდა. გამოჩნდა ვიღაც ინვესტორი და კვლავ დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობაზე საუბარი, რაც სვანებისთვის მტკივნეული საკითხია, ამის გაგონებაც არ უნდა მოსახლეობას. ხალხს, რომელმაც მხარი დაგიჭირა და მოგიყვანა ხელისუფლებაში, აზრი ხომ უნდა ჰკითხო ასეთ ფაქიზ თემაზე?! პირადად მე შოკში ვარ! ჩვენი პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე გვაიმედებდა, მართალია, ცუდ დღეში ვართ, მაგრამ უფალი ჩვენს ქვეყანას არ გაწირავს და საქართველო გაბრწყინდებაო.

სვანეთში ხუთი-ექვსი ეკლესიაა, მათ შორის წმინდა გიორგის, თეთრი გიორგის, მაცხოვრის, რომლებიც VII-IX საუკუნეებშია აგებული და ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში, წყალში ჩაიძირებიან. თუ ჩვენივე ხელით გავანადგურეთ სიწმინდეები, საქართველო როგორ გაბრწყინდება? როგორ შეიძლება იმის თქმა, პატრიარქი გადავარწმუნეთო! მისი გადარწმუნება არ შეიძლება. ვფიქრობ, პატრიარქმა უფრო გაბედულად უნდა დააფიქსიროს თავისი აზრი.

**— ბატონო როლანდ, თბილისში გაქვთ შეხვედრები, შეკრებები ხელისუფლების წარმომადგენლებთან. უშუალოდ სვანეთში ახლა რა ვითარებაა?**

— ახლა კვლავ რომ დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობაზე საუბარი, სვანებმა ხატზე დაიფიცეს, ამას არ დავუშვებთო, მოგეხსენებათ, სვანი კაცი მოკვდება, მაგრამ ფიცს არ გატეხს. ცოცხალი თავით არ დავთმობთ ჩვენს ეკლესიებს, სამლოცველოებს, სამშობლოსო, ამბობენ. ხალხს უახლოესი ადამიანების სასაფლაოები აქვთ, რომლებიც წყალში უნდა ჩაიძიროს. ამის გაკეთება არაფრის დიდებით არ შეიძლება. ამაზე არ წავა ქართველი ადამიანი, მით უფრო, სვანი. სვანეთში და აქ მცხოვრები სვანები, რომლებსაც ფიცი ჯერ არ დაუდიათ, აპირებენ შეკრებას და წესისამებრ დაფიცებას. ამას შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს, რადგან, გიმეორებთ, ფიცს არ გატეხენ! ისტორიიდან გვახსოვს ხალდეშელების ამბავი იმპერიის ძალებს არ დავნებდებითო, დაიფიცეს და ყველა მამაკაცი შეაკვდა მომხვდურებს. რუსებს მაშინ ქალები არ დაუპატიმრებიათ, ამ ნაძირალა სატრაპებმა კი, გახსოვთ, რამდენი ქალი დააპატიმრეს სვანეთში! მოვიშორეთ ის სატრაპები, რაშიც, თავისთავად, ბიძინა ივანიშვილის უდიდესი წვლილია, მაგრამ ახლა თუ ხალხის ნებას ყურადღება არ მიაქცია, გაბრაზდება ხალხი და გადაუდგება — ვიღაც არაბების თუ სხვა გადამთიელების ნება-სურვილზე ვიარეთ, ვართ კი რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა? აბა, რაღად გვინდა საპრეზიდენტო არჩევნები, გვმართონ უცხოელებმა. აფხაზეთში ვარ დაბადებული და გაზრდილი. ჯერ კიდევ ერთად ყოფნის დროს აფხაზები ჩვენზე იყვნენ გაბრაზებული, რადგან თანამდებობებზე ისე ნიშნავდნენ ხალხს, ადგილობრივ მოსახლეობას არაფერს ეკითხებოდნენ. ამ მხრივ არც სამეგრელოშია კარგი მდგომარეობა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ უხუცესთა დარბაზმა ხუთჯერ მაინც ვთხოვეთ ხელისუფლებას შეხვედრა. აფხაზეთის საკითხებზე გვსურდა საუბარი. იქაურმა უხუცესებმა შემოგვითვალეს, მოლაპარაკება სურთ. სამწუხაროდ, არავინ შეგვხვედრია. ხალხისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არ შეიძლება, ეგებ რა სასიკეთო ძვრების მოტანა შეეძლო ჩვენსა და აფხაზების უხუცესებთან შეხვედრას.

**— ახლა რას აპირებთ?**

— გადაწყვეტილი გვაქვს, უკან არ დავიხიოთ. წაქეზება არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ, როგორც გითხარით, სვანები ფიცს არ გატეხენ. ფიცის გამტეხს ხომ თავი არსად გამოეყოფა. ცუდი ადამიანი ყველგან არის, ზოგიერთები ფულის გულისთვის სვანეთს ღალატობენ. მათ ხალხი შეაჩვენებს და სვანები მოკვეთავენ. ღალატს არავის ვაპატიებთ! ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი, თორემ ჯერ კიდევ შარშან ამბობდა, საქართველოში არანაირი გიგანტომანია აღარ იქნებაო. საბჭოთა, ქართველმა, უცხოელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ხუდონჰესის აშენება არ შეიძლებაო.

ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში სვანეთის ერთი მესამედი ჩაიძირება, ათასზე მეტი ადამანი უნდა აიყაროს და ბარში ჩამოსახლდეს. ასეთ შემთხვევაში, სვანეთი აღარ გვექნება. მთელი საქართველოს დასაცავია სვანეთი. განა სვანეთის ფასი საგანძური საქართველოს ბევრი აქვს? უნდა დავიცვათ ჩვენი ისტორია, კულტურა, სალოცავები, სულიერი კულტურის განადგურება, რაც ჰესის აშენებას მოჰყვება, გაუმართლებელი დანაშაულია!

**აკაკი გასვიანი,** *საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფიის დოქტორი, უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე.*

**— ბატონო აკაკი, თქვენ ესწრებოდით ხუდონჰესის პროექტის განხილვას. რას გვეტყოდით მის ავკარგიანობაზე?**

— დიახ, ვესწრებოდი ხუდონჰესის მშენებლობის ეგრეთწოდებულ პრეზენტაციას. ჩემი აზრით, პროექტი თავიდან ბოლომდე ტენდენციურია. მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ჰესის აშენებას, ისე რბილად არის გადმოცემული, რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს დააჯერებს პროექტის სიკეთეს. დეტალებს რომ ჩავუღრმავდეთ, დავინახავთ, რომ პროექტი ხალხის მოსატყუებლად არის შექმნილი. სარგებელს მხოლოდ ინვესტორი და მასთან დაახლოებული ხალხი ნახავს. პროექტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი სეისმოლოგების, კლიმატოლოგების დასკვნები, ეკოლოგების აზრი სანახევროდ არის წარმოჩენილი. პროექტის ერთ-ერთი წარმომჩენი იმასაც გვიმტკიცებდა, ჰესის აშენება გარემოზე ნაკლებად მოახდენს ზეგავლენასო, რაც მცარი აზრია. ჩვენი ხეობები, მოგეხსენებათ, ვიწროა, იქ დაგუბებული წყლიდან აორთქლებული ჰაერი კავკასიონის ყინულოვან მწვერვალებზე დაილექება. სვანეთში ამით მოიმატებს ტენიანობა, რაც გამოიწვევს მეწყრულ მოვლენებს. ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში 528 ჰექტარი მოექცევა წყალქვეშ! უცხოელი მეცნიერების გაანგარიშებით, რომელიც 40 მეტრს ასცდება, იქ დაგუბებული წყალი ისეთი სიმძიმით აწვება ნიადაგს, რომ ტექტონურ რყევებს იწვევს. რატომ მალავენ გეოდეზიის ინსტიტუტის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველდღე ოთხიხუთი მიწისქვეშა ბიძგი ფიქსირდება. ახლა წარმოიდგინეთ, მას ხუდონჰესიც რომ დაემატოს, როგორ მოიმატებს ბიძგები. ფაქტობრივად, სვანეთის მესამედი უნდა ჩაიძიროს. მართალია, სამ-ოთხ დასახლებაზე და იქ მაცხოვრებელ 200 ოჯახზე საუბრობენ, მაგრამ იმაზე არაფერს ამბობენ. ზედა სოფლებს რომ მიადგება წყალი, სად წავა ხალხი? სამწუხაროდ, ზედა ზონაში ისედაც სოფლები თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან. სვანეთი, ეს ულამაზესი კუთხე ხომ გადარჩენილი ძველი იბერიაა, სვანური ენა კი — ძველი იბერიული. იბერიული ცივილიზაციის ერთ-ერთ სათავეს ვწირავთ ხუდონჰესის აშენებას. ამ ახირებას უნდა შეეწიროს მთელი მხარე. ამას ჩვენ არ დავუშვებთ და მთელი საქართველო უნდა ამოგვიდგეს მხარში სვანეთის გადასარჩენად.

**— როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაართულებს ვითარებას, სვანეთის მოსახლეობამ რომ დაიფიცა, ხუდონჰესს არ ავაშენებინებთო?**

— სწორედ ამას ვამბობ, იქ ვინ დარჩება? ამით, ფაქტობრივად, სვანეთს ვანადგურებთ. სვანეთის დაცლა საქართველოსთვის კატასტროფა იქნება. რატომ არ ითვალისწინებენ, გაუგებარია.

**— ყველაფერთან ერთად, დაიკარგება კულტურული ძეგლები...**

— თანაც როგორი! ხუთი ათასი წლის წინანდელი კულტურული განაშენიანებებია იქ. სხვადასხვა წყაროებით მტკიცდება, რომ საქართველო, იბერია მსოფლიო ცივილიზაციის სათავეა! ერთ-ერთი განშტოება სანშუანური მოდგმაა, რომელსაც ახლა განადგურებას ვუპირებთ. ეს გახლავთ დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რომელსაც მსოფლიო არ გვაპატიებს. იუნესკოში მაქვს წერილი გაგზავნილი, სადაც ვწერ, რომ, რადგანაც მსოფლიო ცივილიზაციის სათავე იბერიაა და იბერიული ენა სრულიად შემონახულია სვანური ენის სახით, ამიტომ სვანეთი უნდა გამოცხადდეს ეთნონაკრძალად. აქედან, იბერიიდან არიან გასულები ევროპის ბევრი ქვეყნების ერები, ეს მეცნიერულადაა გამაგრებული. აი, ამ ფუძეს ვკარგავთ. ვინმე რომ ესაუბროს ამ საკითხევზე ბატონ ბიძინა ივანიშვილს და აუხსნას, დარწმუნებული ვარ, როგორც შარშან თქვა, გიგანტური ჰესები არ აშენდებაო, იმ გადაწყვეტილებას დაუბრუნდება. არც ბატონი კახი კალაძეა დეტალურად ჩახედული, თორემ ვგრძნობ, პატიოსანი ადამიანია, სულით ქართველია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ეკლესიების, სალოცავების დატბორვა ხომ საშინელი ცოდვაა. მივმართავ მის უწმიდესობას, პატრიარქს, ხმა ამოიღოს, არ დაუშვას, აღკვეთოს ჩვენი ეკლესიების ჩაძირვა. ან რას ეუბნებიან წინაპრების საფლავებს, მათ სულებს შეძრავენ! საუბედუროდ, ზოგიერთი მხოლოდ ერთი დღით ცხოვრობს. საქართველო ღვთის ტაძარია, აქ სამყაროს ენერგეტიკაა, რომლის სათავეც სვანეთია და მას ჩაძირვას უპირებენ. ვაი, იმას, ვინც ამას ჩაიდენს!



— სვანი კაცი უმალ მოკვდება და ფიცს არ გატეხს. მართალია, ჯერ მხოლოდ 70-მა ადამიანმა დაიფიცა, მაგრამ ყველა მათგანი კამიკაძედ იქცევა. მშენებლობას რომ დაიწყებენ, ჩვენც ჩავეტანებით, მაგრამ თითოეული ჩვენგანი ათ კაცს მაინც წავიმძღვარებთ წინო, ამბობენ. რატომ შეგვაქვს ამ მხარეში ხელოვნურად არეულ-დარეულობა, როდესაც გვაქვს ალტერნატიული საშუალებები მცირე ჰესების აშენებით. ხუდონჰესის აშენების ერთ-ერთმა მხარდამჭერმა ისიც კი თქვა, მცირე ჰესებს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე დიდ კაშხლებსო. სისულელეა! ოღონდ, ხუდონჰესი აშენდეს და ყველაფერს ამბობენ. სავარაუდოდ, ფულის გულისთვის იბრძვიან და არა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**— თქვენ თქვით, 200 ოჯახზეა საუბარი, რომლებიც უნდა გაასახლონ, მაგრამ 200 ოჯახი მთაში, განსაკუთრებით, სვანეთში, ვფიქრობ, ძალიან ბევრია.**

**გია ბურდული**

**551 71 27 07**

**P.S. ნიდერლანდები, ევროპის განვითარებულმა ქვეყანამ მიწა ზღვას გამოსტაცა, ერთ გოჯსაც კი ოქროს ფასი აქვს.**

**ისრაელშიც ყოველ გოჯზეა ბრძოლა. განა რა დიდი ტერიტორია უკავია საქართველოს, ასე ხელაღებით რომ შეგვიძლია გავწიროთ დასატბორად. არავინ უარყოფს, რომ ქვეყანას სჭირდება ენერგორესურსები, მაგრამ რის ფასად, ეს ხომ დასაფიქრებელია?!**

# როდემდე უნდა იმართოს ქართული სახელმწიფო ფარული ჩანაწერებით?

## სექსის თემა ქართულ პოლიტიკაში

ახლა დადასტურებულად იმეორებენ დაუდასტურებელ ეჭვს, რომ ყოფილი ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს აქ დარჩენილი ე.წ სახელმწიფო მოღვაწეების მაკომპრომეტირებელი მასალები გატანილი აქვთ ქვეყნიდან, ამით აშანტაჟებენ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებს და სწორედ ამის შედეგია უკვე სიმბიოზში გადაზრდილი ყბადაღებული კოჰაბიტაციაც.

ფარული ჩანაწერების დიდი ნაწილი ხმაურით განადგურდა, მაგრამ ხომ ცხადია, რომ იარსებებს განადგურებული ფაილების დედნები, ან კიდევ სხვა ჩანაწერებიც? — თუმცა, ითქვა კიდეც, პასუხს ვერ ვაგებთ, რომ კიდევ არ გამოჩნდებაო. ისიც ხომ ცხადია, რომ შემთხვევით არ აღმოჩნდებოდა ეს ჩანაწერები იქ, სადაც აღმოჩნდა და ვერც შემთხვევით იპოვიდნენ, ინფორმაცია გამიზნულად მიაწოდეს გარკვეულ უწყებას?



ადრე ამბობდნენ ხოლმე, „ეს ქალი ბოზია, იმ კაცთან დადისო“, ახლა ისე წავიდა საქმე, საძებარია ბოზი ქალი, რომელიც კაცთან დადის, ბოზი კაცები დადიან კაცებთან — ისეთ ამბებს გაიგებ ადამიანი კონკრეტულ მამაკაცებზე, თმა ყალყზე დაგიგება პირდაპირი მნიშვნელობით...

შეიძლება, სრულებით არ გაინტერესებდეს, ვინ ვისთან და როგორ ერთობა, მაგრამ როცა ყურში გტენიან და თვალში გაჩეჩებენ ცნობილ-ცნობადი ადამიანების აღვირახსნილობის დასაბუთებულ თუ დაუსაბუთებელ ამბებს, უნებლიედ ჩართული ხდები ჭორაობაში...

საინტერესოა, რა შეიცვალა იმ ფაილების განადგურებით, რომელიც ზოგმა ნახა და ზოგმა — ვერა? — არაფერი. პირიქით, იქნებ ცუდიც კი გაკეთდა, რადგან ახლა უძვლო ენას გასაქანი მიეცა, ვისზეც უნდა, იმაზე იტყვის, რომ მის შესახებაც იყო ჩანაწერი, არადა, მთელი ქსელი მუშაობდა, უამრავი ადამიანი იყო „დასაქმებული“: სასტუმროების მეპატრონეები და სასტუმროს მომსახურების სრული კონტინგენტი, სუტენიორები, მეძავები (ქალებიც და კაცებიც), პოლიციელები, ოპერატორები და ა.შ ფაილები ვითომ განადგურდა, დავუშვათ, რომ აღარ „აღმოჩნდება“, მაგრამ ამდენი „დასაქმებული“ ხომ არსად გამქრალა?

თუ სხვა ქვეყანაში შეიძლებოდა, რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ აგენტურულ საქმიანობაში ჩართულ პირებს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოდან მიეცათ საშუალება, რომ ჩამოსცილებოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას და ეცხოვრათ მშვიდად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოქვეყნდებოდა მისი საქმიანობის შესახებ, საქართველოში რატომ არ შეიძლებოდა იგივეს გამეორება, ვთქვათ, ამ შემთხვევაში? ამით ხომ, სულ მარტივად გაირკვეოდა ვინ ვის და რატომ იცავს ხოლმე? ვინ და რატომ ვერ ეხება გარკვეულ პირებს და ვერ სთხოვს პასუხს ჩადენილ დანაშაულზე?

საინტერესოა, როდემდე უნდა იმართოს საქართველო ვინ ვისთან სექსით იყო დაკავებულის შანტაჟით და როდემდე უნდა იმართოს საქართველო ვიღაც ქალებისა და კაცების სექსუალურ მოტივებზე?!

თეა თუთბერიძეს ჟურნალისტმა რომ ჰკითხა, როგორ გგონიათ, თქვენზეც ხომ არ იქნება გაკეთებული ფარული ჩანაწერიო, თუთბერიძემ უპასუხა, ფეხებზე მკიდია, ვინც დაინტერესდება, მოვიდეს და ბევრ რამეს ვასწავლიო — ასე მაინც დაიკიდოს სხვამაც ფეხზე და შეწყდეს ეს ორპარტიული მახინჯი თანაცხოვრება, ან მიბრძანდნენ პოლიტიკიდან!...

საქმე ის არის, რომ ჩანაწერები სწორედ რომ იმ ქართულ ფსიქოლოგიაზეა გათვლილი, რომელსაც, რაგინდ ცივილურობაზე ჰქონდეს პრეტენზია, მაინც იმ ძველ დროშია ჩარჩენილი.

ამის გარდა — შემდგომში „ნაციონალებმა“, მანამდე კი „ახალგაზრდა რეფორმატორებად“ წოდებულმა ჯგუფმა, რადგან ეს მათ ინტერესებში შედიოდა, იმ დროშივე შეძლეს პრესის კანონში ცვლილების შეტანა, რითიც დააკანონეს ჭორის გავრცელება ვისიმე სახელის გასატეხად. ეს, როგორც ჩანს, იმდროინდელ მედიასაც ძალიან აწყობდა, რადგან არც ერთ „მედიის თვალსაჩინო წარმომადგენელს“ არ გაუპროტესტებია, ასე არ შეიძლებაო. მარტივია, ჟურნალისტი წინადადებას დაიწყებს ერთი სიტყვით „ამბობენ“, „როგორც წყარომ გვაცნობა“, „წყაროს ინფორმაციით“, „ინკოგნიტო რესპონდენტის თქმით“ და ა.შ გაავრცელებს ნებისმიერ ინფორმაციას ნებისმიერ პირზე და იმტვრიოს მერე თავი ცალკე იმ პირმა და ცალკე მკითხველმა თუ მაყურებელმა, სიმართლეს შეეფერება ინფორმაცია თუ შემოგდებული ჭორია...

ეს ჩვენი პარლამენტარები ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ რომ კანონს სასწრაფოდ ითხოვდნენ, ახლა რატომ არ ითხოვენ კანონს, რომელიც ჭორაობას და ჭორების შეთხზვა-გავრცელებას სრულად თუ ვერ აღკვეთს, გარკვეულ დონემდე დაარეგულირებს მაინც, რა ხდება, მათაც ფეხებზე ჰკიდიათ? — გამოდის, უცნაურ ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი ფენა შექმნილა, სექსუალური კუთხით „ფეხებზე მკიდიები“ და საბოლოოდ ავშენებულვართ, პოლიტიკოსების ნაწილს ქვეყანა ჰკიდია ფეხებზე, ნაწილს საკუთარი რეპუტაცია, ხალხი კი იმას არკვევს, ჭორია თუ მართალი, მართლა ჰყვარობენ ერთმანეთს სოზარ სუბარი და ვასილ მაღლაფერიძე თუ ჭორია; მართლა ეტრფიან ერთმანეთს ეზუგბაია და ბაინდურაშვილი თუ ჭორია და ა.შ ამ ფონზე გათხოვილ-გასათხოვარი პოლიტიკოსი ქალების ავხორცობის შესახებ გავრცელებული ხმები მამაკაცებთან და მამაკაცებისა ქალებთან, სახსენებლადაც აღარ ღირს, ბოლო-ბოლო ნორმალურ დაწყვილებად მაინც აღიქმება...



რა ახალი უბედურებაა ჩვენს თავს „სექსი ქართულ პოლიტიკაში“ სახით?

რატომ უნდა იჭყლიტებოდეს ხალხი და ქვეყანა ამძუვნებული ქალებისა და კაცების ერთმანეთთან ხახუნში?

უკვე სავსებით გასაგებია, რომ სანამ კომპრომატირებული პოლიტიკოსებით იქნება გაძეძგილი საქართველოს ხელისუფლება, მისი ყველა რგოლი, ყველა უწყება და ყველა მეტნაკლებად პასუხისმგებელი პირი, არანაირი სამართლიანობა არ აღდგება, ეს კი პირდაპირ ურტყამს ახალ ხელისუფლებას ძველი ხელისუფლების სასარგებლოდ.

„ძველი“ და „ახალი“, ამ შემთხვევაში, პირობითი ცნებებია, რადგან რეალურად ყველა „ძველია“, ახალი მხოლოდ ერთი კაცია, ბატონი ივანიშვილი და ისიც პოლიტიკაში...

სწორედ ამიტომ გახდა ასე ადვილად მისაღები კოჰაბიტაცია და სწორედ ამიტომ გაიყინა კიდეც ერთ ადგილზე საქართველო, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ხელისუფლებიდან არავინ ამბობს, რაც მართლაც რომ იძლევა ჭორაობის საფუძველს, რომ მარიკო ვაკოს ჰყვარობს, ვაკო — თაკოს, თაკო — მაკოს და ა.შ დაუსრულებლად...

როდემდე?!

ძვირფასო პოლიტიკოსებო და ცალკეულო ამბიციურო სახელმწიფო მოხელეებო, თქვენ თვითონ ხომ იცით ვის ვისთან და რა გაქვთ მიქარული, ამიტომ, თქვენივე ნებით რომ დაიხუროთ ქუდი და წახვიდეთ უხმაუროდ, რატომ არ გსურთ? მაშინ, კეთილი ინებეთ და დაელოდეთ იმას, რაც აუცილებლად მოხდება, არ დამალავს ჭირი თავს და ჯერ ჭორად, მერე კი კადრების სახით გამოფრიალდება საიდანღაც სადღაც რაღაც-რაღაცები და მისი გამომზეურებით დაინტერესებული პირები არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გაექცევიან და არც ჯარიმებს...

ხალხი? — ხალხი მოთმინებით ელის როდის ნახავს ჩანაწერებს რომელსაც უკვე შეერქვა „მეგის პიქჩერზ პროდაქშენის შედევრები“

**ნოდარ ლომჯარია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# გიორგი მარგველაშვილი — კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი



*გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილს არ გამოუგონია, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ, ის არსებობდა მანამდეც, როგორც ძალიან საინტერესო პოლიტიკური ფიგურა, ნათლად ჩამოყალიბებული პოზიციით და კონცეფციით.*

*სწორედ ამის დასტურად გთავაზობთ ფრაგმენტებს გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუებიდან, რომლებიც „საერთო გაზეთის“ სხვადასხვა ნომრებში იბეჭდებოდა.*

*ნიჭიერება ისიც არის, როცა სხვისი ნიჭიერების დანახვა შეგიძლია.*

*ივანიშვილი ნიჭიერი კაცია და ამიტომაც შეძლო მან გიორგი მარგველაშვილის ნიჭიერების დანახვა და მისი შესაძლებლობების ახალ ამპლუაში გააზრება.*

*შეიძლება ითქვას, რომ მარგველაშვილის წარდგენა პრეზიდენტობის კანდიდატად იმ საზოგადოების ერთგვარი გამოწვევაა, რომლის პოლიტიკური გემოვნება ვერა და ვერ გასცდა ავანტიურისტების და ახალი ტიპის ოძელაშვილების ლიდერებად წამძღვარების სურვილს.*

*აი, ამ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილის მხრიდან გიორგი მარგველაშვილის დასახელება საქართველოს პრეზიდენტად, საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების უფრო მაღალ სტანდარტებზე აწევის მცდელობაა და ერთგვარ საგანმანათლებლო მისიის ნიშნებსაც შეიცავს.*

*„საერთო გაზეთი“ პირდაპირ კავშირს ხედავს ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში შესაძლო გადასვლასა და მარგველაშვილის პრეზიდენტად დასახელებას შორის.*

*ეს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კარგად გააზრებულ და აწონილ-დაწონილ გეგმას უფრო ჰგავს, ვიდრე პირად სიმპათიაზე დაყრდნობილ ემოციურ გადაწყვეტილებას.*

*ვფიქრობთ, მიზანი, რომელსაც ემსახურება გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტება, გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირის პრეზიდენტად არჩევა...*

*წაიკითხეთ ეს ფრაგმენტები და მიხვდებით, რომ გიორგი მარგველაშვილი მართლაც ძალზე საინტერესო პიროვნებაა.*

**„საერთო გაზეთი“**

* * *

ყველა ქართველი უნდა იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და ჰქონდეს უფლება საკუთარი აზრი და შეხედულება დააფიქსიროს და ცოდნა და უნარები საკუთარ თავს, ოჯახს, ქვეყანას მოახმაროს. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში პრობლემა სწორედ ისაა, რომ რეალურად, ეტაპობრივად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ამოვარდა პოლიტიკური პროცესებიდან.

* * *

ივანიშვილის განსაკუთრებით დიდი პლიუსია ის, რომ იგი ბვრად უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე ნებისმიერი, საშუალო სტატისტიკური ქართველი პოლიტიკური ლიდერი. სიმშვიდე, რაც ივანიშვილს გააჩნია, ყურადღებისმიმქცევია. როდესაც მას პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებენ პატარა, უბედურ დღეში ჩაგდებული, დაქირავებული ჟურნალისტები, კერძოდ, ეკითხებიან — არის თუ არა იგი კრემლის ბოლო იმედი? — იგი ღიმილით პასუხობს და ეუბნება — ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება, მე ვხვდები თქვენ რა მძიმე დღეში ხართო. ასეთი ტიპის ადამიანის წყობიდან გამოყვანა, მისი სტრატეგიული ხაზის შეცვლა არ იქნება ადვილი. მითუმეტეს, იმ გაცვეთილი მეთოდებით, რაც ალბათ, ივანიშვილისთვის უკვე კარგად ნაცნობია.

***№44 (173), 09.11-14.11, 2011 წ.***

* * *

რეალურად საქართველოს დამოუკიდებლობა არ გააჩნია, მისი ხარისხი ძალიან დაბალია, ანუ გადაწყვეტილების მიღების დონე, ფაქტობრივად, მიზერულია, ტანკების აქ ყოფნა ერთია, მაგრამ მეორეა ჩვენი რეალური უნარი ამა თუ იმ სფეროში მივიღოთ გადაწყვეტილებები. ამ თვალსაზრისით, სულ უფრო ნაკლებ სფეროს ვხედავ, სადაც ნამდვილად ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესები იქნება წარმოდგენილი მტკიცედ და შეუვალად. ეს ნათელჰყო, თუნდაც ამ ზაფხულს წარმოქმნილმა პრობლემებმა რელიგიასთან დაკავშირებით, ეს ჩანს ეკონომიკის სფეროშიც და ა.შ. დამოუკიდებლობის ხარისხი ამ ქვეყნის ლიდერთა, ესთეტ-ლიდერთა, ძალიან დაბალია, თუნდაც სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. დაპყრობილი ერთმნიშვნელოვნად რუსეთის მიერ ვართ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თურქეთს აქვს მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები დიდი ხნის წინ, აგრეთვე, ჩვენ, იდეაში შეიძლება ტერიტორიული პრეტენზიები გვქონდეს მეზობელ სომხებთან და აზერბაიჯანთანაც. თუ დავაკვირდებით ჩვენი ტერიტორიების ნაწილი მიტაცებული აქვს სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთთან გვაქვს ტერიტორიული პრობლემები. ამასთან ერთად რამდენად მაღალია დამოუკიდებლობის ხარისხი, ძნელი სათქმელია. პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხი კლებულობს იმის ხარჯზე, რომ სააკაშვილი უარს ამბობს, ზურგს აქცევს დემოკრატიას.

* * *

სულიერ ფასეულობებს არ ქმნის მთავრობა, არამედ საზოგადოება და თუ სულიერებაში პრობლემა გაქვს ეს საზოგადოების ბრალია. მთავრობამ ამას შეიძლება ან შეუწყოს ხელი ან შეუშალოს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილის მიერ განხორციელებული ქმედებები ამ მიმართულებით შემდეგნაირია, რაც ესმის იმას აკეთებს. სააკაშვილის ხედვა საქართველოზე — ეს არის ევროპულად თანამედროვე სტილში ორგანიზებული აზიური ქვეყანა, რომელშიც დიქტატურაა, მაგრამ ამავე დროს საბანკო გადარიცხვების მაღალი ხარისხია. სულიერებასთან ამას ნაკლები კავშირი აქვს. ეროვნულ ფასეულობებს საზოგადობა ახვევს ხოლმე პოლიტიკოსებს. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ, რომ დიდი იდეოლოგიური ბუმია ქართულ პოლიტიკურ ელიტაში. ბოლო ერთი წლის მანძილზე მახსოვს სუბარის განცხადება ქართული სულიერი ფასეულობების შესახებ — ამ განცხადებით დაიწყო და დამთავრდა. რეალურად, ქართულ პოლიტიკურ ელიტას არ შეუქმნია ხედვა თანამეროვე, პროგრესული საქართველოსი. რასაც ვუსმენ სულირებაზე, ეროვნულობაზე პოლიტიოსთა განცხადებებს — ეს ან არის მე-9-ე, მე-13-ე საუკუნეებზე ან 20 წლის წინანდელ საქართველოზე საუბარი.

***№35 (164), 7.09-13.09, 2011 წ.***

* * *

სამწუხაროდ, თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ჩვენ არ აღგვიქვამს თავის ნაწილად, უფრო მეტიც, არც ჩვენ არ მივისწრაფვით იმისკენ, რომ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ. ძირითადად, ბოლო მესიჯი, რომელიც ამ დარბევით იქნა გაგზავნილი დასავლეთისკენ, შემდეგ შინაარსს მოიცავდა — ჩვენ ჩვენებურად მოვუვლით ჩვენს პრობლემებს. ჩვენებურად მოვუვლით ნიშნავს შემდეგს — ხელისუფლება ეუბნება დასავლეთს, ამ ხალხს მე ვიცი, როგორადაც უნდა მოვუაროო — ეს არის ხელბორკილის დადება, მერე მოკვლა, მერე ჩაკვლა და ა.შ. მერე საკუთარი იდეოლოგიური პიარი. ეს ჩვენს მიერ საკუთარი თავის შეფასებაა, ამით ჩვენ ვამბობთ, რომ არ ვართ ცივილიზებულები და ნუ შეგვაფასებთ ცივილიზებული საზომით. სამწუხაროდ, ამას ძალიან აუბა მხარი თავად დასავლურმა ისტებლიშმენტმაც, რომელიც როგორც ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში, თვალს ხუჭავს იმ ქმედებებზე, რასაც ხშირად აქვს ადგილი საქართველოში. თუ ვერ ვიტყვით, რომ წაახალისაო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთმა ეს მიიღო, როგორც ჩვენებური სტანდარტი. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, დასავლეთს ძალიან გაუჭირდება საქართველოსნაირი პარტნიორის ყოლა, თუმცა ეს არც პირველია და არც ბოლო. მაგრამ ამით ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ ეტაპზე ხელახლა ამოვშლით საკუთარ თავს ცივილიზებულ ერთა სიიდან. ეს ხდება ერთდროულად — ხელისუფლება საკუთარ თავს შლის და ავტომატურად ქვეყანაც თანდათანობით შორდება ცივილიზაციას.

***№23 (152), 8-14 ივნისი, 2011 წ.***

* * *

ჩვენი ქვეყანა კი არის თავისი ეროვნული ინტერესების, მეტიც, ეროვნული იდენტობის გარეშე დარჩენილი სახელმწიფო, რაღაც ტერიტორია, რომელსაც მენეჯმენტს უკეთებენ ისე, როგორც ამბობენ ხოლმე, რომ ვანო მერაბიშვილი კარგი მენეჯერია. ის ტერიტორიას და ხალხს უკეთებს მენეჯმენტს, დანარჩენი კი სიტუაციურად იცვლება. ხან რა გარიგება დგება ხოლმე და ხან რა. ამიტომ ძალიან კომიკურია საუბარი რუსეთთან დაპირისპირებაზე, ამერიკის პარტნიორობაზე, ევროპისკენ სწრაფვაზე - ეს დამოუკიდებელი ერთეულისათვის დამახასიათებელი თვისებებია. ეს ყველაფერი ძალიან თვალნათელი იმიტაციაა, რომლის დანახვაც არ არის რთული. მაგალითისათვის ავიღოთ რუსული სიმღერის არმოსმენა და დაპირისპირება რუსეთთან. ერთი ადამიანი, პატრიოტიზმის რანგში აყვანით, გეტყვის, აი, შენ როგორ უსმენ ალა პუგაჩოვას და იგივე ადამიანი ხელს მოაწერს (ან ეთანხმება მაინც) ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კანონს, ეკლესიის, რომელიც არის ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი გამომხატველი. ეს კონსტიტუციაშიც გვიწერია, რომ იგი ჩვენი იდენტობის ნაწილია და ეს ნაწილი ითხოვს, რომ კანონი იქნას განხილული უფრო სიღრმისეულად, კანონი რომელიც ეხება შენს იდენტობას მეოთხე საუკუნიდან და არა საგადასახო სისტემას ან რეესტრს. ჩვიდმეტი საუკუნეა შენ ეს ხარ!

* * *

ჩემი მიზანი რა არის?! - პირველი ის, რომ შევინახო რაც მამაპაპისეულია, რათა ჩემი შვილი რომ გაიზრდება, მას ჰქონდეს რაღაც ხელმოსაკიდი. ამ დღეებში კი გვითხრეს, რომ როგორ შეიძლება შენ გქონდეს პრეტენზია შენს იდენტობაზეო, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას მეტი უფლება ჰქონდეს — ამას როგორ ბედავო. ანუ რა გამოდის - ფილმს უყურებ ინგლისურად, სიმღერას აღარ იმღერებ რუსულად და შენი იდენტობა იქნება არა შენი ეკლესია, რომლისგანაც გქვია ქართველი, არამედ რაღაც სხვა, რომელიც ჯერ მოფიქრებულიც კი არა აქვთ კომუნისტებისგან განსხვავებით. ანუ ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდნენ, ვინაა ეს ახალი ქართველი. ესეთი რელობა გვაქვს დღეს. და ამაზე გვეუბნებიან, რომ ეს არის დემოკრატია. დემოკრატია იცით, რატომ მოდის ყოველივე ამასთან კონფლიქტში?! დემოკრატია ის არის, რომ ჩვენ ყველა რაღაცაზე შევთანხმდით და ის გვინდა, ამათვის კი ხვალიდან თქვენ იქნებით... შემომიარეთ ორშაბათ-სამშაბათს და გეტყვით, ვინ იქნებით და ეგ იქნება დემოკრატიაო. აი, ჩვენი რელაობა! ამიტომ, მგონი, ჯობია, სახლში წახვიდე, შენს შვილს ასწავლო, რატომაა ის ქართველი და ამათ არც ენდო და არც ეკამათო, როცა გეტყვიან, რომ თავს დაგვესხნენ პაჭანიკები! და სულ უნდა იფიქრო, როგორ უნდა შეინარჩუნო შენი თავი!

*№29 (158),*
*20-26 ივლისი, 2011 წ.*

* * *

ქართული საზოგადოება მზადაა სახელმწიფოებრივი განვითარების უფრო მაღალ დონეზე გადავიდეს და ეს ცდომილებები გამოასწოროს, რაც სახელმწიფო სისტემის მშენებლობასთან მიმართებაში გვაქვს. დღეს, ქართული საზოგადოების მოთხოვნები, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეხედულებების თანხვედრია.

* * *

საქართველოში პროცესების არადემოკრატიულად განვითარება კიდევ ერთხელ, იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან ამოვარდნას ნიშნავს, რომლებიც რეალურად ჩვენი არსებობის საფუძველია. ამას მარტივად უნდა შევხედოთ — თუ ჩვენ დემოკრატიული ქვეყნების კლუბის წევრი არ ვიქნებით, მაშინ სხვა ძალებთან პირისპირ დავრჩებით. ჩვენ თუ არ გვეყოლება მეგობრები, რომლებთან ერთადაც გარკვეულ ღირებულებებს გავიზიარებთ, დავრჩებით სხვა ძალების პირისპირ, რომლებიც ბევრად უფრო იოლად და ძალადობრივად გადაწყვეტენ ჩვენს მომავალს, აქ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუნდაც რუსეთი. შესაბამისად, არსებობის შესანარჩუნებლად, თანამედროვენი უნდა ვიყოთ. დღეს კი, თანამედროვეობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას ნიშნავს.

* * *

ბუნებრივია, მოსაგვარებელი უამრავი რამაა, მაგრამ სანამ ამ პრობლემების მოგვარება დაიწყება, უმთავრესია აღსრულდეს ის, რომ ვიყოთ ვინც ვართ, რაც პასპორტში გვიწერია — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა. ეს ნიშნავს, რომ ეს არის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას ხალხი აყალიბებს. თუ ამ სისტემის ფუნდამენტი არ გასწორდა, რაც არ უნდა ლამაზად შევღებოთ მანქანა, სალონში კომფორტული სავარძლები ჩავდგათ, სანამ მოტორის ტრიალი ბორბლებს არ დაუკავშირდება, მანამდე მანქანა არ იმოძრავებს. ასეთი ფუნდამენტური თემაა ის, რომ საქართველოში ხალხის ნება ხელისუფლების არჩევანს უნდა დაუკავშირდეს. სანამ ეს არ მოხდება, სანამ ხალხი ხელისუფლების ამრჩევი და მაკონტროლებელი არ იქნება, ეკონომიკური კონცეფცია, ელემენტარულად არ იმუშავებს.

*№19 (203),*
*18-24 აპრილი, 2012 წ.*

* * *

ქართული საზოგადოება, ბოლო 20-წლიანი პოლიტიკური ცხოვრების არცერთ ეტაპზე ხელისუფლების უზურპაციაზე თანახმა არ იყო და მუდმივად თავისი უფლებებისთვის იბრძოდა. რამდენად იყო მზად პოლიტიკური სპექტრი, ელიტა, რათა ამ ბრძოლისთვის ადეკვატური ფორმა მიეცა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ საზოგადოება ყოველთვის მზად იყო ის ძირითადი ღირებულებები დაეცვა, რაც ფაქტობრივად თანამედროვე ცივილიზაციას ქმნის — ეს არის მოქალაქის უფლება იყოს თავისუფალი და აშენოს თავისუფალი ქვეყანა.

ამ ვითარებაში, ჩვენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასაც დავანახეთ მუდმივი მზადყოფნა. ხალხი დღესაც აფიქსირებს, რომ მზად არის დემოკრატიისა და თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს ასაშენებლად.

***№08 (192), 2012 წ.***

* * *

რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, XX საუკუნეში დაპყრობილმა, იმპერიის მარწუხებში მყოფმა საქართველომ ფუნდამენტური მეცნიერული სკოლების ჩამოყალიბების პრეცედენტის შექმნით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ჩვენი პრიორიტეტი, ამ მიმართულებით, ძველის შენარჩუნება და მის საფუძველზე თანამედროვეს შექმნა იქნება. გეტყვით, მაგალითად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მაგალითს — საბჭოთა კავშირის პერიოდში, საქართველოში ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები არსებობდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამ ინსტიტუტების დაფინანსების და თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურ გარემოში ინტეგრაციის პრობლემა გაჩნდა. ღეალურად ესაა ინსტიტუტები, სადაც ბევრი ადამიანი მოქალაქეებად ვყალიბდებოდით, და შარშან, უცებ ეს ინსტიტუტები ქართული სამეცნიერო რუკიდან გაქრა; ამის აღქმა ძალიან ძნელია, მაგრამ, მეორე საკითხია, როგორ უნდა მოხდეს მათი აღდგენა? — ეს უბრალოდ ფორმალურად, ან თუნდაც ფასადურად კი არ უნდა მოხდეს, არამედ მათ ახალი სიცოცხლე უნდა შთავბეროთ.

*№44 (228), 24-30.X, 2012 წ.*

# ბიძინა ივანიშვილი:

***თქვენ იცით, რომ მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ღიად და გახსნილად ვამბობ. ყოველთვის გულწრფელი ვარ და კულუარული გადაწყვეტილებები არ მჩვევია.სიცრუე არასოდეს დამჭირვებია,ეს ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიკადრებია. და რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად,რომელიც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი.არაფერი გამოუვათ მათ,ვისაც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით შეცდომაში უნდათ ხალხის შეყვანა და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებენ მათ. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს.***

***გიორგი არის ღირსეული პიროვნება - თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს.***

***შარშან ოქტომბერში მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა და ხმა მისცა თავისუფლებას. დარწმუნებული ვარ, წელს ოქტომბერში კიდევ ერთხელ ერთ მუშტად შევიკვრებით, ავირჩევთ გიორგი მარგველაშვილს და ხმას მივცემთ საქართველოს წინსვლასა და სტაბილურობას.***

***ღრმად მწამს, რომ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება იქნება ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვება!***

***გიორგი მარგველაშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი და ის ყველას პრეზიდენტი იქნება!***

***გამარჯვებას ვუსურვებ გიორგის! ყველას გელოდებით არჩევნებზე! მოდით და ხმა მიეცით ჩვენს ღირსეულ კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს! მოდით და ხმა მიეცით ჩვენი ქვეყნის მომავალს!***





# რაც ხდება საქართველოში და რაც მოხდარა, ყველაფერი ბიბლიაშია აღწერილი

## დღემდე იკვლევენ, როგორ გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია, არადა, ბიბლია პირდაპირ მინიშნებას იძლევა მის იდუმალებით მოცულ სიკვდილზე

*ვესაუბრებით საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, პარტია „სამართლიანობის აღდგენის კავშირი — ხმა ერისა — უფალია ჩვენი სიმართლეს" ხელმძღვანელს ბატონ გელა-მიხეილ სალუაშვილს, რომელიც სენსაციურ ინფორმაციას გვაწვდის. მისი აზრით, რაც დღეს საქართველოში ხდება და რაც მოხდარა, ყველაფერი ბიბლიის წმიდა წიგნებშია გადმოცემული.*



**— ბატონო გელა, თქვენთან შესახვედრად რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თქვენნაირი პერსონა, ანუ ღვთის რწმენაზე დაყრდნობილი, პატიოსანი ადამიანი რეიტინგული არ არის, არადა, თითქოს ყველა ინატრებდა პრეზიდენტად ღვთის მოწმუნე, სამშობლოს უანგაროდ მოყვარულ ადამიანს. თვითონ როგორ ფიქრობთ, არის საქართველოში დღეს ის ჟამი, რომ თქვენისთანა პრეზიდენტი აირჩიონ?**

— თქვენს შეკითხვაზე ძველი ხალხური ლექსი გამახსენდა:

*„რავქნისა ციხე ავაგე,*
*ჯავრი შავაბი კარადა,*
*საიდან აღარ მოვიდნენ*
*ამ ციხის სანახავადა,*
*ბევრი უარეს ციხესა,*
*კარ ვერ შაჰკიდეს კარადა,*
*მემრე თქვეს:*
*დრო რომ მოალის,*
*კარ გაიღების თავადა".*

ანუ ყველაფერს თავისი დრო აქვს. როგორც ბიბლიაში არის დრო ქვების განბნევისა და არის დრო მათი შეკრებისა. თუ დრო არ მომწიფდება, ისე ყოველი შრომა ფუჭია. დღეს ის დროა მომწიფებული, რომ მე გავაქტიურდე, გამოვიდე აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩვენი აზრით, საქართველოს თავისი არსებობის ჯვარცმისეული ეტაპი უმთავრდება. ანუ იწყება გაბრწყინებისეული ეტაპი, რასაც საუკუნეების მანძილზე ელოდა ქართველი ხალხი. საქართველოს აქვს გამორჩეული სულიერი მისია და ეს მისია X საუკუნეში იოანე ზოსიმეს აქვს გადმოცემული თავის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაიში". ეს ვეებერთელა მისიაა.

მსოფლიოში ორ ერს აქვს პარალელური მისიები — ებრაელ და ქართველ ერს.

ებრაელთა წიაღში უნდა დაბადებულიყო იესო ქრისტე, ხოლო მას შემდეგ, რაც უფალი ჯვარს ეცვა, დაიწყო აქამდე პარალელურად მოქმედი ქართველი ერის მისია. ჩვენთან უნდა მოხდეს უფლის მეორედ მოსვლის წინარე დროის დადგომის დადასტურება და ბიბლიაც გაჯერებულია იმ ნიშნებით, რაც უნდა შევიცნოთ.

**— გასაგებია, ბატონო გელა, მაგრამ თქვენს მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში ყველაფერ ამასთან რა კავშირი აქვს?**

— მე მოგიყვებით თანმიმდევრობით, რა ეტაპზე ვიყავით, რა ეტაპზე ვართ და რა გველოდება წინ. მაშინ მიხვდებით, თუ რატომ გადავწყვიტეთ ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

**— გისმენთ.**

— მეორედ მოსვლის წინარე დრო უნდა შეიცნოთ იმით, რომ როგორც ბიბლიაშია, რომელიღაც ქვეყანა გარკვეული დროის განმავლობაში ჩრდილოეთის მეფის ტყვე უნდა იყოს.

***„ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: რაკი არ გესმოდა ჩემი სიტყვები, აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, გაოხრდება, გაუკაცურდება მთელი ეს ქვეყანა და ჩრდილოეთის მეფის მორჩილებაში იქნებიან 70 წელიწადს ეს ხალხები, შესრულდება 70 წელი და მე დავსჯი ჩრდილოეთის მეფეს",*** — ამბობს ბიბლია.

რუსეთის ტყვეობაში 1801 წლიდან იყო საქართველო, მაგრამ რატომ უსვამს ბიბლია 70 წელს ხაზს? იმიტომ, რომ 1918-21 წლების შემდეგ, როცა დამოუკიდებლობა დავკარგეთ, სსრკ-დ წოდებულ ტერიტორიაზე დამყარდა სახელმწიფო, როგორიც აქამდე არასდროს არსებულა — დაარსდა ულმერთო სახელმწიფო.

კაცობრიობას ახსოვს სხვა იმპერიებიც, მაგრამ ისინი რაღაც მიღმიერს: ღმერთს, კერპს, ბომონს, ყოველთვის აღიარებდნენ. მაგრამ არ არსებობს ღმერთიო, ეს მხოლოდ სსრკ-ში ითქვა. ამიტომ ბიბლია სწორედ ამ ათეისტური წყობიდან იწყებს ათვლას.

62 შვიდეულის შემდეგ რომ მოიკვეთება, ის იქნება პირველი მეფეო, ამბობს ბიბლია, მაგრამ რატომ პირველი?

საქართველოს ისტორიაში პრეზიდენტის ინსტიტუტი მაშინ პირველად იქნა შემოღებული და ამას უსვამს ხაზს წმიდა წიგნი.

შემდეგ წერია: „ეს რქა მოტყდა და მის ნაცვლად ოთხი ამოვიდაო".

ზვიად გამსახურდიას წასვლის

ბიბლია გვაუწყებს: *„როდესაც მოღალატენი თავიანთ საქმეს აღასრულებენ, დადგება პირქუში და ივავთა მცოდნე მეფე"... (დან. 8, 21-23) ... განმტკიცდება მისი ძლიერება, ოღონდ არა მისი საკუთარი ძალით. შეუდგება საშინელ გაპარტახებას და წარმატებული იქნება მისი მოქმედება, და გაწყვეტს ძლიერებას და წმინდათა ერს. გარდა ჭკუა-გონებისა და წარმატებისა, მზაკვრობაც მის ხელში იქნება. განდიდდება იგი და მშვიდობიანობაში მრავალს დაღუპავს... (დან. 8, 24-25).*

**— მთელი ბიბლია ჩვენზე ყოფილა დაწერილი და ეგაა.**

— ქალბატონო ირანდა, უფლის გაცხადებაზე დიდი ორიენტირი კაცობრიობას არ აქვს. ამიში ალაზევებს უზენაესი სამ მეფეს და ბევრს შეყრის მათ სამეფოში". ნახეთ, რას წერს ბიბლია სააკაშვილის მმართველობაზე:

*... „სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე. დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი — მოყვასს. ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, ულირსი — პატივსებულს, რადგან კაცი დაიჭერს თავის ძმას მამის სახლში... ჩემს ერს ბავშვები ჩაგრავენ და დიაცები უბატონდებიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა დაგაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს". (ესაია, 3,4-6,12).*

მაგრამ განვაგრძოთ, იქ თუ ლაპარაკობს: რომ ზვიად გამსახურდიას შემდეგ, ანუ 434 დღის

აკი, ამბობს კიდეც, 70 წლის შემდეგ დავსჯი ჩრდილოეთის მეფესო, 1991 წლის 21 დეკემბერს დაიშალა საბჭოთა კავშირი.

მოდი, დავარქვათ ამ მოვლენას ბიბლიური მინიშნების ათვლის წერტილი და განვაგრძოთ. ბიბლიის მიხედვით, 70 წლის შემდეგ მოდის ვიღაც ცხებული მეფე, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის გარკვეული დრო აქვს დათმობილი. „62 შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული, მაგრამ ბრალი არ ექნება".

62 X 7 = 434-ია.



ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა 1990 წლის 28 ოქტომბერს და იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო 1992 წლის 6 იანვარს. ამ თარიღებს შორის სწორედ 434 დღეა. ანუ 62 შვიდეულის შემდეგ მოკვეთილ ცხებულს (ადრე მეფეებს მირონცხებას უკეთებდნენ და ცხადია, აქ პრეზიდენტს ვერ დაგვიწერდნენ) ბრალი არ ექნებაო. მოკლედ, ის, ვინც სამოცდაორი შვიდეულის შემდეგ იქნება მოკვეთილი, ბრალი არ ექნება, ანუ უდანაშაულო იქნებაო. ეს არის ზვიად გამსახურდიას მოსვლასა და მის დამხობაზე მინიშნება.

შემდეგ 1992 წლის 2 იანვარს ჩამოყალიბდა სამხედრო საბჭო, რომელშიც ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი გაერთიანდნენ. იმავე დღეს შეიქმნა დროებითი მთავრობა სიგუას თავმჯდომარეობით. შემდეგ 7 მარტს ჩამოვიდა შევარდნაძე საქართველოში და 1992 წლის 10 მარტს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომლის პრეზიდიუმში ოთხი პერსონა გაერთიანდა — კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი, ხოლო შევარდნაძე იყო თავმჯდომარე.

ტომ მთელი ბიბლია ფოკუსირებულია სწორედ უფლის მეორედ მოსვლაზე და იმაზე, როგორ უნდა შევიცნოთ ეს ნიშნები. ამიტომ ნუ გიკვირთ ნურაფერი.

მაგრამ განვაგრძოთ: შემდეგ ბიბლია გვეუბნება, რამდენ ხანს უნდა იყოს ხელისუფლებაში ის, ვინც მოიცილებს წინა სამს.

ჩვენ კარგად ვიცით, რაც მოხდა 2003 წლის ნოემბრის დღეებში, მაგრამ გადავხედოთ ბიბლიას, როგორ აღწერს იგი ამას: „გაძლიერდება სამხრეთის მეფე (ჩვენ ხომ სამხრეთ კავკასია ვართ), მაგრამ იმძლავრებს მასზე ერთ-ერთი მისი მთავართაგანი, გაბატონდება და დიდი იქნება მისი ხელმწიფება". თურმე იმ მეფის (შევარდნაძის) ჩამომგდები და მომცილებელი მისივე ბანაკიდან უნდა იყოს, „ერთ-ერთი მთავართაგანიო", მაგრამ ვინ არის ეს მთავართაგანი? 1992 წელს, როცა შევარდნაძე 5 ნოემბრის არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი გახდა და მოქალაქეთა კავშირმა უმრავლესობა მოიპოვა, სააკაშვილი პირველად მოხვდა მის სიაში და ის აირჩიეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ. მერე შეიქმნა ფრაქცია მოქალაქეთა კავშირი. ამის ხელმძღვანელიც სააკაშვილი იყო, შემდეგ გახდა იუსტიციის მინისტრი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, ანუ იგი გახლდათ შევარდნაძის „ერთ-ერთი მთავართაგანი". მაგრამ კვლავ განვაგრძოთ: "უკანასკნელ ხანებმერე ოთხი მეფე ამოვა ერთდროულადო, აქ ამბობს: სამი მეფე ამოვაო. სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე, „ვარდების რევოლუციად" წოდებული გადატრიალების შემდეგ, ერთად მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ეს სამი მეფე „გაბატონდებიან უფრო სასტიკად, ვიდრე მისი წინამორბედნი", ანუ ესენი მშველელები კი არა, წინამორბედზე უფრო სასტიკნი იქნებიანო და „ამიტომაც ეწოდათ მათ არწივის თავნი". არწივი, ამ შემთხვევაში, ბოროტების სიმბოლოდ არის მინიშნებული.

„ესენი არიან, ვინც დაიუნჯებენ მის ბოროტებებს და უკანასკნელსაც განახორციელებენო". ბოროტებებში იგულისხმება წინა ოთხეულიდან შევარდნაძის ფენომენი, რომელმაც წინა სამი მოიცილა და ათნახევარი წელი მეფობდა.

შემდეგ ბიბლია მიგვანიშნებს: „აჰა, შუა თავი უეცრად გაუჩინარდა..."

2005 წლის 2 თებერვალს დავიძინეთ, დილით გავიღვიძეთ და გვეუბნებიან, რომ ზურაბ ჟვანია აღარ არის ცოცხალი. დღემდე იკვლევენ, როგორ გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია, არადა, ბიბლია პირდაპირ მინიშნებას იძლევა, როგორ გარდაიცვალა იგი:

„ასეთია ამის განმარტება:

ერთ-ერთი მათგანი თავის სარეცელზე უეცრად მოკვდება, თუმცა წამებით".

მაგრამ ვინ არის ეს შუა თავი?

სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე რომ მოვიდნენ, სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, იურიდიულად, ბურჯანაძე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ითვლებოდა მეორე პირად, მაგრამ გავლენის მიხედვით, ჟვანიას ფენომენი უფრო ძლიერი იყო და ბურჯანაძე მიიჩნეოდა მესამე პირად.

ამ შუაზეა ლაპარაკი ბიბლიაში და მითითებულია, რომ სარეცელზე წამებით არის მოკლული. სარეცელზე შეიძლება ავადმყოფობით მოკვდეს ადამიანი, მაგრამ იქ წერია — უეცრად მოკვდებაო...

„დარჩა ორი თავი (სააკაშვილი და ბურჯანაძე), ნახეთ, შემდეგ რა ხდება. „აჰა, შთანთქა მარჯვენა თავმა მარცხენა". გამარჯვებულმა შთანთქა დამარცხებულიო, მაგრამ რა გამარჯვება-დამარცხებაზეა საუბარი?

2008 წლის 21 მაისს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სავარაუდოდ, 21 აპრილისთვის საარჩევნო სიები უნდა წარედგინათ. ბურჯანაძეს, არ მისცეს რა გარანტიები, რომ ის კვლავ პარლამენტის თავმჯდომარედ იქნებოდა არჩეული, მას საარჩევნო ქვოტაში უარი უთხრეს, ჩაესვა თავისი გუნდის გარკვეული რაოდენობა, მაშინ ბურჯანაძემ უარი თქვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიაში ყოფნაზე.

6 ივნისს, როცა ჩატარდა პირველი სხდომა, ბურჯანაძემ დაამთავრა თავისი საქმიანობა.

მაშასადამე, მარჯვენა თავმა შთანთქა მარცხენა თავი, პირობითად არის ასე: 2008 წლის აპრილიდან — სიის ჩაბარებიდან 2008 წლის ივნისამდე დროის მონაკვეთი.

აქედან იწყება ის ათვლა, ამ სამიდან დარჩენილი ერთი როდემდე უნდა იყოს ხელისუფლებაში, ანუ სააკაშვილზეა საუბარი.

ამ სამიდან ერთი განიზრახავს დროის შეცვლასო.

მაგრამ სანამ სააკაშვილზე გესაუბრებოდეთ, მანამდე მსურს კიდევ ერთ მინიშნებაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება.

„მისი დადგომისთანავე (ლაპარაკია შევარდნაძეზე და ოთხეულის მმართველობაზე) შეი-***ლის შეცვლას. ისინი ხელში მიეცემიან მას, ვიდრე არ გავა დრო — ორი დრო (ორი წელი) და ნახევარი დრო (ექვსი თვე). შემდეგ (ანუ 3,5 წლის დამთავრებიდან ათვლით) დაჯდება სამსჯავრო და წაართმევს მას ხელმწიფებას, რათა საბოლოოდ მოისპოს და დაიღუპოს" (დან. 7,25-26).***

ე.ი. სააკაშვილს გამოყოფილი აქვს ორი დრო და ნახევარი, რაც ჯამში არის სამნახევარი წელიწადი, როდესაც ის ხელშეუხებელია და როცა ეს დრო გავა, შემდეგ დაჯდება სამსჯავრო, წაართმევს მას ხელმწიფებას, „რათა საბოლოოდ მოისპოს და დაიღუპოს".

2012 წლის 1 ოქტომბერი არის სამნახევარი წლის მიჯნა, როცა სააკაშვილის ძალაუფლება შეირყა და ახლა ვუხლოვდებით მეორე მიჯნას.

აი, ამ მეორე მიჯნაზე საუბრისას მივადექით უკვე ივანიშვილის ფაქტორს.

„ორნი დასასრულამდე დარჩებიანო".

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩამოყალიბდა ორი მმართველობა: სააკაშვილი თავისი სახელისუფლებო ვერტიკალით, უმცირესობა პარლამენტში და პრემიერ-მინისტრი თავისი საპარლამენტო უმრავლესობით, სამთავრობო გუნდით, ჩამოყალიბდა ორხელისუფლებიანობა, რასაც უცხოურად შეთანხმებულ მმართველობას, ანუ კოჰაბიტაციას არქმევენ.

მაგრამ დასასრულამდე დარჩებიანო?! უსმინეთ განმარტებას: „ესენი არიან, ვინც შემოინახა უზენაესმა მისი დასასრულისთვის. ხანმოკლე და შფოთით აღსავსეა ეს სამეფო".

თურმე ეს ორი რომ გამოიკვეთება და ნაწინასწარმეტყველევი დრო რომ დაიწყება, შფოთით აღსავსე და ხანმოკლე დროითი „სამეფო" რომ დადგება, შფოთით აღსავსე ყოფაში უკვე ვცხოვრობთ. ახლა დროზე მოგახსენებთ. „ორნი დასასრულამდე დარჩებიანო", ე.ი. თურმე დგება დასასრული, მაგრამ ამ დასასრულამდე ეს „ორნი" ერთად უნდა იყვნენ.

პრეზიდენტი გამსახურდიას შესახებ მითითებულია, რომ 62 შვიდეულის შემდეგ უნდა მოიკვეთოს, და ეს შესრულდა, მეორე რგოლთან, ანუ შევარდნაძესთან მიმართებაში ნათქვამია, რომ ის ათნახევარი წელიწადი უნდა იყოს, მესამე პრეზიდენტთან მიმართებაში გვეუწყა, რომ რაღაც პროცესებთან მიმართებაში (2008 წლის აგვისტო) სამნახევარი წლით უხანგრძლივდება მმართველობაო.

ახლა მომეცით უფლება, თქვენ დაგისვათ



მუსრება მისი სამეფო და ოთხი ქარის მიმართულებით გაიყოფა".

შევარდნაძე რომ ჩამოვიდა 1992 წლის 22 ივნისს, დადო ხელშეკრულება დაგომისში და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოები ჩააყენა, აფხაზეთში ომი დაიწყო და რა მოხდა, ყველას მოეხსენება. აჭარაში — ასლან აბაშიძე არ ემორჩილებოდა საქართველოს მთავრობას. საქართველო ოთხ ნაწილად იქნა დაყოფილი. მაგრამ შემდეგ უკვე სააკაშვილის მთავრობაში ყოფნაზე მიგვითითებს ბიბლია და ამბობს: „დაქუცმაცდება მისი სამეფო და ამას გარდა სხვათა ხელში გადავა".

ეს უკვე მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. და რუსეთმა 26 აგვისტოს აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შემდეგ, სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა ოკუპაციის შესახებ კანონი მიიღო.

ნახეთ, სააკაშვილს ბიბლია როგორ გვიხასიათებს: ***„უზენაესის წინააღმდეგ სიტყვებს იტყვის და უზენაესის წმინდანებს შეავიწროებს, განიზრახავს მათთვის დროთა და რჯუ-***

კითხვა: მე, ადამიანმა, რომელმაც ყოველივე ეს ვიცი, ვუწყი, რომელი მმართველის „ხელმწიფება" სადამდე გაგრძელდება, აქამდე რომ ჩავრთულიყავი პოლიტიკურ პროცესებში, ხომ იქნებოდა საკუთარი თავის მოტყუება? ხომ იქნებოდა ბიბლიის უპატივცემულობა? რატომ გამოვსულიყავი მაშინ, როცა არ იყო ჟამი მოწეული?

ერთი სიტყვით, ბიბლიური ნიშნები გვამცნობს, რომ უფლის მეორედ მოსვლა ძალიან ახლოსაა.

**— თუ უფლის მეორედ მოსვლა დგება, არჩევნებს და მასში მონაწილეობას თქვენი მხრიდან რა აზრი აქვს?**

— ჩვენ უფლის გამოცხადების ზუსტი თარიღი არ ვიცით. ამიტომაც, თუ 27 ოქტომბერს ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, უნდა დადგეს ე.წ. გარდამავალი ეტაპი უფლის გამოცხადებამდე. ამ პერიოდში ვაპირებთ განვახორციელოთ ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დვანთან განვითარებული მოვლენების შემდეგ კიდევ ვინმეს ეეჭვება, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია და რუსეთი ამ მავთულხლართების გაბმით სწორედ მის წისქვილზე ასხამს წყალს?



9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებამ იმდენი ლანძღა და აგინა რუსეთი და ე.წ. „რუსული დერჟავა", როგორც მთელ მსოფლიოს, ისე საქართველოს და ქართულ საზოგადოებას ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ მიხეილ სააკაშვილს და მის ე.წ. გუნდს „ტიფასავით" ეჯავრებოდა რუსეთი და გულითა და სულით მიილტვოდა ევროპული „გენეტიკური ფესვებისკენ", პარალელურად კი ამერიკასთან მეგობრობა-პარტნიორობა არსებობის მთავარ მიზნად და გამართლებად ესახებოდათ.

არადა, ფაქტები და მოვლენები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის" ყველაფერზე ხელის მომწერი და ნამუსზე ხელაღებული „ბოსები" სწორედ რომ რუსეთის სატელიტები და ფარული აგენტები ყოფილან და არა ამერიკის და დასავლეთის გულითადი მეგობრები.

ცხადია, „ნაცმოძრაობა" მხოლოდ რუსეთის მიზნების ყურმოჭრილი შემსრულებლები არ იქნებოდნენ, „საქმე თუ ითხოვდა", სხვასაც მიეყიდებოდნენ, მაგრამ რუსეთთან ჩახუტების რომ არ სჯეროდა ვილაცებს, ახლა ნახეთ, თუ ცხადი არ გახდა.

ამას წინათ ჩვენთვის კარგად ცნობილმა მეთიუმ, მეთ ბრაიზამ, კავკასიის ამერიკელმა „კურატორმა" თქვა: ბევრს ვურჩევდით და ვარწმუნებდით სააკაშვილს, არ ჩართულიყო 2008 წელს აგვისტოს ომში, მაგრამ არ დაგივჯერაო.

აგვისტოს ომში ჩართვით სააკაშვილმა, ფაქტობრივად, რუსეთის საქმე გააკეთა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვით ხელ-ფეხი მოაჭრა დაუძლურებულ საქართველოს და გადატეხა.

გუშინწინ სოფელ დვანთან რუსებმა კიდევ გადმოსწიეს საქართველოს საზღვარი და მოსახლეობა გააფრთხილეს: დროზე დატოვეთყაქაურობა, გაიტანეთ, რასაც მოასწრებთ, მოსავალი აიღეთ და ჰაიდა, აიკარით გუდანაბადი, სადაც გინდათ წადით, აქ აღარ დაგინახოთო.

პროტესტის უფლება არც ხალხს აქვს, არც ხელისუფლებას. ბატონი კარასინი კი ბრძანებს: ქართველები პროვოკაციებს გვიწყობენ, გვავიწროებენ და საზღვრის გავლების უფლებას არ გვაძლევენო.

ქართველის გულში საქართველო უსაზღვროა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?!

სააკაშვილის ხელისუფლება ერთ ადგილს რომ ათამაშებდა, ამერიკაში რომ დარბოდა და თავისი თბილი სკამის და საკუთარი კეთილდღეობისთვის ფეხებს რომ ულოკავდა ამერიკელებს და ლამის შარვალჩახდილი ელოდებოდა რუს ვანიასთან შეხვედრას, შადრევნების კეთებას ის ურჩევნოდა საქართველოს საზღვარი დაედგინა, არც ერთ მეზობელთან რომ არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული მიჯნები?!

ამისთანა მოღალატე და ქოსატყუილა მთავრობა საქართველოს რომ ჰყავდა 9 წელიწადი, ალბათ, არსად არ მოიძებნება. წინა მთავრობის წევრები რუსეთში რევოლუციების მოწყობას ცდილობდნენ და საკუთარი ქვეყანა „პორახადნოი დვერი" რომ იყო, სულ ცალ ფეხზე ეკიდათ.

რამდენიმე დღის წინ ერთი ქართული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსმა პოლიტოლოგმა, „კრემლის რუპორად" ცნობილმა ალექსანდრ დუგინმა, რომელიც დღეს საქართველოში ზოგიერთი არქაული, ნეოკონსერვატიულ-აგრესიული ძალების მხარდაჭერაში არის ეჭვმიტანილი, ღიად განაცხადა:

"საქართველო — ეს შეუმდგარი სახელმწიფოა, და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო დამოუკიდებლობის პროცესი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე ამით არ გათავდება. როდესაც ჩვენი ჯარები ზუგდიდის რაიონს "ასუფთავებდნენ", მათ ძალიან ბევრ სოფელში ყვავილებითა და სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ უკვე ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის საფრთხის ქვეშ საქართველოს მხრიდან. გენოციდის თუ არა, შევიწროების საფრთხის ქვეშ მაინც. სწორედ ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთში, პანკისში. საქართველო, თავისი არსით, არა სახელმწიფო, არამედ მულტიეთნიკური სტრუქტურაა და ამ სტრუქტურისათვის ერთი ნაციის იდეის თავსმოხვევა, როგორც ამას სააკაშვილი აპირებდა, გარდაუვალ ეთნიკურ წმენდას მოასწავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, რუსებმა დავიცავით ორი ერი, ახლა ჩვენს დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას.



სიტუაცია ანალოგიური სცენარით განმეორდება — ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ჯავახეთი, აჭარა. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავერიოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა, მაგალითად ირანს ან თურქეთს, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ." (ინტერნეტპორტალი „**Iternativeright**")

ვიშვიში და თავში ხელის ცემა, ჩვენი, ანუ ხალხის ხვედრია, ნაცმოძრაობამ, როგორც მავრმა, რუსეთს დავალება შეუსრულა, შავიზღვისპირეთის ზოლი კოდორის ხეობიანად გადაულოცა, ზედ ქართლის გული სამაჩაბლოს რეგიონიც მიაყოლა.

დღეს კი ამ ახალი ნაბიჯებით რუსეთი კვლავ „ნაცმოძრაობის" წისქვილზე ასხამს წყალს, საზღვრის გადმოწევით, მოსალოდნელია სამხედრო დაპირისპირებაც კი დაიწყოს, რომელიც ხელ-ფეხს გაუხსნის სააკაშვილს საგანგებო გამოსაცხადებლად და არჩევნების ჩასაშლელად.

ახლა ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა ნაბიჯ-ნაბიჯ, გოჯ-გოჯ გვეცლება ხელიდან, ხან ევრაზიის კავშირზეა ჩუმჩუმად ლაპარაკი, ხან სავაჭრო კავშირებისკენ ვიხრებით, ხან ბიძინა ივანიშვილს ვეძახით „პრორუსს" და ხან სოჭის ოლიმპიადის მშიდობიანდ ჩატარება „გვიჩქროლებს" ვითომ გულს, მაგრამ რად გინდა, „მასკვა სლეზამი ნე ვერიტ"...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# თაყვანისმცემელთა ჩანაწერები



# მსოფლიო ბალეტის ცისკრის ვარსკვლავი

ქართველმა შავტუხა ბიჭმა დიდი თვალებითა და გრძელი ფეხებით მთელ მსოფლიოს ასწავლა თავისი რთულად წარმოსათქმელი გვარი — ცისკარიძე. ის იყო ულამაზესი პრინცი და გახდა თვითდაჯერებული მეფე დიდი თეატრის დიდ სცენაზე, მან შთამბეჭდავად გაიბრწყინა მსოფლიოს ყველა სახელოვან სცენაზე და მოიპოვა ვარსკვლავის სახელი. თავის ცხოვრების 40 წლის იუბილეს რუსეთის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის ექსპრემიერი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ დაარსებული კულტურისა და ხელოვნების საბჭოს წევრი — ნიკა ცისკარიძე ხვდება რეგალიებისა და ჯილდოების სრული კომპლექტით და ვარსკვლავური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყველა ხიბლითა და სიმწარით: სკანდალებსა და ინტრიგებში გახლართული; თაყვანისმცემელთა და მოშურნეთა განწყობილებებში გზააბნეული, მაგრამ შეუვალი, ღირსების გრძნობითა და სიამაყით სავე.

**— მე არ მრცხვენია ჩემი განვლილი ცხოვრების და სცენაზე შესრულებული არც ერთი პარტიის გამო, მიუხედავად იმისა, რომ განგებამ არაერთი განსაცდელი მომიწყო და მახე დამიგო, მინდა ადამიანად დავრჩე.**

ეს სიტყვები ნიკა ცისკარიძეს ეკუთვნის. მას მოსკოვში უკვე მამის სახელით მიმართავენ — „ნიკოლაი მაქსიმოვიჩ“, მაგრამ, რაკი თბილისი მისთვის ბავშვობის ქალაქად დარჩა, გადავწყვიტეთ, ბავშვობაში დარჩენილი მისი კნინობითი სახელით მოვიხსენიოთ ჩვენს წიგნში — იქნებ ამით გადავლახოთ ის ბარიერი, რუსეთის ელიტარული პერსონისგან რომ გვაშორებს.

ნიკა ცისკარიძის ცეკვას, მისი რომანტიკულ-ლირიკული სტილითა და ტექნიკური სრულყოფილებით, ულამაზესი პლასტიკით, უკვე დაერქვა „ანგელოზებრივი“ და ახსნაც მოეძებნა: ის უაღრესად მუსიკალურია, მისი კუნთები გრძნობენ მუსიკას; მისი შესრულება არის ჰარმონიული და ძალდაუტანებელი; მისი უგრძესი ნახტომი ფრენის ილუზიას ქმნის, მისი ტრიალი, ეგრეთწოდებული „ფუეტე“ — თავდავიწყების განცდას. ის გენიალურია სცენაზე.

ნიკა ცისკარიძე სცენისთვის დაიბადა და ამის განცდა დაბადებისთანავე ებოძა: სრულიად პატარამ, 3 წლის ასაკში, თავის პირველ შთაბეჭდილებებს დაარქვა სახელი და ხელის გაწვდენით თქვა — მე მინდა იქ.

იქ, სცენაზე, ზღაპარში რომ უნდოდა, იმითაც გამოხატავდა, რომ ყველა სიტუაციაში ახერხებდა, რამე მოემარჯვებინა და წარმოდგენა გაემართა; ეს შესაძლოა, ყოფილიყო უბრალო ქაღალდის ხელსახოცი, ჯოხი, ბუმბული, რაც უსათუოდ თოჯინად გადაიქცეოდა. თბილისში მოგვიანებით გააცნობიერეს, რომ მათი ფიზიკის მასწავლებლის — ლამარა ცისკარიძის პატარა ბიჭი, ხშირად მათ გაკვეთილებს რომ ესწრებოდა უკანა მერხზე ჩამომჯდარი და უხმოდ ირთობდა თავს გაბანტული ცხვირსახოცით, სწორედ სახელოვანი ნიკა ცისკარიძე გახდა. საბურთალოზეც ახსენდებათ სადარბაზოდან ფრენით გამოჭრილი ძალიან გამხდარი ბიჭი, რომელიც ქუჩაში კი არ დადიოდა, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, სხვადასხვა მოძრაობას ასრულებდა. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში იმხანად ბიჭებს ხშირად უცდებოდათ გაკვეთილი, გახარებული ბავშვები ყირაზე გადადიოდნენ, ის კი მიდიოდა გოგონების პედაგოგთან ნინა დიდებულიძესთან და გაკვეთილზე დაშვებას სთხოვდა. მოსკოვში მისი პედაგოგი ნიკოლაი ფადეეჩევიც იმას ამბობს, რომ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ნიკას დაოკებას, სულ სცენისკენ ილტვოდა, თავდავიწყებით იყო გადაშვებული წარმოდგენების სამყაროში, გაკვეთილიდან რეპეტიციაზე, რეპეტიციიდან რეპეტიციაზე და მერე კიდევ სპექტაკლზე მიიჩქაროდა, ქალაქიდან ქალაქში, კონტინენტიდან კონტინენტზე მიიფრინავდა, რომ... თავისი ცეკვა ეპოვა...

ის ცეკვისთვის დაიბადა და ძალიან პატარას გაუჩნდა პასუხისმგებლობა თავისი ნიჭისა და ბუნებრივი მონაცემების გამო. უკვე 13 წლის ასაკში გააცნობიერა დაუვიწყარი პედაგოგის პიოტრ პესტოვის წყალობით, რომ თუ იზარმაცებდა, ღმერთი დასჯიდა. სიზარმაცე, ინერტულობა, დაღლილობა, გაუბედაობა იმდენჯერ აქვს ჩაკლული საკუთარ თავში, ისეთი თავის იძულება შეუძლია, ისეთი თვითდისციპლინა გამოიმუშავა, რომ ერთხელაც, თურმე, უმძიმესი ტრავმის მიღების მიუხედავად, რეპეტიციას კიდევ ოცი წუთი აგრძელებდა და მუხლის გარშემო მთელი მყესები და კუნთები დაიწყვიტა. ბალეტის მოცეკვავე პატარობიდანვე სწავლობს ტკივილის იგნორირებას და რეაქციები უქვეითდება, ნიკას შემთხვევაში ეს კინაღამ დამღუპველი აღმოჩნდა. მას ცხრა ოპერაცია დასჭირდა, სტაფილოკოკური ინფექციით ინფიცირებული რამდენიმე კვირა სიკვდილს ებრძოდა, სეფსისი განუვითარდა, ფეხის შენარჩუნება კი არა, მისი სიცოცხლის გადარჩენა ეეჭვებოდათ, მან კი ერთ წელიწადში სცენაზე დაბრუნება მოინდომა... მის კოლეგას, ანდრის ლიეპას ნიკას ეს ნაბიჯი ნამდვილი გმირობა ჰგონია, რადგან კარგად იცის ამ გმირობის ფასი — თვითონაც სწორედ ანალოგიური ტრავმა მიიღო და ჩაიქნია სასცენო კარიერაზე ხელი თუ ფეხი, არ ვიცი, რა უფრო ზუსტი იქნება მოცეკვავეების შემთხვევაში.

სცენაზე დაბრუნებით ნიკამ საკუთარი სპარინგ-პარტნიორი ნიკოლოზ ცისკარიძე დაამარცხა, მან შექმნა უნიკალური რამ, შექმნა თავისი თავი — კლასიკური ბალეტის ისტორიაში ცისკრის ვარსკვლავივით შთამბეჭდავი მოვლენა — ნიკა ცისკარიძე.

როგორც თვითონ ამბობს, ათწლეულები უნდა გავიდეს, რომ გამოჩნდეს, რა დარჩება მისი შესრულებული როლებიდან, რა გაუძლებს ჟამთასვლას, რას შემოინახავს ხალხის მეხსიერება; ჩაიწერება თუ არა ბალეტის განვითარების ისტორიაში ნიკა ცისკარიძის სახელი ვირტუოზი ქართველი შემოქმედების ჯორჯ ბალანჩინისა და ვახტანგ ჭაბუკიანის გვერდით. მისი თანამედროვეები: თაყვანისმცემლები, მეხოტბეები თუ კრიტიკოსები არაერთ სახეს ასახელებენ, რომლებიც უდავოდ გაუძლებს მოდისა და ესთეტიკის ჭირვეულობას, უსათუოდ აღმოჩნდება ჩვენს სულიერ საგანძურში: მაკნატუნა, პაგანინი, ნარცისი, კვაზიმოდო, გერმანი... როლები მრავლად იყო, თითოეულ მათგანს თავისი სულის ნაწილი გააყოლა მსახიობმა, სანაცვლოდ კი ის დიდი სიყვარული მოიპოვა, რაც ერთადერთი ღირსეული ჯილდოა მსხვერპლად შეწირული უზრუნველი ბავშვობისათვის, ოთხ კედელს შორის გატარებული ერთფეროვანი და ოფლითგაჟღენთილი ყმაწვილკაცობისათვის, თეატრის უმოწყალო კონკურენციასა და ინტრიგებში დადენილი ცრემლებისა და მარტოობამისჯილი საჯაროობისათვის.

საყოველთაო სიყვარულისა და აღფრთოვანების დასტური ოფიციალური ჯილდოები მის სახლში დაბინავებულ ლამაზ ჟირაფს ჰკიდია კისერზე, სრულიად უცნობი ადამიანებისგან მირთმეული სამახსოვროებიც მრავლად არის მიმობნეული მის გარშემო, მაგრამ, ასეთი ხელშესახები ნივთმტკიცებების მიუხედავადაც, ხშირად დგება წუთი განსჯისა, როცა თავს იმართლებ, რომ ვერ მოასწარი დაგერგო ხე მშობელ მიწაში, ვერ მოასწარი შვილი გყოლოდა, სახლის კარს კი ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმარი გიტეხავს...

**— არსებობს ბედისწერა,** — ამბობს ნიკა. მას უკანასკნელი მოჰიკანის ბედი არგუნა ბედისწერამ. ნიკა ცისკარიძე საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე გადაეწერა თბილისიდან მოსკოვში; ის იყო ქორეოგრაფიული სასწავლებლის საბჭოთა პერიოდის ბოლო, 1992 წლის გამოშვება, ის იყო ბოლო კომკავშირელი სასწავლებელში და, რაც მთავარია, ის იყო დიდი თეატრის ლეგენდარული ვარსკვლავებისა და პედაგოგების მარინა სემიონოვას, გალინა ულანოვას ბოლო მოსწავლე. მისეული განცდით, სცენის კორიფეებმა სწორედ მას გადააბარეს პასუხისმგებლობა დიდ თეატრზე, მის ტრადიციებზე. დღეს, როცა ხელოვნების სფეროს კომერციალიზაციამ წარმოუდგენელი გახადა დიდი თეატრის სახის შენარჩუნება და აღარაფერი კეთდება რუსეთის ბალეტის მსოფლიო სახელის განსადიდებლად, ნიკოლოზ ცისკარიძე ქარის წისქვილებს ებრძვის. იწუნებს დიდი თეატრის ისტორიული სცენის ექვსწლიანი რეკონსტრუქციის შედეგებს, გაფლანგულად მიაჩნია ის 35 მილიარდი, ამ საქმეს რომ მოხმარდა და უამრავი სერიოზული ხარვეზის გარდა, მისი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ დიდმა თეატრმა თავისი განუმეორებელი სურნელება და ბრწყინვალება დაკარგა.



ნიკა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

იქნებ ამ გულისტკივილს ნოსტალგიაც ჰქვია იმ გარდასული დღეების გამო, რომელთა უშუალო მოწმე და მონაწილეც იყო ნიკოლოზ ცისკარიძე — ის მოესწრო დიდ თეატრს, რომელიც საბჭოთა კოსმონავტიკასთან გათანაბრებულ პრივილეგირებულ დარგად მიიჩნეოდა და ერთადერთ საექსპორტო ღირებულებას — რუსულ ბალეტს ქმნიდა. საბჭოეთში ბალეტზე ისე ზრუნავდნენ, როგორც ნამდვილ ნაციონალურ მონაპოვარზე, ხოლო ბალეტის ვარსკვლავები უშურველი პრივილეგიებით სარგებლობდნენ — მათ, მკაცრი საბჭოთა რეჟიმის მიუხედავად, ჭირვეულობისა და განებივრების უფლებაც ჰქონდათ. დღეს ნიკოლოზ ცისკარიძესაც მოიხსენიებენ როგორც ნაციონალურ მონაპოვარს, მაგრამ ამგვარ მიმართვაში ახლა უკვე ერთგვარი ირონიაც იგრძნობა.

თეატრალები და მით უფრო, ბალეტის დარგის მუშაკები ფიქრობენ, რომ ეს დრომ მოიტანა და მთელს მსოფლიოში შეიქმნა რეპერტუარის, სიახლის, ჭეშმარიტად ღირებულის შექმნის დეფიციტი, რომ ტრანსფორმაციას განიცდის ადამიანის შეგრძნებები, აღქმები და ძნელია ამას რამე დაუპირისპირო, მაგრამ ნიკოლოზ ცისკარიძე იმ ადამიანთა კატეგორიას არ ეკუთვნის, ვისთვისაც ობიექტური მიზეზები საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცხოვრება გაიიოლოს და ხელი აიღოს თავის იდეალისტურ წარმოდგენებზე.

**— მე ასე მასწავლეს** — ასეთი სწორხაზოვანი მიდგომით ნიკა ცისკარიძეს მთების გადაბრუნება უნდა. მას ასწავლეს არჩეული პროფესიის თავდადებით, თავდავიწყებით, თავგანწირვით, თაყვანისცემით მსახურება და თავს ახლად ველარ იშობს. ის კლასიკური ცეკვის ვირტუოზია, მან იპოვა თავისი განუმეორებელი საშემსრულებლო მანერა, მას ასწავლეს, რომ სარეპეტიციო დარბაზში იმისთვის დგას სარკეები, შეგეძლოს შენი პროფესიონალიზმის მანიშნებელი თამასის ალმართვა და არ გაბედო მისი დაწევა; უფრო მეტიც, თუ სპორტსმენს, ვთქვათ, ოლიმპიურ ჩემპიონს, აქვს შანსი, ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ დაძლიოს უმაღლესი ნიშნული და ისტორიაში ამ ერთი წარმატებით შევიდეს, საბალეტო სცენაზე ყოველ წარმოდგენაში უნდა დაძლიო „ოლიმპიური რეკორდი“. ნიკოლოზ ცისკარიძეს, მრავალი საერთაშორისო ჩინ-მედლების პასუხისმგებლობით დატვირთულს, სარკეებზე კიდევ უფრო პირუთვნელი კონტროლი აქვს დაწესებული საკუთარი თავისთვის — თავის ყველა გამოსვლას ვიდეოკამერით იღებს და შემდეგ არაერთხელ მშვიდად ათვალიერებს, სადმე პოზიციები ხომ არ დაუთმია. ეს იმისთვის სჭირდება, რომ ვიდრე სხვები შეამჩნევდნენ, თავად მიი-

ღოს გადაწყვეტილება, რა აღარ შეჰფერის მის სახელ-დიდებას. ესეც სწორუპოვარმა გალინა ულანოვამ ასწავლა: სჯობს შეუსრულებელი როლების გამო დაგრჩეს სინანულის განცდა, ვიდრე შენი ნაცეკვი პარტიის გამოო.

საბალეტო სცენაზე ოცწლიანი მოღვაწეობის გამო, ნიკოლოზ ცისკარიძე უკვე ამაგდარ პენსიონერად ითვლება და ოფიციალურად 35 წლიდან კიდევაც იღებს პენსიას. ამის შემდეგ რამდენიმე თავისი კოსტიუმი სხვადასხვა მუზეუმს გადასცა, აღარ დამჭირდებაო. ბალეტის მოცეკვავის სასცენო ცხოვრება ეფემერულია. მოცეკვავეს ძალიან ადრეულ ასაკში უწევს საქმიანობის შეჯამება და წერტილის დასმა, ფაქტობრივად, სრულიად ახალგაზრდას უხდება საკუთარ თავზე, ჩვევებზე, მიღწევებზე უარის თქმა, ინერციის დაძლევა და ახალი ცხოვრების დაწყება. ნიკას სცენაზე არაერთხელ დაუსრულებია სიცოცხლე; მეტწილად ასე ხდება — მისი გმირები, ცხოვრებისეული დრამების გამო, სცენაზე აღესრულებიან ხოლმე, ერთხელ კიდევაც იხუმრა, ჩემი საყვარელი სპექტაკლი „მძინარე მზეთუნახავია“, რადგან კარგად მთავრდება, არ ვკვდები და საბოლოოდ ქორწილი იმართებაო. ქორწილი მშვენიერი ტაიმაუტი იქნებოდა ნიკა ცისკარიძისთვის სცენიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ, როგორც ერთხელ წამოსცდა, სიყვარული ყოველთვის მაშინ ჩნდება, როცა უკიდურესად დაკავებულია...

ალბათ უფრო ადვილი იქნება, სცენიდან წასვლა ახალი ცეკვის პოვნას შევადაროთ, ოღონდ ამჯერად ლიბრეტოსაც, მუსიკასაც, პარტნიორებსაც თვითონ ირჩევ და ქორეოგრაფადაც შენვე უნდა დაუდგე საკუთარ თავს, იმ დაშვებით, რომ ცხოვრების მთავარი ცეკვა კიდევ შესასრულებელი გაქვს, სიამაყეს დაჩვეულმა შეცდომისა და წარუმატებლობის უფლებაც უნდა დაუტოვო საკუთარ თავს, რომ სცენიდან ჩამოხვიდე, მაგრამ ცხოვრების სცენაზე ისევ მთავარი როლი გერგოს. ნიკოლოზ ცისკარიძემ ყველა ეს სიბრძნე თავისი პედაგოგებისგან მოისმინა, მათი ცხოვრების მაგალითზე შეისისხლხორცა, სათადარიგოდ პედაგოგის პროფესიის ცოდნითაც აღიჭურვა, ისედაც საკმაოდ გონიერი და განათლებული ადამიანია საიმისოდ, რომ ვერ აანალიზებდეს მის გარშემო შექმნილ სიტუაციას, მაგრამ ცხოვრებისგან კონკრეტულად მისთვის შეთავაზებულ რეალურ ვერსიაში, ხან სიფიცხე მოეძალება ხოლმე, ხან თავისი ნათქვამი სიტყვის ინტერპრეტაციები გადაელობება, ხან გარემოებებისა და შემთხვევითობის კარნახით იცვლება გეგმები და რთულდება ყველაფერი.



„შეჰერეზადა“, ირმა ნიორაძე და ნიკა ციკარიძე (მარიას თეატრი)

ნიკოლოზ ცისკარიძე მთელი თავისი მომხიბვლელობითა და შემართებით კვლავ დგას სცენაზე და ცდილობს სწორად შეარჩიოს მომენტი სასცენო ცხოვრების დასასრულებლად.

იბრალებს ნიკა ცისკარიძე: მე ყველგანმავალი ტ-24 ვარ, ყველა წინაღობის გარღვევა მასავით წარმატებით შემიძლია, მე კაცისმკვლელის შემართება მაქვს, ისე პრემიერის რანგში 20 წელიწადს ვერ გავძლებდი სცენაზეო... მერე კიდევ, იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლა, თავს არავის დავაჩაგვრინებო, მაგრამ მისი მგრძნობიარე არტისტული ბუნება შინაგანად უდიდესი სინანულით არის სავსე, შეუძლებელია, არ გრძნობდეს იმის საფრთხეს, რომ უსამართლობასთან ამდენმა შეხლა-შემოხლამ შესაძლოა, ურჩხულად გადააქციოს.

დღევანდელი გადასახედიდან დამაფიქრებლად აღიქმება მისი სურვილი, დამსგავსებოდა ვრუბელის „დემონს“, შეექმნა ლერმონტოვის „დემონის“ სახე, ის, რომ უკანასკნელ ხანს ბოროტი ჯადოქრების ხასიათები უფრო აინტერესებდა, „დაცემული ანგელოზის“ როლი მოსწონდა...

რა თქმა უნდა, დიდი თეატრის ვარსკვლავის გარშემო და ზოგადად, თეატრში შექმნილი ვითარების კარნახით გათამაშდა ის საშინელი ტრაგედია, რომლის დროსაც სამხატვრო ხელმძღვანელს, 42 წლის ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს, წარსულში წარმატებულ მოცეკვავეს, ნინო ანანიაშვილის პარტნიორსა და მეგობარს, სამი შვილის მამას სერგეი ფილინს ქიმიური დამწვრობით მხედველობა რომ დააკარგვინეს. დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირები დაკავებული არიან, მათი აღიარებითი ჩვენებები ტელევიზიით გადაიცა, მაგრამ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო გაამძაფრა მოვლენები და არასასურველი სახელოვანი ვარსკვლავი თავიდან მოიშორა. ეს აღარ არის მხოლოდ დაშვება, კორუმპირებულ სახელმწიფო მანქანასთან დაპირისპირებული პერსონის თავიდან მოსაშორებელი საგანგებო გეგმის ფინალს უფრო ჰგავს — ნიკა ცისკარიძეს დაატოვებინეს მშობლიური დიდი თეატრი. ეს იყო დაუნდობელი ვნებათაღელვების ბოლო აკორდი.

ნიკოლოზ ცისკარიძეს შეუძლია თქვას: მე გულზე ქართული ჯვარი მკიდია და რაღა საჭიროა თილისმებიო. მას დედის ნაქონი ჯვარი თავისი ყველაზე დიდი განძი ჰგონია; ერთხელაც, მომძვრალი ჯვრის გამო მრისხანე იური გრიგოროვიჩის გენერალური რეპეტიცია შეუჩერებია, უნდა ვიპოვოო; მას, თურმე, თითქმის ყველა სპექტაკლში აქვს მინიშნებული ისეთი მუსიკალური პაუზა, როცა ღვთის სამადლობელს ამბობს იმ ბედნიერი წუთებისათვის, სცენაზე რომ ატარებს. ამდენად მორწმუნე კაცისთვის მისგან საჯაროდ, ტელევიზიით ლამის აღსარებასავით ნათქვამი სიტყვები: სული არაფრით დამიმძიმებია და მაკმარეთ ამდენი ცილისწამებაო, დამაჯერებლად ჟღერს. მაგრამ სეირის მოყვარულ საზოგადოებას ურჩევნია გაგრძელდეს სანახაობა, არის გადაძახილი ქვეყნიდან ქვეყანაში, კონტინენტიდან კონტინენტზე და საკუთარი განმაქიქებელი ინტერპრეტაციების თხზვა იმის შესახებ, რა მოხდა „ბოლშოიში“. ფაქტები, უდანაშაულობის პრეზუმფცია ცოტას თუ აღელვებს... მორევში აღმოჩენილი ნიკოლოზ ცისკარიძე იძულებულია თავი გადაირჩინოს.

მას თითქოს მძიმე წუთებისთვისაც ამზადებდნენ მისი მკაცრი პედაგოგები, ფიზიკური ტკივილების გადალახვით სცენაზე მეორედაც დაიბადა, მაგრამ წინ კიდევ მესამედ მოსვლა ელის..



„ნარცისი“

### სამშობლოს განცდა

დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში ადამიანები სულ უფრო ვემსგავსებით ერთმანეთს, მაგრამ ქართველებს უსამშობლო ადამიანი ჯერ ისევ ძალიან ტრაგიკული ფიგურა გვგონია. ჩვენთვის აკაკი წერეთლის ღამურა ანბანური მაგალითია მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი ადამიანის მდგომარეობის აღსაქმელად, როცა ფრენის მოსურნე თაგუნას აღარც მიწაზე დაედგომება თავის თვისტომთა შორის, რაკი იუკადრისა მათი ყოფა და აღარც ფრინველები იღებენ, ჩვენ არ გვგავხარო. მორალი ცალსახაა: მშობელ მიწაში უნდა გვედგას ფესვები.

ნიკოლოზ ცისკარიძის სამშობლოს განცდას ორი პოლუსი აქვს, ის ამბობს: მე ეთნიკური ქართველი ვარ, მაგრამ მე რუსი ვარ აღზრდით და რუსულ ბალეტს წარმოვადგენო. ერთი მხრივ, თავის საჯარო გამოსვლებში მას არასდროს ავიწყდება, განსაკუთრებით აღნიშნოს თბილისური გარემოს გავლენა მისი ფსიქიკის ფორმირებაზე, ოჯახის მნიშვნელობა მის აღზრდაზე, დედის როლი მის ცხოვრებაში, ქართული ტრადიციების არსი, მეორე მხრივ კი, რუსული კულტურის თავგადაკლული ქომაგია, რუსული გარემო უყვარს და არ მალავს, რომ განებივრებულია რუსული ელიტის ყურადღებით.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ორი პოლუსის მიუხედავად ნიკა ცისკარიძე, როგორც პიროვნება, არ მოდის წინააღმდეგობაში და არ ცდილობს რომელიმე საწყისის უარყოფას, არ ცდილობს შენიღბოს თავისი ემოციები, თუკი ირღვევა ბალანსი ამ განცდებს შორის.

მან უშუალოდ იწვნია საბჭოთა კავშირის ნგრევის მასშტაბები თავის სამშობლოსთან გავლებული მავთულხლართებითა და მისთვის ძვირფასი სივრცის — დიდი თეატრის ტრანსფორმაციით. მისთვის მტკივნეული იყო და არის ეს ყველაფერი, მაგრამ ნანგრევებს შორის ვერ ჩაიკარგა, ძალიან შთამბეჭდავი ფიგურაა საამისოდ, ამიტომ გარიდება არჩია. მიაჩნია, რომ დილეტანტები ამ სიტუაციებში ვერაფერს შეცვლიან და პოლიტიკოსებს უნდა დაუთმონ ასპარეზი. ის, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი საბალეტო საქმეში, პოლიტიკას კიდევ უფრო სერიოზულ საქმედ მიიჩნევს და თავის ადგილს პოლიტიკოსების გვერდით ვერ ხედავს. არათუ პოლიტიკა, ნიუსების თვალის მიდევნებაც არ უყვარს, ჩემთვის ყველაზე კარგი ახალი ამბავი ახალი ამბების არარსებობააო, უთქვამს, თავისი თავი ხატოვნად სირაქლემისთვისაც შეუდარებია, მირჩევნია, თავი სილაში ჩავრგო, ვიდრე ამდენი ნეგატიური ინფორმაცია მივიღოო.

ვინც ნიკას იცნობს, მისთვის გასაგებია მისი პოზიცია — კონფორმიზმი კი არა, საკუთარი საქმის ფანატიზმი ამოძრავებს, მაგრამ ოპონირების მსურველები საკამათო ნიუანსებს, რა თქმა უნდა, პოულობენ მის საქციელში. მაგალითად, დიდი თეატრიდან გამოძევების შემდეგ, სახელგანთქმული დირიჟორის ვალერი გერგიევის ოჯახმა თავისი მხარდაჭერა იმით გამოხატა დევნილი არტისტის მიმართ, რომ ის ვლადიკავკაზში ფესტივალზე მიიწვია და სახალხო არტისტის წოდებითაც დააჯილდოვა კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ვალერი გერგიევი მსოფლიოში გავლენიან ათ მუსიკოსს შორის მოიხსენიება, თუმცა საქართველოში, ბუნებრივია, გერგიევის გვარი მარიას თეატრის ხელმძღვანელთან და ვირტუოზ დირიჟორთან ნაკლებად ასოცირდება, მეტწილად რუსული ჯარის ექსპანსიას უკავშირდება, რაკი მისი სიმფონიური ორკესტრი ცხინვალის დაბომბვის შემდეგ საგანგებოდ ჩავიდა ნაომარ, დანგრეულ და მოსახლეობისგან დაცლილ ქალაქში კონცერტის გასამართად.

მაშინ, როცა ამ კონცერტს მთელი მსოფლიო შეჰყურებდა და ქართული სახელმწიფოს აგრესიულ ქმედებას ჰგმობდა, მეც ბრაზი მახრჩობდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, იქნებ ჩვენი ბრაზი იმას უფრო უნდა დავუკავშიროთ, რომ არ აღმოგვაჩნდა გერგიევის მასშტაბის კულტურული მოღვაწე, ვინც ქართული საზოგადოების ემოციებსაც გააცნობდა მსოფლიოს და აგვისტოს ომის აბსურდულობას ამხელდა.

დიდი თეატრის შემდეგ მარიას თეატრი ითვლება ბალეტის მექად რუსეთში და, ბუნებრივია, ნიკა ცდილობს იქ შეინარჩუნოს რეპერტუარი, ის ადრეც აქტიურად მონაწილეობდა მათ პროექტებში, მაგრამ... ამ მოქმედებას სამშობლოს ღალატად აფასებენ მისი ოპონენტები. გულშემატკივართათვის კი ვლადიკავკაზში გამოსვლის შემდეგ გაკეთებული მისი კომენტარი: ჩემი სამშობლო ვლადიკავკაზიდან 200 კილომეტრშია, ქედის გადაღმა და ძალიან გამიკვირდა, როცა ასეთი სიყვარულით შემხვდნენ ჩემს გამოჩენასო, ყველაფრის მთქმელია. და განა რა შეიძლება მოვითხოვოთ ხელოვანისგან, რომელსაც თავად არაფერს ვთავაზობთ? ვერაფრით ვეხმარებით?

დაინტერესებული ადამიანისთვის ძალიან ადვილია მოიძიოს ინტერნეტსივრცეში განთავსებული საჯარო გამოსვლები, ტელეგადაცემები, დებატები და მიხვდება, როგორ ოდებს უძღვნის ნიკა საქართველოს, რამდენად მძლავრია მის აღქმაში ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები, მისი ხატადქცეული დედის სახეც თანდათან სამშობლოს ემსგავსება, თითქოს ყველგან არის და რეალურად არსად ჩანს.

ნიკამ ერთხელ საქართველო თავის ისტორიულ სამშობლოდ მოიხსენია, უსათუოდ უნდა ავუხსნათ მას, რომ საქართველო ინგილოსთვის და ფერეიდნელისთვის არის ისტორიული სამშობლო, თორემ 12 წლის ასაკში სასწავლებლად წასული ნიკა ცისკარიძისთვის სამშობლო საქართველოა და მას ჯერ ისევ საქართველოში „უდგას ფესვები“. თუმცა ამის აუხსნელადაც ყველაფერი ნათელია: ვიდრე ენობრივი კონტაქტიც არსებობს და სინანულის განცდაც ქარწაღებული მოგონებების გამო, დედის საფლავის გამო, სამშობლოს ხსოვნა წარუშლელია.

ნიკოლოზ ცისკარიძე ქართველია, რომელიც რუსულ კულტურას ქმნის და ბევრად უკეთესი ქართველია, ვიდრე ის, ვინც საქართველოში ცხოვრობს და ძირს უთხრის ქართულ კულტურასა და ფასეულობებს. თუ აქამდე ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თატრის სახე იყო, დღეს უკვე ის თავისი პრინციპულობით, შეუპოვრობით, ტრადიციებისა და ხელოვნების ერთგულებით რუსეთში ქართული ხასიათის სიმბოლოდ იქცა.

**მანანა კარტოზია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ტარიელ ფუტკარაძის მორიგი „მეცნიერული“ ავაზაკობა სამეგრელოს წინააღმდეგ




ჟურნალ „სამეგრელო“-ს მე-20 ნომერში (2013 წელი) გვ-14-15 დაიბეჭდა ინტერვიუ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან. ინტერვიუს სათაურშივე გამოტანილია და შემდეგ გაჟღერებულია ცნობა, რომ გერმანიაში მცხოვრებ ვინმე ლაზებთან დაახლოებული პირი, ლაზთა საზოგადოების „კაჩკარის“ დამაარსებელი ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ცდილობს თურმე მოქმედებაში მოიყვანოს ქვეყნისთვის მეტად საშიშროების შემცველი მოქმედება. ლაზთა და მეგრელთა თანადგომით გათიშოს ერთიანი საქართველო.

თურმე ეს ფროიერშტაინი, საბჭოთა პერიოდში როცა საქართველოში ჩიტიც კი ვერ შემოფრინდებოდა, თბილისში ჩამოვიდა და მას აქ გადასცეს ხელნაწერი „ნანაშინინა“- ლაზური დედაენა. იგი წიგნად გამოიცა გერმანიაში. ეს დედაენა მან თურქეთში ლაზებთან ჩაიტანა და რამდენადაც მისთვის ცნობილია, ის ლაზებს, როგორც ქართველთა ისე თურქების წინააღმდეგ ამხედრებდა. ამის გამო ის თურმე თურქეთიდან გააძევეს.

ძირძველი ქართველები მართლაც საკმაოდ ბევრნი ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, რუსეთში და ასე შემდეგ. თუ მათვის შეიქმნა „დედა ენა“ და მათ ვინმე გერმანელი მოძღვრავდა, რომ თქვენ ქართველები ხართო და ენა არ დაივიწყოთო, რაა ამაში საგანგაშო? იქნებ პირიქითაა, თითოეული ჩვენგანს უნდა გვეზრუნა მათთან დაახლოება, რომ არ დავიწყნოდათ, რომელი ფესვიდან მოდიან .ეს საქმიანობა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა ყოფილიყო აყვანილი. ალბათ, ტარიელ ფუტკარაძის მსგავს ადამიანებს ელეთმელეთი მოგივიდათ, როცა პრეზიდენტმა ათასამდე თურქეთში მაცხოვრებელ ქართულად მოლაპარაკე ადამიანს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან უმრავლესობა ხომ ლაზია, რომლებსაც დღემდე არ დავიწყებიათ დედა-მეგრული და საკუთარი წარსულით ამაყობენ.

იხილეთ ალბათ ტელევიზიით, რამხელა აღტყინება და სიხარული გამოიწვია ჩვენი ძმებისა და დებისადმი ყურადღების გამოჩენამ. ვინმემ დაუშალა თურქეთში პრეზიდენტს არ ჩამოხვიდე და ძირძველ ქართველებს არ შეხვდიო? რაში მდგომარეობს ამ ცრუ განგაშის აზრი, ცხადია.

რაც გაკეთდა, ეს უკვე ზრუნვაა, რაც დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო, .იმისთვისაც უნდა გვეზრუნა თურქეთში არსებულ სკოლებში ქართული გაკვეთილების ჩატარებისთვის მიგვეღწია.

მოდით, რა ბატონო ტარიელ ვისაუბროთ, როგორს საკუთარი ქვეყნის ჭირისუფალ ადამიანებს სჩვევიათ. არ შეუდგები მეცნიერული კვლევებისა და უდაო ფაქტების ციტირებას. მცირე გამონაკლისის გარდა. ფაქტები იმდენად ბევრია და ეჭვმიუტანელი, რომ თქვენ რამდენიც არ გაისარჯოთ, რეალობას ვერაფერს დააკლებთ,. ძველი კოლხების პირდაპირი შთამომავლები ეგრისელები, იგივე მეგრელები და ლაზები არიან და მათი სალაპარაკო ენა მუდამ მეგრული იყო. ასევეა სვანურიც. თუ ასე არ არის, მოუხმეთ ფაქტებს, დაამტკიცეთ რა ენაზე საუბრობდნენ ძველი კოლხები?

რატომ გიხარიათ, რომ გერმანელი ფოიერშტაინი ჩვენს საკეთებელ საქმეს, რომ იქმდა და თურქეთიდან თუ გააძევეს?... თანაც მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა და რაში გამოიხატა იმ თქვენგან „შერისხული“ ადამიანის ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება ვერ გამიგია, ამიხსენით?

დავერიეთ ერთმანეთს? რაიმე სათუო და საეჭვო მოხდა?... არა. პირიქით კი მგონია. უფრო შევდუღაბდით, გავერთიანდით. საერთო ეროვნული ინტერესები გვამოძრავებს.

ხომ ეჭვმიუტანელია — ქართული ერთიანი ეროვნული ცნობიერება, ენა და კულტურა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამიტომ ახალი „ველოსიპედის“ გამოგონება, ანუ საეჭვო და საკირკიტო თეორიების შეთხზვა არ არის საჭირო. არც საკითხის პოლიტიზირება, ეს ძაბავს მდგომარეობას და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ან როგორ შეგიძლიათ ურცხვად მოიტყუოთ და საკუთარ თავს აკადროთ უკადრებელი? ხმამაღლა აცხადებთ: „ფოიერშტაინი შემთხვევითი ფიგურა არ არის: თუმცა მას ენათმეცნიერებაში საბაზისო განათლება არ აქვს; არც სამეცნიერო ხარისხი აქვს, მაგრამ ძალიან აქტიურია და ცდილობს ლაზები და მეგრელები დააჯეროს, რომ ქართველები არ არიან, მეტიც, მათი მტრები არიან და ქართველთა შორის დაპირისპირების აგორებას ცდილობს “-ო .

თქვენი ასაკის ვარ, სამეგრელოში დავიბადე. მიუხედავად გაუსაძლისი ყოფისა, ამ ულამაზეს და განსაცვიფრებელ კუთხეში მსურს განსასვენებელი ვიპოვო. აქ თუ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ეწყობა, ჩემს თვალსა და სმენას არ გამორჩება. მე არ მსმენია, გერმანელი ფოიერშტაინი ჩამოსულიყოს და ვინმესთან ჰქონოდეს ურთიერთობა. ბრძანეთ ბატონო, კონკრეტულად როდის ჩამოვიდა, ვის შეხვდა? განა პატარა ამბავია, თურმე ჩვენ თავგზას გვიბნევს და დედა საქართველოსთან გვაპირისპირებს. ამაზე დღემდე რად დუმდით? თუ ხმამაღლა ამის გაცხადების გერიდებოდათ, არსებობს სახელმწიფო საიდუმლო სამსახურები და მათთან გეთანამშრომლათ.



ცხადია, ცილისწამება გამოგდით. მეცნიერისთვის ეს უპატიებელი რამ გახლავთ... არ ვიცი, ის ფოიერშტაინი ცოცხალია თუ არა, თუ ფეხზეა და საღ გონებაზე, თქვენი ნალაყბევი რომ გაიგოს, ალბათ, აუცილებლად სასამართლოში გიჩივლებთ და ღირსების შელახვისათვის სოლიდურად დაგაჯარიმებთ.

თქვენმა განცხადებამ ჩვენც აღგვაშფოთა და მსგავსი და დემაგოგიური ნაყალბევი თუ განმეორდა, ჩვენ სასამართლოში შევხვდებით ერთმანეთს. თქვენ მოგიწევთ მტკიცება, ვინ არიან ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ მოქმედნი სამეგრელოში და ვინ ჰყვება გადამთიელთა პროვოკაციას?

ღმერთო, რა უსინდისობაა, რა უმსგავსობაა?

ალბათ, ის მაინც ნახეთ, სამეგრელოსა და სვანეთის ენისა და კულტურის უარმყოფელო მეცნიერო, რომ ყველა პრეზიდენტი (კარგი გამოდგა თუ ცუდი) საკუთარ საპრეზიდენტო მარათონს სამეგრელოდან იწყებს. ეს ძველისძველი და დალოცვილი კუთხე მუდამ გამოირჩეოდა დედა საქართველოსადმი ერთგულებით და მარად ასე იქნება. ამას საფუძველი დიდმა წინაპარმა ქუჯიმ ჩაუყარა. მან ფარნავაზს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში შეუწყო ხელი და იმ მითაჟამიდან დღემდე ერთიანობის ის დუღაბი არ დაშლილა, არ შელახულა. თქვენ კი ჩასაფრებულივით რაღაცას აკოწიწებთ და ამით ვითომ ერის სამსახურს ეწევით.

კიდევ კარგი, რომ არ გამოგდით.

იქნებ არ იცით და მინდა მოგახსენოთ, უკვე გადაწყდა სამეგრელოს გულში, ქალაქ სენაკის ცენტრში დაიდგმება ქუჯისა და ფარნავაზის ძეგლები, როგორც სიმბოლო ჩვენი ხალხების ერთიანობისა და სიმტკიცისა.

ცხადია, თქვენ გაღელვებთ ევროპული ქარტიის ვალდებულებები., რომელიც რეგიონულ და უმცირესობათა ენების დაცვის საკითხს შეეხება. ქარტიაში მოცემული ვალდებულებები „უკუღმა “ გააცანით ამ საკითხებში გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს.

მეგრული, სვანური და ლაზური ენები, როგორც ქართველური ენები, წარმოადგენენ მცირერიცხოვანი ხალხების უმწერლობო და რეგიონალურ ენებს და არა ეროვნულ ენებს. აქედან გამომდინარე, ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიცირებით, მეგრულ და სვანურ ენებს ენის სტატუსი კი არ მიენიჭებათ, არამედ სახელმწიფო ვალდებული იქნება დაიცვას ეს ენები.

ცხადია, ენა, რომელზეც არაფერი იწერება, წირვა- ლოცვა არ მიმდინარეობს, რომელიც არ ისწავლება, თანდათან განწირულია გასაქრობად. ეს კი სიკვდილის მომასწავებელია. ენის სიკვდილი დიდი ცოდვაა და ყველამ ერთად ეს ცოდვა არ უნდა ჩავიდინოთ, რადგან საქართველო უნიკალურია თავისი მრავალფეროვნებითა. მის ბრწყინვალე მოზაიკას სწორედ ენობრივი სიუხვეც აფერადებს.

მითხარით, ბატონი ტარიელ, რეგიონალური ენისადმი ზრუნვა დამღუპველია სახელმწიფოსა და რაიმეთი ვნებს დედა-ენას?. ხომ ცხადია, ქარტია არ მოგვიწოდებს სვანეთსა და სამეგრელოში, მათი მშობლიური ენა სახელმწიფო ენებად გამოაცხადეთო.

რაშია თქვენი და „ძმათა“ თქვენთა ელეთმელეთისა და განგაშის არსი?

დაუფარავ სიძულვილში ხომ არა?

საქართველოში სალიტერატურო, ანუ სამწერლობო ენა ერთი იყო და ასე იქნება.

სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადო, მართლაც შეექმნა პრობლემები მეგრულ და სვანურ ენებს და მიგვაჩნია, რომ საჭიროა მათი დაცვა, როგორც უძველესი მსოფლიოში და უნიკალური ენები. ეს სურვილი, ეს წადილი რატომაა სეპარატისტული გამოხტომა? რა აქვს მას საერთო, ერის გახლეჩასა და თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებასთან — „გათიშე და იბატონე“... თურმე ფოიერშტაინის მოქმედების ერთ-ერთი ელემენტია: სტალინის დეკლარირებული იდეოლოგია“

ამაშიაც ცდებით. აიღეთ ევროპული ქვეყნები და ნახავთ, როგორ იცავენ ისინი უმცირესობათა ენებს. იქ არ ტეხენ უაზრო ყაყანს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, პირიქით, ყველაფრით ცდილობენ ხელი შეუწყონ და ნებისმიერი ენა გადაარჩინონ. მისცენ არსებობისა და მოქმედების საშუალება. ეტყობა, ჩვენი ჩამორჩენილობის შედეგია, ამდენ უკადრებელს რომ ვკადრულობთ. თუ გგონიათ, რომ მშობლიური ენის უარყოფა და შეგინება ჩვენთვის მისაღები იქნება, ძალიანაც ცდებით. თქვენ და ყველა ისინი, ვინც ცდილობთ, დაასამაროთ, შებილწოთ და უარყოთ სვანური და მეგრული ენები — ვერ მოესწრებით. მიმოიხედეთ ოჯახში, თვალი გადაავლეთ თქვენს ახლო ნათესავებს და აღმოაჩენთ, რომ მათ გულს სტკენთ და შეურაცხყოფას აყენებთ.

შეურაცხყოფას იმის გამო, რომ თქვენ მათი მშობლიური ენის კვდომა გინდათ. როცა ენა კვდებ, ხალხიც ქრება. ჯალალედინს, შაჰაბასს და მურვან ყრუს სწორედ ეს სურდათ. ამას ცდილობდნენ.

კიდევ ერთ საკითხზე, რომელზეც, ბატონო ტარიელ, თქვენ მუდმივად აპელირებთ. ეს გახლავთ ,გასული საუკუნის - 20 წლებში ისაკ ჟვანიასა და გრიგოლ ახალაიას სეპარატისტული მოთხოვნები. დაგავიწყდათ სხვები. არსებობდა კიდევ ამგვარი ჯგუფი „მაფშალია“. მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ვინმე, ივანოვსკი და აშორდია. მათი მოღვაწეობის ამსახველი მასალები ახლა მაგიდაზე მიდევს. გამოდიოდა „ყაზახის გაზეთი“, „კომუნა“ და სხვა. ეს იყო დროით ნაკარნახევი მოქმედებები, რომელმაც დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალია. ვინ უარყო ის გამოხტომები? თქვენივე სიტყვებს გამოვიყენებ: „ამ მხრივ გამორჩეული როლი ითამაშეს თედო სახოკიამ და კონსტანტინე გამსახურდიამ, ასევე არნოლდ ჩიქობავამ და ლავრენტი ბერიამ“

გამოგრჩათ უნიჭიერესი ადამიანი, შალვა დადიანის მამა, დიდი ნიკო დადიანი, რომელმაც სხვებთან ერთად, ასევე მიწასთან გაასწორა აშორდია და მწვავე პასკვილი მიუძღვნა მას.

ერთი და ორი ადამიანის მიხედვით მთელ მხარეზე ან ენაზე მსჯელობა და დასკვნების გამოტანა ავანტიურაა, „მეცნიერული“ ავაზაკობაა...

ასეა, ბატონო ტარიელ, ჩვენივე ჭირს ჩვენვე ვუვლით, სხვისი კირკიტი და ჩხირკედელაობა არ არის საჭირო. ყური მიუგდეთ ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნიკო მარისა და სხვათა დარიგებებს. მათ არასდროს წამოსცდენიათ რაიმე აუგი სამეგრელოსა და სვანების მიმართ, რადგან ბრძენი ქართველები იყვნენ. ისინი მეგრულ-ლაზურსა და სვანურ ენებს ძმა ენებად თვლიდნენ, მარგალიტების სალაროდ და ყველას ურჩევდნენ ამ მარგალიტებით ესარგებლათ.

ნუ შეეხებით ამ მარგალიტებს ბინძური ხელებით. ქართული ანდაზა გვასწავლის: „სიყვარულს უშენებია და მტრობას დაუნგრევიაო“. სიძულვილს გონებას ნუ გადააყოლებთ. თავი მიანებეთ ამ დემაგოგიას, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების ძაგებასა და საეჭვო თათხვას, გირჩევნიათ კეთილშობილური საქმე იტვირთოთ. ნაკლის პოვნას რა უნდა, შე კაცო! საქართველოს ისტორიაში ამის აუარება მაგალითია. ლევან სანიკიძემ აკი გამოსცა წიგნი „307 სირცხვილი“.

ჩვენი ერთიანობის, სიმტკიცისა და თანადგომის მაგალითები მოიპოვე. ეს უფრო მომგებიანი საქმიანობაა. კეთილად გამოადგება საქართველოს მომავალს, ერის წინსვლას და ახალი თაობის, გმირულ და ჭეშმარიტ მაგალითებზე აღზრდას.

თქვენი და ეჭვებით შეპყრობილი ადამიანების გასაგონად ხმამაღლა გავიმეორებ. სამეგრელოს გულში ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლს აშენებენ, ჩვენი ერთობის, ჩვენი სიმტკიცისა სიმბოლოდ.

**ბორის დავითაია**
მწერალი

# სიბნელე არ ანათებს!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადეპტი, „ვარდების რევოლუციის“ ტრიბუნი, ნაციონალური რეჟიმის „კულტურკამფის“ ფუნქციონერი, ლგბტ იდეოლოგიის კონტრაბანდისტი და დღეს უკვე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის „მამხილებელი“, XXI საუკუნის მებრძოლი ულმერთო, შეთავსებით გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე ახალი ბრძოლის ბილიკსა თუ შარა-გზას დაადგა. ის მოგვევლინა საქართველოს ეკლესიის „მამხილებლად“, რომელსაც ლაშას განცხადებით სურს დამოუკიდებელი საქართველო რუსეთის მონად და ყმად აქციოს.

მისი გაშმაგება არაა გასაკვირი, რადგან ისე ილევა ნაციონალური რეჟიმის დღეები, რომ მისმა ამბიციამ ოდნავი განხორციელებაც კი ვერ ჰპოვა — ადეპტობა, ტრიბუნობა, ფუნქციონერობა, კონტრაბადისტობა ხომ მხოლოდ საფეხურები უნდა ყოფილიყო ძალაუფლების მწვერვალისკენ აღმავალ პირამიდაზე. არა, მისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა დეპუტატობა ან მინისტრობა, ეს ნაცწვრილფეხობის აკაკი მინაშვილისა და გიორგი კანდელაკის სანატრელი უნდა ყოფილიყო. აი, ლაშას კი თუ რამე დაამშვენებდა, ეს რეჟიმის „რუხი კარდინალობა“. დაე, პრესის მეხი ეტეხა „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მისი შეფის ლევან რამიშვილის მიმართ. თავი, კულისებს მიღმა, მაგრამ სცენაზე მოძრავი ფიგურების აზრთა მპყრობელი და უხილავი მმართველი ლაშა უნდა ყოფილიყო, აი,. სად იყო მისი სტიქია, აი, სად იყო მისი ადგილი. მაგრამ ნაციონალურმა რეჟიმმა, მებრძოლი ულმერთოს ამხანაგი პაპის გაბატონებულმა შვილიშვილმა იგი ვერ შეამჩნია, დროულად ვერ მიიყვანა მართვის ბერკეტებთან, ამბიციურ, თავჩაღუნულ, მაგრამ კუდაბზეკილ ლაშას კი ამბიციის იქით ძალაუფლების, მით უფრო ფარული ძალაუფლების მოპოვების ცოდნა, უნარი და მარიფათი არ აღმოაჩნდა. „მხედრიონელ“-ნაციონალ მინისტრ ნიკა რურუას გაახსენდა ლაშა და უბოძა კიდეც დირექტორობა, მაგრამ როდის? მაშინ, როდესაც ნაციონალური რეჟიმის დაისი დგებოდა!



ამბიციური ლაშა, დრომ მას რა მწარედ დასცინა, მისი მედასავლეთობა ჩალის ფასად აქცია. ბევრგან ნავალი, გერმანიაშა „განსწავლული“, მხოლოდ მისი მამის მეგობარ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონიდან“ განაციონალებული ნიკა რურუასგან გახსენებული ლაშა.

საბჭოთა რეჟიმისგან ნათამამები კომუნისტი მამის შვილი, ფუფუნებით აცეტებული ფრონდიორი პრივილიგენციის ოჯახიდან გამოსული, დღეს მებრძოლი ულმერთოს ნიღბით ცდილობს თავისი კერძო ლელო გაიტანოს. დაანახოს დასავლეთს, რომ ის აქ არის, იბრძვის და ილვწის, ერკინება ჩრდილოეთის თეთრ დათვს. ლაშა არიგებს ინტერვიუებს, მაგრამ ვერაფერს ამბობს. მისი სათქმელი ხომ მისმა მამამ თქვა: „მესიანისტური იდეა საქართველოს ბიზანტიზმისგან თავის დასაღწევად სჭირდებოდა“. ამ სიტყვიერი ეკვილიბრისტიკის უკან კი ძევს „მესიჯი“ — უარი მართლმადიდებლობას და თანხმობა თუნდაც კალვინიზმს ან ლუთერანიზმს — (დღეს ხომ ლუთერანიზმია ერთსქესიანთა „დაქორწინებაც“ დაიწყო).

ის, რაც ლაშას მსგავსმა „ინტელექტუალებმა“ დამართეს საქართველოს, მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური რეჟიმის სასარგებლო პროპაგანდით, მისი არჩეული პრეზიდენტის ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი პოლიტიკანობით, დღეს თუ არა ხვალ ან ზეგ მაინც უნდა გამოსწორდეს. ის, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური საზღვრები დე-იურედ არ ილახება. ეს არის კიდევ ერთი მტკიცე იმედი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დე-ფაქტო აღდგენისა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასასრული აკაკი ბაქრაძის მოღვაწეობის დასასრულად იქცა — 1990 წლიდან მისი ხმა მხოლოდ 1995 წელს გაისმა, როცა საპრეზიდენტო მარათონში ჩაება და 31350 ხმა მიიღო. მისი შვილი ამასაც ვერ გაბედავს, რომ ნაციონალური რეჟიმის დაისს თავისი წასვლით ლოგიკური წერტილი დაუსვას. ის, რაც ნათელი უნდა ყოფილი იყო ბნელი ყოფილა და ვერ გაანათა.

**დავით არაბიძე**

---


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


---

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- შეიძლება თუ არა ხელახალი დაქორწინება ბათილი ქორწინებისას?**

-შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1150-ე მუხლის მიხედვით, ის პირები, რომელთა ქორწინებაც გაბათილდა, შეიძლება ხელახლა დაქორწინდნენ, თუკი აღარ იქნება ის საფუძველი, რომლის გამოც ეს ქორწინება გაბათილდა.

* * *

**-წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?**

-არა.

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**-შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?**

-არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით /საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

**- ჩემი რძალი აპირებს ჩემს შვილთან განქორწინებას. მან უკვე წაიყვანა ბავშვი. შესაძლოა, მან მოითხოვოს წილი. ჩემი შვილის სახელზე არაფერი ირიცხება. გვაქვს ბინა, რომელიც ჩემს საკუთრებაშია. ეკუთვნის თუ არა წილი ჩემს რძალს?**

- როგორც ჩვენი პირადი სატელეფონო საუბრიდან გავიგე, თქვენს რძალს და შვილს ერთად ცხოვრების პერიოდში არ აქვთ შეძენილი საერთო ქონება, შესაბამისად, განქორწინების დროს მათ შორის ქონების გაყოფა ვერ მოხდება. თქვენს სახელზე რიცხული ქონება თქვენი საკუთრებაა.

* * *

**- დედას ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

- მიმართეთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვეთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები.

* * *

**- გარდამეცვალა ძმა. მისი სახლი დარჩა მის მეუღლეს და შვილს. მე, როგორც დას, მეკუთვნის თუ არა წილი?**

- არა.

თქვენი ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და შვილი (ასევე, მშობლები, თუ ისინი ცოცხლები არიან). და ან ძმა არის მეორე რიგის მემკვიდრე. მეორე რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრე, გარდაცვლილი ძმის სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებთ.

* * *

**- გარდაიცვალა პაპაჩემი. მისი ქონება გადაიფორმა მთლაიანდ ბიძაჩემმა, რადგან მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ფაქტიურად, ჩვენ- მე და დედა, დავრჩით უბინაოდ. რის გაკეთება შეგვიძლია?**

- მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი გარდაცვლილია, თქვენ, მისი შვილი სარგებლობთ წარმომადგენლოიბის უფლებით და ის ქონება, რაც უნდა მიეღო მამათქვენს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა მიგეღოთ. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რა სახის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე - კანონისმიერ თუ ანდერძისმიერთან. თუ კანონისმიერი მემკვიდრეობაა, თქვენ უნდა მიგეღოთ, ჩვეულებრივ სამკვიდროს ნახევარი, თუ ანდერძისმიერია, ანუ თუ პაპათქვენმა ანდერძი დატოვა მისი სამკვიდროს ბიძათქვენისთვის დატოვების შესახებ, ამ შემთხვევაში სარგებლობთ სავალდებულო წილის უფლებით და უნდა მიგეღოთ დატოვებული ქონების ნახევრის ნახევარი.



როგორც წერილიდან ჩანს, სამკვიდროს მიღების 6 თვიან ვადაში ბიძათქვენმა მოახერხა სამკვიდროს მიღება სანოტარო წესით. დაგრჩათ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება. სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ.

# ისევ აბლიაზოვი

# ABLIAZOV AGAIN



ხელის შეწყობა კრიმინალური ოლიქარქიისთვის, რომელსაც ემსახურება ოფშორული იურისდიქციების, საინვესტიციო ბანკებისაგან შემდგარი მთელი ინდუსტრია და რომლებსაც ხელს აფარებენ პოლიტიკოსები, ძვირადღირებული იურისტები და მასმედია, რთულ მდგომარეობაში აყენებს ევროპას.

მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კატაკლიზმების მიზეზებად ექსპერტები ასახელებენ არამარტო საპნის ბუშტებს ბაზრებზე, დისბალანსებს მსოფლიო ფინანსურ სისტემაში, არამედ ასევე „ჭუჭყიანი“ ფულის ზრდად ნაკადს. მაგალითად, მარტო 2011 წელს ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალიზებული იქნა „ჭუჭყიანი“ ფული 1,2 ტრილიონი ევროს ოდენობით, და შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავირის პოლიტიკურ ოლიმპზე წარმოიშვა დისკუსიები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის გაყინვისა და კონფისკაციის აუცილებლობის შესახებ.

კრიმინალური ოლიგარქიის ბანქოს დასტაში ერთერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟია მუჰტარ აბლიაზოვი. შორეული ყაზახეთის მკვიდრი ცნობილია იმით, რომ, მან, ჯერ ერთი, მოიპარა რამდენიმე მილიარდი დოლარი, და მეორეც, შეეცადა პასუხიმგებლობას გაქცეოდა, გამოაცხადა რა თავისი თავი პოლიტიკური დევნის მსხვერპლად.

პოლიტიკოსებმა და საზოგადოებამ როგორც იქნა გადაწყვიტეს კორუფციასთან და თაღლითობასთან ბრძოლის დაწყება საერთაშორისო მასშტაბით. კერძოდ, აბლიაზოვთან მიმართებაში ჩრდილოვანი ბიზნესისთვის ომის გამოცხადების გადაწყვეტილება გამოიხატა მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებში.

დასაწყისისთვის გავიხსენოთ, რომ ლტოლვილი ოლიგარქი, რომელიც აქამდე ევროპაში საკმაოდ ლაღად გრძნობდა თავს, დღეს თავისუფლებააღკვეთილია.

პირველ ხანებში იგი დაუფარავად ცხოვრობდა ლონდონში და პოლიტიკურად აქტიური იყო. შემდეგ, როდესაც ადგილობრივი ფემიდისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი სინამდვილეში ქურდი და თაღლითი იყო, ოლიგარქი სასწრაფოდ გადაბარგდა საფრანგეთში. ყალბი პასპორტების გამყენებით იგი კარგა ხანს მიმალვაში იმყოფებოდა, ხოლო გამოჭერილი იქნა, რამდენადაც ბანალურად არ უნდა ჟღერდეს, მანდილოსანთან, ვინმე ელენე ტისჩენკოსთან, კავშირის გამო.

ელენე ტისჩენკო აბლიაზოვთან იურისტად, ხოლო შეთავსებით, საყვარლად მუშაობდა. იგი ფაქტიურად ოლიგარქის მარჯვენა ხელის როლს ასრულებდა. რუსეთში იგი კოორდინაციას უწევდა დანაშაულებრივი გზით დატაცებული ქონების ლეგალიზაციის ქმედებებს, ახდენდა აგრეთვე 3,3 მილიარდ დოლარზე მეტი საერთო ღირებულების აქტივების ამოღებისა და მათზე უზრუნველყოფის ღონისძიებების დაკისრების მცდელობების პრევენციას.

აბლიაზოვი ჯეროვნად აფასებდა ასეთ კარგ მუშაკს და სადაც არ მიდიოდა, ყოველთვის ქირაობდა კოტეჯებს - ერთს ცოლისთვის, მეორეს - ელენესთვის. სიტუაციას პიკანტურობას მატებს ის ფაქტი, რომ აბლიაზოვის საყვარელი მისი უკრაინელი ბიზნეს-პარტნიორის სერგეი ტისჩენკოს ცოლია, რომლისგანაც ელენეს ოთხი შვილი ჰყავს.

ერთი სიტყვით, სწორედ აბლიაზოვის შეყვარებულზე თვალთვალმა მიიყვანა ინტერპოლი კანებში, სადაც პოლიციის მიერ მოხერხებულად ჩატარებული რთული ოპერაციის შედეგად დაკავებული იქნა ოლიგარქი, რომელსაც ამჯერად არ გამოადგა არც კავშირები, არც ფული, არც უახლესი სიგნალიზაციის სისტემები და კბილებამდე შეიარაღებული დაცვა.

ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად პოლიტიკური მოწამის ხატის მორგებით საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენისა და მსხვილი გირაოს წყალობით გარეთ გამოსხვლის ყველა მცდელობისა, აბლიაზოვს არაფერი არ გამოუვიდა. ფრანგულმა ფემიდამ უნდობლობა გამოუცხადა ლტოლვილ ოლიგარქს და მას მიუჩინა სწორედ ის ადგილი, რომელიც დაიმსახურა — ციხე.

პარალელურად მთელ ევროპაში მიდიოდა აბლიაზოვის ნდობით აღჭურვილი პირების დაკავებები და ექსტრადიცია, რადგან პრაქტიკურად ყველგან მოასწრო მის გუნდმა თავისი კვალის დატოვება. ბოლო წვეთი ბატონი ლტოლვილი ოლიგარქისთვის გახდა ელენე ტისჩენკოს დაკავება მოსკოვში, სადაც იგი ჩავიდა აბლიაზოვის საქმეების მოსაგვარებლად. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ელენე ტისჩენკოს დაკავება - მისი ქმრის ნახელავია, რომელმაც ეჭვიანობის ნიადაგზე ან მეუღლესთან ანგარიშის გასწორების მიზნით, ან, შესაძლოა, ბავშვებზე მეურვეობის გამო, ასე ვთქვათ, თავიანად, ფეხებიანად ჩააბარა იგი რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს.

საკუთარი, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზნების მისაღწევად და ამავდროულად ცხოვრების დანგრევისთვის აბლიაზოვზე შურისძიების გამო, სერგეი ტისჩენკომ თავისი ცოლის სახლში საფრანგეთში დააყენებინა მოსასმენი მოწყობილობა, რომელზეც იწერდა ცოლის ყველა საუბარს, პირველ რიგში მის საუბრებს ოლიგარქთან.

ამრიგად, მაფიოზი აბლიაზოვი და მთელი მისი ბანდა დღეს ძლიერი პრესინგის ქვეშ იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც იშვიათ ერთსულოვნებას ამჟღავნებენ ამ დამნაშავის მიმართ.

Indulgence towards criminal oligarchy, which is served by the whole industry of offshore jurisdictions, investment banks, is sheltered by politicians, high-priced lawyers and mass media, puts Europe into difficult situation.

Among the causes of global economic shocks, according to experts, are bubbles in markets, disbalances in world financial system, as well as the increasing flow of dirty money. For example, only in 2011 on the territory of European Union more than 1,2 trillion EURO of dirty money were legalized. And it is not by chance that discussions arose on the EU political Olympus regarding the necessity of freezing and confiscating the ill-gotten finance.

Among the famous personages in the pack of criminal oligarchy is Mukhtar Ablyazov. A native of faraway Kazakhstan is renowned, firstly, for stealing several billions of dollars, secondly, for the fact that he had attempted to escape liability proclaiming himself a victim of political persecution.

The politicians and society decided at last to start a war against corruption and fraud on international scale. Specifically, with regard to Ablyazov this decision to declare war to underground business manifested itself in a series of significant events.

For the beginning it should be noted that the fugitive oligarch, who previously felt freely in Europe, is imprisoned at present.

At first he lived openly in London and was politically active. After that, when the local Justice found out that he was in reality a thief and fraud, the oligarch hastily escaped to France. Using forged passports he lay in hiding for a long time and then he got caught, due, as banal as it may seem, to his love affair with Yelena Tischenko.

Yelena Tischenko worked with Ablyazov as a lawyer and combined this job with the one of a lover. Her role may be described as a right hand of the oligarch. She coordinated in Russia the activities towards legalization of stolen property and prevented attempts at the seizure and attachment of security measures on assets in excess of 3,3 billion dollars.

Ablyazov greatly appreciated such a valuable employee, and he always rented several apartments wherever he went – each for his wife and Yelena. The savour to this situation is added by the fact that Ablyazov's lover is the ex-wife of his Ukrainian business partner Sergei Tischenko with whom Yelena has four children.

It was in fact the shadowing of Ablyazov's sweetheart that brought the Interpol to Cannes, where after a well-organized police operation they arrested the oligarch, whom neither connections, nor money, nor latest alarm systems and guards armed to the teeth did not really help.

It should be mentioned that, notwithstanding all his attempts at influencing public opinion by putting a stress on his image of a political martyr so that he could be discharged on a substantial bail, Ablyazov failed to persuade the French Justice, which doubted the fugitive oligarch's credibility and sent him to where he belongs – prison.

In the meantime arrests and extraditions of Ablyazov's agents were taking place throughout Europe, as practically everywhere his team had managed to leave their footprints. The last straw for Mr. Fugitive Oligarch was the arrest of Yelena Tischenko in Moscow, where she arrived on Ablyazov's business. According to the information published in mass media her capture was the doing of her husband, who, out of jealousy or for getting even with his better half, or maybe in his fight for the custody of children had turned her in to the Russian law-enforcement authorities.

Pursuing the objective known only to himself and wishing at the same time to revenge himself upon Ablyazov for breaking his life, Sergei Tischenko had a bugging device installed in his wife's house in France, on which he taped her conversations and, in the first place, her conversations with the oligarch.

So both the mafioso Ablyazov and all members of his gang are now under tight pressure of law-enforcement structures of various countries, showing a rare unanimity towards the offender.







## ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: [illegible]

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: [illegible]

## ᲡᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible]

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 11. [illegible] 14. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible]

## ᲨᲘᲤᲠᲕᲝᲠᲓᲘ

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 7 | ■ | 25 | ■ | 13 | 9 | 1 | 9 | 20 | 5 | ■ |
| 24 | 6 | 22 | 19 | 4 | 5 | ■ | 19 | ■ | 5 | ■ | 31 |
| ■ | 2 | ■ | 14 | ■ | 21 | 19 | 10 | 16 | 26 | 4 | 5 |
| 23 | 6 | 11 | 9 | 12 | 6 | ■ | 7 | ■ | 16 | ■ | 29 |
| ■ | 3 | ■ | 18 | ■ | 22 | ■ | 5 | 1 | 5 | 3 | 26 |
| 32 | 9 | 8 | 5 | 4 | 5 | ■ | ■ | 19 | ■ | ■ | 12 |
| 19 | ■ | 9 | ■ | 26 | ■ | 28 | 5 | 22 | 9 | 4 | 5 |
| 16 | 9 | 22 | 9 | 17 | 9 | ■ | ■ | 2 | ■ | 19 | ■ |
| 6 | ■ | 6 | ■ | 19 | ■ | ■ | 30 | 6 | 8 | 22 | 6 |
| 4 | 9 | 18 | 5 | 12 | 9 | 17 | 5 | ■ | ■ | 2 | ■ |
| 5 | ■ | 9 | ■ | 5 | ■ | ■ | 18 | 9 | 4 | 5 | 9 |
| ■ | 7 | ■ | 32 | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | 9 | ■ | 27 |
| 21 | 19 | 33 | 6 | 2 | 6 | ■ | 22 | 6 | 12 | 14 | 9 |
| ■ | 2 | ■ | 12 | ■ | 15 | ■ | 5 | ■ | 1 | ■ | 4 |
| 15 | 9 | 16 | 9 | 4 | 19 | 9 | ■ | 14 | 26 | 22 | 9 |

ა–9
ბ–
გ–
დ–
ე–
ვ–
ზ–
თ–5
ი–
კ–3
ლ–22
მ–
ნ–
ო–
პ
ჟ–
რ–4
ს–2
ტ–
უ–
ფ–
ქ–10
ღ–
ყ–
შ–
ჩ–1
ც–
ძ–
წ–
ჭ–
ხ–
ჯ
ჰ–

## შეჯიბრი ჭინჭრის ჭამაში

ნისლიანი ალბიონის პატარა სოფელ მარშვუდში, ამ დღეებში, უკვე მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა ჭინჭრის ჭამაში. ტურნირის ისტორიაში პირველად ორმა ლიდერმა ერთნაირი შედეგი აჩვენა და გამარჯვებულად გამოცხადდნენ. სულ კი ტურნირში ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის კანადელები და ავსტრალიელი „სპორტსმენებიც“. შეჯიბრების მიმ-



დინარეობისას მონაწილეებს ჭინჭრის 60-სანტიმეტრიან ტოტებს აძლევენ და ვინც ყველაზე მეტ ასეთ ღეროს შეჭამს, გამარჯვებულადაც ის ითვლება. გამარჯვებული დორჩესტერელი მაიკლ ჰობი გახდა, რომელმაც საერთო ჯამში, 14,4 მეტრის სიგრძის მსუსხავი მცენარე მიირთვა. ქალებიდან კი ამდენივე ჭინჭარი მელ ლანგმა შეჭამა.

## სავაჭრო ავტომატები ოქროს გაყიდიან

ცოტა ხანში გერმანელებს შეეძლებათ ეს ძვირფასი ლითონი ისევე მარტივად შეიძინონ, როგორც ვთქვათ, შოკოლადის ფილა. ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანიის გეგმებით, გერმანიის ტერიტორიაზე სავაჭრო ავტო-



მატებს დადგამენ, რომელიც ოქროს გაყიდის. კომპანია „**თგ-გოლდ-შუპერ-მარკტ**“-ის წარმომადგენელთა განცხადებით, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 500 ასეთი ავტომატი განთავსდება, მათ შორის რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებში. მათმა გამოჩენამ ეკონომიკური კრიზისისას ამ ძვირფას ლითონზე მზარდი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. როგორც კომპანიაში ამტკიცებენ, ავტომატებში ოქროზე ფასი რამდენიმე წუთში ერთხელ განახლდება და ის სულ რაღაც 30 ცენტით მეტი ეღირება, ვიდრე სპეციალიზებულ მაღაზიებში. ავტომატები ფარული ვიდეოკამერითაც იქნება აღჭურვილი. ერთი ასეთი დანადგარი უკვე დგას ფრანკფურტის აეროპორტში, სადაც ერთგრამიანი ოქროს ფილას, დაახლოებით, 30 ევროდ შეიძენთ, 10-გრამიანს კი – 245 ევროდ.

ISSN 2233-3983

## დაბერების პროცესს კევი შეაჩერებს

ადამიანები დიდი ხანია თავს იმტვრევენ იმაზე, როგორ შეაჩერონ დაბერების პროცესი. ჩვენს სუსტ სხეულს არ ძალუძს მთლიანად შეაჩეროს ვერაგი დროის გავლენა, მაგრამ აი, მისი შენელება კი სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ, როგორც წესი, საამისოდ გარკვეული ძალისხმევა, ფული და თვითონ ეს ძვირფასი დრო არის საჭირო. მეცნიერებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან ამ პრობლემის გადაჭრის ეფექტური და იაფი საშუალება შემოგვთავაზეს. აღმოჩნდა, რომ სიბერეს რომ გავუმკლავდეთ, საკმარისია... საღეჭი რეზინი დაღეჭოთ. მხოლოდ უბრალო კი არა, არამედ ოქროსი, უფრო სწორად – პლატინის. ტოკიოს უნივერსიტეტის სწავლულების მიერ შექმნილი საღეჭი რეზინისგან ეფექტი დამოკიდებულია აქტიური ჟანგბადის ნეიტრალიზების უნარზე. ძვირფასი მეტალის უწვრილესი ნაწილაკები უჯრედიდან იწოვენ ჟანგბადს და ორგანიზმიდან გამოაქვთ. კევის ყოველი ბალიში ერთი გრამი პლატინის მემილიონედ ნაწილის შეიცავს. ამ ზომის ნაწილაკების დანახვა, რასაკვირველია, შეუძლებელია, ასე რომ, მოგვიწევს, იაპონელ მეცნიერებს სიტყვაზე



ვენდოთ. გამაახალგაზრდავებელი საღეჭი რეზინი მალე გასაყიდად შევა აფთიაქებსა და სუპერმარკეტებში. ვარაუდობენ, რომ მისი ფასი ძალიან ძვირი არ იქნება – 100-ბალიშიანი შეფუთვა დაახლოებით 23 დოლარი ეღირება. სწავლულები იმასაც ამბობენ, რომ ახალი კევი კბილებსაც იცავს და ათეთრებს.

## პოპკორნის მოყვარულებს სიმსივნე ემუქრებათ?

აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტომ სერიოზული კვლევა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ სახლის პირობებში პოპკორნის მომზადებისას ცხელი ზეთიდან ფილტვებისთვის საშიში ნივთიერებები გამოიყოფა. ერთ-ერთი მათგანია დიაცეტილი – ეს არომატიზატორია, რომელსაც ზეთში უმატებენ. ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ეს ნივთიერება ფილტვების მძიმე დაავადებას იწვევს, რომლის დროსაც ორგანოს გადანერგვა ხდება საჭირო. სწავლულების თქმით, აშშ-ს სხვადასხვა შტატში უკვე გამოვლენილია ამ დაავადების რამდენიმე შემთხვევა იმ მუშებში, რომლებიც პოპკორნის დამამზადებელ საწარმოებში მუშაობენ. არ არის გამორიცხული, რომ ნეგატიურ როლს სხვა არომატიზატორებიც ასრულებდნენ, რომელსაც ზეთი გამოყოფს. ამერიკელი სპეციალისტები პოპკორნის მწარმოებლებს ურჩევენ, პროდუქტის



მოსამზადებლად ჩვეულებრივი ზეთი გამოიყენონ და არა ის, რომელიც ნახევარფაბრიკატს მოყვება. თუმცა, მათი თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, პოპკორნი მაინც მავნე საჭმელია და ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს, სჯობს ის საერთოდ არ მიირთვას.

## დატვირთული სამუშაო სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს

მძიმე სამუშაო და შრომის დაძაბული რიტმი ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების სათავეა, – მიიჩნევენ ამერიკელი მეცნიერები. სპეციალისტების მოსაზრებით, დაძაბული სამუშაო ადამიანს მეტად სასარგებლო



თვისებებს სძენს. ადამიანები, რომელთაც მეტად დატვირთული გრაფიკი აქვთ, საკმაოდ ამბიციურები, ორგანიზებულები და კეთილსინდისიერები არიან. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ეს თვისებები საშუალოდ 4 წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს. თვითდისციპლინაც ასევე ის ფაქტორია, რომელიც ადამიანს ბევრი მავნე ჩვევისგან განკურნავს და ქალებსაც და კაცებსაც საშუალებას აძლევს, სტრესების მიმართ უფრო გამძლეები იყვნენ. გარდა ამისა, ვინც სამუშაოს დიდ დროს უთმობს, ჩვეულებრივ უფრო საიმედო და გონიერი ადამიანები არიან. ასეთი დასკვნები მეცნიერებმა 20 გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანეს, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენას მიეძღვნა და რომელშიც 8900 მოხალისე მონაწილეობდა ამერიკიდან, კანადიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან და შვედეთიდან.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**


